ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 26 აგვისტო, 2013 №201 (6202) ფასი: 30 თეთრი

ილია II: „ბევრი მიფიქრია, ბევრი გამიკეთებია და უფრო ბევრი შეცდომა დამიშვია“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გუშინ სამების საკათედრო ტაძარში მისი ეპისკოპოსად კურთხევის 50 წლისთავთან დაკავშირებით იქადაგა.

„დღეს, როცა შესრულადა ეპისკოპოსად კურთხევის 50 წელი, მე შემიძლია ვთქვა, დიდება და მადლობა უფალს, დიდება უფალს, ღმერთს ყველაფრისთვის. აი, ამ წლების განმავლობაში ბევრი მიფიქრია, ბევრი გამიკეთებია და უფრო ბევრი შეცდომა დამიშვია. მე რით შემიძლია ვიამაყო? მე შემიძლია ვიამაყო, ვაღიარო ჩემი ცოდვებიც, ჩემი უძლურებებიც, მაგრამ ნათქვამია, ბრძენმა ხალხმა თქვა, მე გავაკეთე ის, რაც მე შემეძლო და სხვამ გააკეთოს ჩემზე უკეთესად. ვმადლობ უფალს, რომ ამ მოწამეობრივი წლების განმავლობაში მუდამ იყო ჩვენთან და მუდამ გვეხმარებოდა ჩვენ, დიდება და მადლობა უფალს“, – ბრძანა პატრიარქმა.

მედიანიუსი

რა შეცდომა დაუშვა ბიძინა ივანიშვილმა

გვ.2

„ალასანიას პრეზიდენტობის სურვილი თუ აქვს, შანსებიც აქვს“

გვ.3

ალასანია რევანშისთვის კიდევ ერთხელ ემზადება

ნინო ბურჯანაძე: „არ შეიძლება, მინისტრის ხელფასი 20.000 იყოს!“

გვ.4

ეკა ბესელია: „მოსამართლეების დიდი ნაწილი უნდა შეიცვალოს!“

გვ.4

გიორგი თევზაძე: „პატიმრები გაუგებარ სიტუაციაში დღესაც ილუპებიან!“

გვ.7

„ზაზა ოქუაშვილის განცხადება გონიერი ბიზნესმენის მიერ გაკეთებული განცხადებაა“

გვ.3

ზაზა ოქუაშვილმა, ალბათ გადაწყვიტა, საზოგადოებრივ სექტორს ხელი არ შეუშალოს

28.401 აბიტურიენტი სტუდენტი გახდა

გვ.2

ISSN 1987-9385

6 ბათუმის წმინდა სამების ტაძრის დასახმარებლად საქველმოქმედო კონცერტი გაიმართება

5 აღუაშვილის მკვლელობის საქმეს ნაფიცი მსაჯულებიც განიხილავენ

6 ქალაუფლებისთვის ბრძოლის საზიანო მხარე და საქართველოს მომავალი

5 განსხვავებული წინასაარჩევნო პერიოდი

2013, 26 აგვისტო, №201

რა შეცდომა დაუშვა ბიძინა ივანიშვილმა

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ „ქართული დასის“ ლიდერ ჯონდი ბაღათურიასთან

– ბატონო ჯონდი, როგორ აფასებთ ქვეყანაში ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? საუბარია, რომ ხელისუფლება დღითიდღე კარგავს მხარდამჭერებსო...

– სიტუაცია სახარბიელო სახარბიელო ნამდვილად არ არის. ეკონომიკური და სოციალური ფონი კიდევ უფრო დამძიმდა, ვიდრე ეს წინა ხელისუფლების დროს იყო და საზოგადოებაში არის განცდა უსამართლობის. ახალი ხელისუფლება საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავს და არა ქვეყნის კეთილდღეობაზე. ამან საზოგადოებაში გააჩინა პროტესტის სერიოზული გრძნობა და ხალხი არცთუ დადებითად არის განწყობილი ხელისუფლების მიმართ. ხალხი ხვდება, რომ ისინი გამოიყენეს და მიატოვეს. მე აქვე პარალელს გავავლებ „მეცხრე არხის“ დახურვასთან დაკავშირებით. იქაც ზუსტად იგივე მოხდა, სანამ სჭირდებოდა პრემიერს, ამუშავა არხი და როდესაც ჩათვალა, რომ აღარ არის მისი საჭიროება, დახურვის გადაწყვეტილება მიიღო. ამ სიტუაციამ ერთი ფილმი გამახსენა – „სათამაშო“, სადაც ზუსტად იგივე სურათია ასახული... რატომ არავინ ფიქრობს ათობით ოჯახზე, რომლებიც დღეს ულუკმაპუროდ დატოვეს. ამ კოლექტივს ხომ დიდი წვლილი მიუძღვის რეჟიმის შეცვლაში? ყველამ კარგად ვიცით, რომ არჩევნების წინ ისინი თავს არ ზოგავდნენ და ყველა ცხელ წერტილში იყვნენ? დღეს კი რას ეუბნება მათ მფლობელი?– ხელფასს გიხდიდით და კიდევ ჩემით ხართ უმაყოფილონიო? ეს ხალხი გამოიყენეს და შემდეგ მიატოვეს! ისე, როგორც დანარჩენი ქართველი ერი. ეს არ არის კონკრეტული ადამიანების პრობლემა, ეს ზოგადი პრობლემაა და ყველას გვეხება. ეს არის ბრძოლა მშრომელ ხალხსა და მდიდარ მეპატრონეებს შორის.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ივანიშვილი მიდის პოლიტიკიდან და ტელევიზიაც ალარ სჭირდება?

– ტელევიზია მას სჭირდებოდა იმიტომ, რომ ძალაუფლება ხელში აეღო. ივანიშვილი პოლიტიკიდან არ მიდის, ის ტოვებს პრემიერის პოსტს. მას წარმოუდგენია, რომ მთავრობას მართავს გვერდიდან, რაც უპატივცემულო დამოკიდებულებაა ჩვენი სახელმწიფოს მიმართ. ჩვენ არ გვჭირდება მთავრობა, რომელსაც გვერდიდან, ზევიდან, ან ქვევიდან მართავენ! ჩვენ გვჭირდება ისეთი მთავრობა, რომელიც დამოუკიდებლად და ღირსეულად მართავს სახელმწიფოს. გვერდიდან მართული მთავრობა კარგს ვერაფერს მოუტანს ქვეყანას. ხალხი მძიმე მდგომარეობაშია და გამოსავალს ეძებს, სამუშაოს ეძებს, ქვეყანაში არ იქმნება ახალი სამუშაო ადგილები. ახალი კი არა ძველიც იკარგება. ხალხი ასე არ უნდა იჩაგრებოდეს, ეს არ არის დემოკრატიული პროცესები, მხოლოდ ერთეულებმა რომ მოიწყვეს საკუთარი კეთილდღეობა ხალხის ხარჯზე. ეს რომ არ გვინდოდა, ამიტომ შევცვალეთ ხელისუფლება და ისევ იგივე უნდა განმეორდეს?! ჩამოშლილია ეკონომიკა, ზრდის მაჩვენებელი ნულის ტოლია.

– თქვენ ჩამოშლილი ეკონომიკა ახსენეთ და თქვენი აზრით, რა ხდება, რატომ მიდის უკანუკან ქართული ეკონომიკის საქმე?

– აქ არის ფაქტორთა ერთობლიობა. პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი არის არათანმიმდევრული პოლიტიკა. აშკარად იკვეთება ძალიან მნიშვნელოვანი შეცდომები, მათ შორის პრემიერ-მინისტრის. როდესაც პრემიერ-მინისტრი და ნუ დაგვავიწყდება ხელისუფლებაში ახალი მოსული, იმ ფონზე, როდესაც სიტუაცია არ არის დარეგულირებული, ხუთი თუ ექვსი

თვით ადრე აკეთებს განცხადებას, რომ ის წავა ხელისუფლებიდან, ეს უკვე ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ მომავალი 5-6 თვე არც ადგილობრივი და არც გარედან შემოსული კაპიტალი, ქვეყანაში აღარ განხორციელდება. იმიტომ, რომ ბიზნესი იღებს ინფორმაციას, რომ ექვს თვეში მოსალოდნელია არასტაბილური პოლიტიკური გარემო. ასეთ შემთხვევაში კი ბიზნესი ფულს არ ხარჯავს. ასეთი პოლიტიკური ხასიათის შეცდომები, კიდევ ბევრი ჰქონია ახალ ხელისუფლებას. ამას კიდევ განაპირობებს სხვა ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტორი, მათ შორის გეოპოლიტიკური ფაქტორებიც. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ახალ ხელისუფლებაში არც ისე ბევრი ადამიანია ისეთი, რომელიც იყოს კონცენტრირებული ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. ყველა არა, მაგრა ხელისუფლების უმეტესობა, კონცენტრირებული და ორიენტირებულია საკუთარი, ოჯახური ეკონომიკის განვითარებაზე. ეს თავისთავად იწვევს შესაბამის შედეგს – მათი ოჯახის ეკონომიკა ვითარდება, მთავრობის და პარლამენტის წევრები მდიდრდებიან, მათი სოციალური მდგომარეობა ორასჯერ, სამასჯერ და ხუთასჯერ აღემატება საშუალო დონის მოქალაქის სოციალურ მდგომარეობას. მათი ბიუჯეტი კოსმოსური სისწრაფით იზრდება და ასეთ შემთხვევაში არასდროს არ ვითარდება ქვეყნის ეკონომიკა. ეს ხალხი არ ზრუნავს ხალხზე და ქვეყანაზე, ესენი პირად კეთილდღეობაზე ზრუნავენ. შესაბამისად, როდესაც მთავრობა და პარლამენტი მდიდრდება, ამ დროს ქვეყანა ღარიბდება. ეს ვნახეთ შევარდნაძის მმართველობის დროს, ვნახეთ საკაშვილის რეჟიმის დროს და იგივეს ვუყურებთ ახლაც. ეს მთავრობის ზოგიერთ წევრს არ ეხება, იქ არიან პატიოსანი ადამიანებიც. მაგალითად, ეკონომიკის მინისტრი, მის მიმართ საკმაოდ დადებითი დამოკიდებულება მაქვს, მაგრამ ვინც არ უნდა დაინიშნოს ეკონომიკის მინისტრად ერთი კაცი ვერ ააყვავებს ქვეყნის ეკონომიკას, ამას სჭირდება გუნდური მუშაობა და პასუხისმგებლობაც გუნდურია. ამაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება ხელისუფლებას და არა შერჩევით ეკონომიკის ან სხვა რომელიმე მინისტრს. იგივე შეიძლება ითქვას სოციალურ სფეროში, უკან უკან მივდივართ, მიუხედავად იმისა, რომ მინისტრი პატიოსანი კაცია. ის არ განეკუთნება იმ კატეგორიის ადამიანებს, რომლებიც პირად კეთილდღეობაზე ზრუნავენ, მაგრამ რად გინდა, ამ სფეროშიც შედეგი ნულია. ამიტომ პასუხისმგებლობა არის ზოგადი, კოლექტიური და კოლექტიურად უნდა აგოს ახალმა ხელისუფლებამ ამაზე პასუხი.

– ჩვენ ვსაუბრობთ, რომ სერიოზული იმედგაცრუებაა საზოგადოებაში და ამ ფონზე საკმაოდ მცირე დრო რჩება საპრეზიდენტო არჩევნებამდე... რა პროცესებს ელოდებით?

– საპრეზიდენტო არჩევნებში, ოპოზიცია თუ მოიქცევა სერიოზულად, მაშინ სერიოზულ კონკურენციას გავუწევთ და დავამარცხებთ კიდეც სახელისუფლო კანდიდატს. თუ პოლიტიკური სპექტრი არ იქნება მეტად სერიოზული და იქნება კვლავ კინკლაობა თანამდებობისთვის და ბრძოლა მოუკლავი დათვის ტყავის გაყოფისთვის, მაშინ, რა თქმა უნდა, საზოგადოება ამას შეაფასებს სწორად და სამართლიანად, რომ ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი კვლავ მოუმწიფებელია. ისინი ფიქრობენ პირად დაწინაურებაზე, პირად წარმატებაზე, ისე როგორც ზემოთ ვისაუბრეთ ხელისუფლების წარმომადგენლებზე და ამიტომ საზოგადოების დიდი ნაწილი არჩევნებზე უბრალოდ არ მოვა. ხოლო სამთავრობო კანდიდატის ის ძალიან დაბალი პროცენტი, რომელიც 25%-ს შეადგენს და რომელიც დაბალი აქტიობის ფონზე გაიზრდება და შეადგენს 70-80%-ს. თუკი ჩვენ საზოგადოებას შევთავაზებთ პოლიტიკურ ძალთა ახალ განლაგებას, ახალ კონფიგურაციას, ახალ პოლიტიკურ ერთობას, რომელიც საზოგადოებას არა მხოლოდ ამ ერთობას სთავაზობს და ერთიან საპრეზიდენტო კანდიდატს, არამედ ქვეყნის განვითარების ახალ გზას. ვნახოთ რა გამოვა, ჩვენ ამაზე ვმუშაობთ. მინდა გითხრათ, რომ ზოგიერთი ჩემი კოლეგა ამ აზრს იზიარებს, თუმცა პოლიტიკური თანხმობა ჯერჯერობით მიღწეული გვაქვს, მხოლოდ პარტია თავისუფალ საქართველოსთან.

– ერთიან საპრეზიდენტო კანდიდატზეა საუბარი?

– კანდიდატი უნდა იყოს ერთი. ოპოზიციურმა სპექტრმა უნდა შეძლოს ერთიან კანდიდატზე შეთანხმება. ეს იქნება იმის დანახვება ქართველი საზოგადოებისთვის, რომ ოპოზიციური პარტიები და მათი ლიდერები იბრძვიან არა სკამისთვის, არამედ ქვეყნის განვითარებისთვის. უნდა შეძლონ და დათმონ თუნდაც სამართლიანი ამბიციები პრეზიდენტობის და შეთანხმდნენ ერთიან კანდიდატზე. ასეთ შემთხვევაში საზოგადოება ამას შეაფასებს, სწორად ამ მოცემული სიტუაციიდან სამართლიან გადაწყვეტილებად. გარდა ამისა, ჩვენ ხალხს არჩევნებზე მოსასვლელად ძლიერი მოტივაცია უნდა მივცეთ. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ თუ ირჩევს პირობითად რომელიმე სახელს და გვარს პრეზიდენტად, რა სარგებელი ექნება აქედან სახელმწიფოს და საზოგადოებას? ვთქვათ რომელიმე კანდიდატი გახდა პრეზიდენტი, მას ექნება მაღალი თანამდებობა, მდგომარეობა, პოლიტიკური გავლენა და ასე შემდეგ, მაგრამ რა ექნება ხალხს? რა ექნება სახელმწიფოს?! ქართველი საზოგადოება ვერ ისმენს ამას ვერც ერთი კანდიდატისგან. ის რაც ჩვენ მოვისმინეთ, ეს არ არის ის, რისი მოსმენაც ქართველ ხალხს მათგან უნდა. ამიტომ ხალხი რომ გარეთ გამოიყვანო, გადაადებინო საკუთარი საქმე და მოვიდეს არჩევნებზე და ხმა მოგცეს, სამართლიანი იქნებოდა, ამ ადამიანმა იცოდეს, რომ რა სარგებელი ექნება მას და მის ქვეყანას ამითი? ამიტომ არის საჭირო ვუთხრათ ხალხს, რას მოიგებენ ისინი, თუკი ჩვენ დავამარცხებთ მარგველაშვილს? თუ ჩვენ ვაცხადებთ, რომ პირველ რიგში შეიქმნება ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც დაებალანსებს ხელისუფლებას, სრულიად ახალ სოციალურ და ეკონომიკურ პროდუქტებს შესთავაზებს ქვეყანას, თუ ხალხი ნახავს, რომ ეს ძალა და მისი დანაპირები რეალურია, ასეთ შემთხვევაში მიატოვებენ საკუთარ საქმეს, გამოვლენ და მხარს დაგიჭერენ. თუ არ იქნება ერთიანი კანდიდატი, ეს ყველაფერიც არ იქნება. ისევ აირჩევა პრეზიდენტად მარგველაშვილი და შემოდგომიდან ქართულ პოლიტიკაში დაიწყება გამიშვი და დამაკავე.

– თუმცა მარგველაშვილი ხალხს ჰპირდება, რომ თუკი ის იქნება პრეზიდენტი 27 ოქტომბერს დასრულდება კოჰაბიტაცია ნაციონალებთან...

– ჩემი აზრით, კანდიდატები საჭიროზე მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ კოჰაბიტაციის დამთავრება-არდამთავრებაზე ლაპარაკს. კოჰაბიტაცია ასეთ ნეგატიურ ასოციაციას იწვევს საზოგადოებაში მხოლოდ იმის გამო, რომ ხალხი მოელოდა სამართლიანობის აღდგენას, რომელიც არაეფექტურად კი არა საერთოდ არ მიმდინარეობს. საზოგადოებას არ სჯერას ამ დანაპირების და ყოველ წუთას იმის ციტირება, რომ კოჰაბიტაცია დასრულდება ოქტომბერში, ჩემი აზრით, საპრეზიდენტო კანდიდატისგან ეს დიდი შეცდომაა. ეს არ არის საკმარისი მოტივაცია ქართველი საზოგადოებისთვის, რომ გააგრძელოს ბრძოლა. დღეს ქვეყანას განვითარება სჭირდება და კოჰაბიტაცია თავისთავად ერთ-ერთი კომპონენტია, ამ განვითარებული ქვეყნისა. ქვეყანა ისე ვერ განვითარდება, თუ არ შედგა ფლირტი დამნაშავე საკაშვილსა და ახალ ხელისუფლებას შორის. ეს ერთმნიშვნელოვანია, მაგრამ მარტო ეს პრობლემა ხომ არ არის, ქვეყანაში უამრავი პრობლემაა მოსაგვარებელი, გინდაც შიგნით და თუ გნებავთ საერთაშორისო ასპარეზზე. მე დავამთავრებ კოჰაბიტაციასო – მე ეჭვი მეპარება, რომ ამის ძახილით მარგველაშვილმა არჩევნები მოიგოს.

– რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატებს, ბოლო პერიოდია აქტიურად მიდის საუბარი იმის თაობაზე, რომ ირაკლი ალასანია საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებსო, თუ ეს სიმართლეა, გამოდის, რომ გუნდში სერიოზული დაპირისპირება და უთანხმოებაა?

– კონსტიტუციურად ყველას აქვს უფლება, კენჭი იყაროს და ალასანიას ამას ვერავინ აუკრძალავს, რომ მან კენჭი იყაროს საპრეზიდენტო არჩევნებზე. რაც შეეხება განხეთქილებას, კოალიციის შიგნით ნამდვილად არის განხეთქილება, რომელიც აუცილებლად გაფორმდება არჩევნებიდან მაქსიმუმ ერთ თვეში. ამ პერიოდში ფორმალიზაცია მოხდება კოალიციის დაშლის. კოალიცია, რომელიც თავიდანვე ძალიან ეკლექტური იყო, მათ შორის წინააღმდეგობები გაამწვავა ბრძოლამ ფინანსური და პოლიტიკური გავლენებისთვის. ეს განხეთქილება საპრეზიდენტო არჩევნებამდე იმალება და მერე, რა თქმა უნდა, გამოვა სააშკარაოზე.

– ესე იგი, თქვენ არ გამორიცხავთ, რომ ალასანიამ კენჭი იყაროს საპრეზიდენტო არჩევნებში?

– მე ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. ჩემი მხრიდან შიდა საქმეებში ჩარევა და შიდა ინტრიგებისთვის ხელის შეწყობა, არაკონსტრუქტული საქციელი იქნებოდა. ალასანია თუ ამ არჩევანს გააკეთებს, ეს უახლოეს პერიოდში გამოჩნდება და ჯობია ეს მერე შევაფასოთ. ახლა გაზეთებში ჩვენ-ჩვენი პოზიცია ვაფიქსიროთ იმაზე, რაც ჯერ არ არსებობს, ეს სწორი არ იქნება. თქვენ, რა თქმა უნდა, ძალიან სამართლიანად გაქვთ უფლება ეს შეკითხვა დასვათ, იმიტომ, რომ არსებობს საზოგადოებაში ასეთი აზრი, არის დიდი ინტერესი და ამიტომ ჟურნალისტების ინტერესი ჩემთვის გასაგებია. ამ შეკითხვის ყველაზე კარგი ადრესატი ალბათ თავად ალასანია იქნებოდა, რომ მას გაეცა ამ კითხვაზე პასუხი თუ რა გეგმები აქვს სამომავლოდ.

მიცკევიჩის ქუჩაზე აქცია გაიმართა

მიცკევიჩის ქუჩაზე მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა.

აქციის მონაწილეებმა მიცკევიჩის №3 მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები გააპროტესტეს.

მოსახლეობასთან ერთად შვიდ სართულიანი შენობის სამშენებლო სამუშაოებს უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილიც აპროტესტებდა.

ისინი თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურისგან მშენებლობისათვის გაცემული ნებართვის გადახედვას მოითხოვენ.

როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლები აცხადებენ, მშენებლობამ სერიოზული ზიანი მიაყენა მათ საცხოვრებელ ფართებს. გარდა ამისა მათივე თქმით, მთლიანად გაჩეხილია გამწვანების ზონები.

აქციის მონაწილეები მერიას მოუწოდებენ, აღნიშნული ფაქტით მერიის სპეციალური სამსახური დაინტერესდეს.

მედიანიუსი

28 401 აბიტურიენტი სტუდენტი გახდა

გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა 2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგები გამოაქვეყნა.

როგორც „მედიანიუსს“ ცენტრში განუცხადეს, 2013-2014 სასწავლო წლისათვის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტი 28 401 ახალგაზრდა გახდა. ერთიან ეროვნულ გამოცდებში რეგისტრირებული 42 000-მდე აბიტურიენტიდან 4 სავალდებულო საგანში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი სწორედ 28 401-მა აბიტურიენტმა გადალახა. დაახლოებით 13 000 აბიტურიენტი კი ამ პროცესს ერთ-ერთ საგანში ჩაჭრის გამო გამოეთიშა. საბოლოოდ, უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდებში რეგისტრირებულთა 67 პროცენტზე მეტი ჩაირიცხა.

გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის, მაია მიმინოშვილის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებით 13 000-ზე მეტმა აბიტურიენტმა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ვერ გადალახა, გასულ წლებთან შედარებით, წელს გაცილებით მეტი სკოლადამთავრებული გახდა სტუდენტი.

„წელს გაცილებით მეტი აბიტურიენტი გახდა სტუდენტი ვიდრე წინა წლებში. 28 401 აბიტურიენტი უკვე სტუდენტია მაშინ, როცა წინა წლებში დაახლოებით 24 000 აბიტურიენტი ხდებოდა სტუდენტი. რადიკალურად გაიზარდა იმ სტუდენტების რაოდენობა, რომლებმაც სრული დაფინანსება მოიპოვეს“, – განაცხადა მაია მიმინოშვილმა.

აბიტურიენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდები 2013-ის საბოლოო შედეგების ნახვა გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე შეუძლიათ.

მედიანიუსი

აზალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ზაზა ოქუაშვილმა, ალბათ, გადაწყვიტა, საზოგადოებრივ სექტორს ხელი არ შეუშალოს

მე-9 არხის გენერალური დირექტორი ლუბა ელიაშვილი დადებითად აფასებს ბიზნესმენ ზაზა ოქუაშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ ის უარს ამბობს ,,მე-9 არხის“ ყიდვაზე სააქციო საზოგადოების შექმნის საინიციატივო ჯგუფის სასარგებლოდ.

,,ადამიანმა დაინახა, რომ საზოგადოებრივი სექტორი რაღაცას ცდილობს დ არ შეუშალა ხელი. აბსოლუტურად მისი ნებაა, როგორ გადაწყვეტს და როცა დაინახა, რომ საზოგადოებრივი სექტორი აქტიურობს, ალბათ გადაწყვიტა, რომ ხელი არ შეუშალოს. თუმცა, ეს ალბათ არ ნიშნავს იმას, რომ ის ,,იბერიის“ ლიცენზიისთვის ბრძოლას შეწყვეტს“, – განაცხადა ლუბა ელიაშვილმა.

მისივე თქმით, მას აქვს ინფორმაცია, ვინ არის ის ადამიანი, რომელსაც პრემიერმა ტელევიზიის გაყიდვის საკითხის მოგვარება მიანდო, თუმცა მისი ვინაობის გახმაურებას არ აპირებს.

,,თუ ეს არ არის ცნობილი ე.ი. არ აქვს სურვილი პრემიერს, რომ ამ ადამიანის სახელი იყოს გაცხადებული და შესაბამისად, არც მე გავაცხადებ“, – განაცხადა ელიაშვილმა.

ის იმ არაოფიციალურ ინფორმაციასაც გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, მე-9 შენობიდან ტექნიკის გატანა მიმდინარეობს და განმარტა, რომ მიმდინარეობს იმ ტექნიკის დასაწყობება, რომელიც აღარ მუშაობს და გაჩერებულია.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ, იბერია თV-ს დამფუძნებლებმა განცხადება გაავრცელეს, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ იბერია თV გეგმავს მაუწყებლობის აღდგენას და დამფუძნებლები გამოთქვამენ სურვილს და მზადყოფნას, განიხილონ ტელეკომპანია „მე-9 არხის“ ჟურნალისტებისა და ტექნიკური რესურსის მიღების შესაძლებლობა.

ბიზნესმენმა ზაზა ოქუაშვილის მიერ დღეს გავრცელებულ განცხადებაში კი ნათქვამია: „მქონდა სურვილი და გამოვხატე მზადყოფნა, მონაწილეობა მიმეღო „მე-9 არხის“ ან მისი ტექნიკური რესურსის მიღებაში, მით უფრო, რომ ძალიან მგრძნობიარე ვარ მედიაბიზნესის მიმართ, რომელიც მქონდა ტელეკომპანია „იბერიის“ სახით. მეორე მხრივ, გამოიხატა იგივე სურვილი სააქციო საზოგადოების მიერ. პატივს ვცემ თითოეული მათგანის გულწრფელ სურვილს, რომ უნდათ დამოუკიდებელი და პოლიტიკურად თავისუფალი ტელევიზიის არსებობა, რასაც მეც მივესალმები. სააქციო საზოგადოებაში ახლა უკვე შედის ათასობით ადამიანი. ჩემი მხრივ, არ მიმაჩნია გამართლებულად, რომ ვიყო მათი კონკურენტი. უფრო მეტიც, ვუსურვებ წარმატებებს“.

მედიანიუსი

„ალასანიას პრეზიდენტობის სურვილი თუ აქვს, შანსებიც აქვს“

ალასანია რევანშისთვის კიდევ ერთხელ ემზადება

შორენა გონგლაძე

საპრეზიდენტო კანდიდატთა სიას, შესაძლოა, კიდევ ერთი კანდიდატი შეემატოს.

გავრცელებული ინფორმაციით, ირაკლი ალასანიამ, შესაძლოა, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა დამოუკიდებელ კანდიდატად მიიღოს. ამის შესახებ პოლიტიკურ კულუარებში მისი შეერთებულ შტატებში ვიზიტის შემდეგ საუბრობენ. ალასანიას მიზანი ყოველთვის იყო და რჩება ქვეყნის პრეზიდენტობა. სწორედ ამას უკავშირდება ალასანიას პირველი რეზონანსული გადაწყვეტილება, როდესაც მან გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის თანამდებობა დატოვა და ოპოზიციაში გადავიდა. დღეს უკვე ყველა ფაქტი მოწმობს იმას, რომ ეს იყო შორეული პოლიტიკური გათვლა, რომელსაც ალასანია, ამ გეგმის ავტორებთან ერთად, დღემდე ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება.

– ალასანიამ გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის თანამდებობა 2008 წლის 4 დეკემბერს პირადი გადაწყვეტილებით დატოვა. ალასანიამ ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო პრეზიდენტ სააკაშვილთან მისი განსხვავებული პოზიცია ქვეყნის შიდა და სამხედრო პოლიტიკურ და კონფლიქტის მოგვარების საკითხებში. ალასანია აცხადებდა, რომ შესაძლებელი იყო ომის თავიდან აცილება, რომ სააკაშვილი პასუხისმგებელი იყო იმ დროისათვის არსებულ კრიზისზე, სწორედ ეს გახდა ალასანიას მიერ თანამდებობის დატოვების მიზეზი. საქართველოში ჩამოსული ალასანია ვადამდელი არჩევნების ჩატარებაზე საუბრობდა. მიუხედავად გაღებული „მსხვერპლისა“, უკვე გაოპოზიციონერებული ალასანიას საქართველოში ჩამოსვლა არც ისე კაშკაშა გამოდგა როგორც ამას ბევრი ექსპერტი ვარაუდობდა. ალასანიას დემონსტრაციულმა ნაბიჯმა პოლიტიკურად გარდამტეხი როლი ვერ ითამაშა, მიუხედავად იმისა, რომ ალასანიას პოლიტიკური აქტივობა მუდმივად იყო მედიის ყურადღების ცენტრში.

ალასანიას პოლიტიკური აღმასვლა, ისევე, როგორც სხვა ე.წ. პოლიტელიტის შემთხვევაში მოხდა, სწორედ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ დაიწყო. ალასანიას კაშკაშა ვარსკვლავს, ისევე, როგორც სხვა პოლიტიკოსების მსგავსსაც ნელ-ნელა ნაფტალინის არომატი შეერია, სწორედ ამ დროს მოეკლინა ქართულ პოლიტიკურ ელიტას მხსნელად ივანიშვილი, მისი გამოჩენა რომ არა საქართველოში ალასანიას წარუმატებელი კარიერა დასასრულისკენ იყო წასული, რის გამოც ალასანიას თვალი ისევ უცხოეთისკენ ეჭირა, რასაც თუნდაც წინასაარჩევნოდ გავრცელებული ფარული ჩანაწერიც მოწმობს, რისი ავთენტურობაც კომენტარებში ალასანიამ, ბუნებრივია, არ დაადასტურა.

ალასანიას, რომ პრეზიდენტობაზე ყოველთვის ეჭირა თვალი ეს ცნობილი ფაქტია, არც ის ვერსიაა საფუძველს მოკლებული, რომ ირაკლი ალასანიასა და ბიძინა ივანიშვილს შორის თავდაპირველი შეთანხმება არსებობდა ალასანიას პრეზიდენტობის კანდიდატობასთან დაკავშირებით, თუმცა ეს შეთანხმება, ფაქტია, რომ დაირღვა, რომლის მიზეზის პოვნაც, ალბათ, ალასანია-ივანიშვილის ურთიერთობის ქრონომეტრაჟის გაშიფვრის შემდეგ შეიძლება დადგინდეს.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ალასანია სულ ახალი დანიშნული იყო თავდაცვის მინისტრის პოსტზე, როდესაც მის უცხოეთში ვოიაჟები, კერძოდ, ირაკლი ალასანიას ჯერ დუბაიში ჩასვლას, მერე საფრანგეთსა და ბრიტანეთში გასეირნებას საზოგადოებაში ხმაური მოყვა. შემდეგ იყო ალასანია–ივანიშვილის შეხვედრა, რაც ივანიშვილმა „ძმიმე საუბრად“ შეაფასა. როგორც გაირკვა, შეხვედრა ალასანიას მიერ საკუთარ გუნდში პრეზიდენტობის საკითხის განხილვას ეხებოდა და მის მიერ ვიცე-პრემიერის პოსტთან გამომშვიდობებით დასრულდა. როგორც მოგვიანებით ივანიშვილმა განმარტა,

„ალასანიას ვიცეპრემიერობა ჭორებს შეეწირა, ხოლო ალასანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მასა და პრემიერ-მინისტრს შორის რაიმე „გაუგებრობას“ ადგილი არ ჰქონია და პირველი ვიცე-პრემიერის პოსტიდან მისი გათავისუფლების მიზეზი მოტივირებულია იმით, რომ მან სრული კონცენტრაცია მოახდინოს თავდაცვის საკითხებზე.

ალასანიას რომ პრეზიდენტობაზე ოცნება დღემდე არ შეუწყვეტია, ამას ბევრი გარემოება მოწმობს. გავრცელებული ინფორმაციით, ირაკლი ალასანიამ, შესაძლოა, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა დამოუკიდებელ კანდიდატად მიიღოს. ამის შესახებ პოლიტიკურ კულუარებში მისი შეერთებულ შტატებში ვიზიტის შემდეგ საუბრობენ.

დაბოლოს, ალასანია-სააკაშვილის ფარულმა კოჰაბიტაციამ, რაზეც კულუარული საუბრები ყოველთვის იყო, მზის სინათლე იხილა. ვაშინგტონში, ცენტრალური აზია– კავკასიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე ვიზიტად მყოფმა ალასანიამ სააკაშვილის მიღწევებზე ისაუბრა.

– საქართველო, რასაც ჩვენ დღეს ვხედავთ, წინა ადმინისტრაციებში მომუშავე უამრავი ადამიანის მძიმე შრომის შედეგია. პირველმა პრეზიდენტმა საქართველოს დამოუკიდებლობა მოუტანა, პრეზიდენტი შევარდნაძე, ფაქტიურად, პირველი იყო, რომელმაც დაიწყო საუბარი ნატოზე და ნატოში საქართველოს მომავალზე. შემდეგ მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ყველა მცდელობა გაატარა ამ პროგრესის მისაღწევად და ძალიან ბევრი ახალი ინიციატივა წამოიწყო უფრო მეტი ინტეგრაციისა და საქართველოს სახელმწიფოს მოდერნიზაციისთვის. ჩვენ უნდა ვაღიაროთ ეს, დავაფასოთ და შემდგომი მოქმედებები დავაფუძნოთ იმ მყარ ფუნდამენტს, რომელსაც საფუძველი წინა ადმინისტრაციებმა ჩაუყარეს, – განაცხადა მან.

ალასანიამ ასევე განაცხადა, რომ, სირთულეების მიუხედავად, პოლიტიკური თანაარსებობა მაინც შესაძლებელი გახდა საქართველოში. „იმის მიუხედავად, რომ, რა თქმა უნდა, ჩვენ ყველამ დავუშვით შეცდომები და ძალიან ბევრი ემოცია დაიღვარა არჩევნების შემდეგ, ახლა, ვფიქრობ, ვითარება დაწყაგდა“, – განაცხადა ალასანიამ.

შესაბამისად, სააკაშვილმა ირაკლი ალასანია მთავრობაში ყველაზე ადეკვატურ წევრად შეაფასა. სააკაშვილს არც იმის აღნიშვნა დავიწყებია, რომ ალასანია ყოფილი მთავრობის პროექტების გაგრძელებას ცდილობს, მიუხედავად იმისა, რომ პრემიერი ამის წინააღმდეგია.

თუ რა რეაგირება მოჰყვება ალასანია-სააკაშვილის შორეულ ჰარმონიას პრემიერ-მინისტრის მხრიდან, ეს სულ მალე გაირკვევა, მანამდე კი, ფაქტია, რომ ალასანია რევანშისთვის კიდევ ერთხელ ემზადება.

როგორც ხათუნა ლაგაზიძე აცხადებს, ირაკლი ალასანიას ბოლო ვიზიტისას გაკეთებული მინიშნებები, შესაძლოა, სწორედ ამ ფაქტზე მეტყველებდეს.

– რთული სათქმელია, თუმცა რამდენიმე მინიშნება თუ ფაქტი ამის სასარგებლოდ შეიძლება მეტყველებდეს, განსაკუთრებით მისი ბოლო ვიზიტის დროს გაკეთებული განცხადებები, სადაც ის საუბრობს იმავე საქართველოს ყოფილი პირველი პირების წვლილზე, „შევარდნაძისა და სააკაშვილის განსაკუთრებულ წვლილზე ქვეყნის მოდერნიზაციაში, – აცხადებს ექსპერტი. ხათუნა ლაგაზიძე ასევე ყურადღებას ალასანიას ბოლო დროინდელ თვითკრიტიკაზეც ამახვილებს და ამბობს, რომ ის, რაზეც თავდაცვის მინისტრმა ვიზიტისას ისაუბრა, „დასავლური და ამერიკული ყურისთვის მოსასმენი ვერსია იყო“, თუმცა ლაგაზიძე არ გამორიცხავს, რომ ალასანიას დონის პოლიტიკოსმა გათვალა, რომ ეს მესიჯები ცნობილი ქართველი საზოგადოებისთვისაც გახდებოდა.

– ალასანია საუბრობს ახალი ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებზე, კერძოდ, ძველი ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიმართ განხორციელებულ სისხლისსამართლებრივ დევნაზე. საქართველოს ძალიან მაღალი რანგის პირის მიერ განხორციელებული ასეთი თვითკრიტიკა არის ამერიკული და დასავლური ყურისთვის მოსასმენი ვერსია, მაგრამ ალასანიას დონის პოლიტიკოსმა, რა თქმა უნდა, იცის, რომ ეს არ დარჩება მხოლოდ ამერიკულ მედიაში და ეს მოვიდოდა ქართველ საზოგადოებამდეც. აქედან გამომდინარე, მას შედეგები გათვლილი აქვს, ყოველ შემთხვევაში, როგორც მოგახსენეთ, ეს არის პირველი თვითკრიტიკა ახალი ხელისუფლებისთვის ყველაზე მტკივნეულ თემაზე ამავე ხელისუფლების წარმომადგენლის მხრიდან, – აცხადებს ხათუნა ლაგაზიძე.

პოლიტიკური ექსპერტის განცხადებით, არჩევნების წინ საკმაოდ კონკურენტული გარემოა და არ ჩანს ერთი კონკრეტული ფავორიტი, უდავოდ გამარჯვებული კანდიდატი, როგორიც ეს ყოველთვის იყო წინასაპრეზიდენტო არჩევნებზე. მისივე განმარტებით, სწორედ ამ გარემოებებიდან ახლად შემოსული ფიგურის შანსები საკმაოდ მაღალია, თუკი მას ეს შანსები აქვს. „დღევანდელი პოლიტიკური ველიდან და კანდიდატთა ჩამონათვალიდან ალასანიას კანდიდატობის წამოყენება აძლევს გამარჯვების სერიოზულ შანსს. ასე რომ, თეორიულად დასაშვებია, შეიძლება, ალასანიამ ეს ნაბიჯი გადადგას, მაგრამ მეორეა, რამდენად აქვს მას ამის სურვილი და რამდენად აქვს სურვილი, გაემიჯნოს ხელისუფლება. რაც მთავარია, ამერიკაში ალასანიას ვიზიტმა დაადასტურა ისიც, რომ დასავლეთი მისი ძალიან მნიშვნელოვანი რესურსია. მისი პოლიტიკური კარიერის გზაზე იქნება ეს დღეს თუ ხვალ, თუმცა, ყოველ შემთხვევაში, მე არ გამოვრიცხავ, რომ თუკი ალასანიამ წამოაყენა კანდიდატურა, დასავლეთი იქნება მისი ერთ-ერთი უმთავრესი რესურსი ამ გზაზე და ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის შეხვედრები, რომლებიც გაუმართეს ამერიკაში. თავად ამერიკული მედიის შეფასებაც, რომ ბოლო 5 წლის მანძილზე ეს იყო უპრეცედენტოდ მაღალი რანგის დახვედრა და შეხვედრები, რომელიც ამერიკულმა პოლიტიკურმა და სამხედრო ელიტამ მოუწყო საქართველოს თავდაცვის მინისტრს. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება. მოგეხსენებათ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს არის ის ირიბი მუშაობა ამერიკის სამხედრო ელიტის მხრიდან ალასანიას იმიჯზე და მის პოლიტიკურ პოზიციებზე, – განაცხადა ხათუნა ლაგაზიძემ.

„ზაზა ოქუაშვილის განცხადება გონიერი ბიზნესმენის მიერ გაკეთებული განცხადებაა“

მე-9 არხის შესყიდვის მიზნით სააქციო საზოგადოების შექმნის ერთერთი ინიციატორი, პუბლიცისტი ვასილ მაღლაფერიძე მიიჩნევს, რომ ბიზნესმენ ზაზა ოქუაშვილის მიერ დღეს გავრცელებული განცხადება ვითარების ადეკვატურია.

როგორც მაღლაფერიძემ ,,მედიანიუსთან“ საუბრისას აღნიშნა, ეს არის გონიერი ბიზნესმენის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელმაც იცის, რომ ველური კაპიტალით კი არ უნდა იმოქმედოს ბიზნესმენმა, არამედ საზოგადებისადმი პატივისცემით.

,,ვფიქრობ, ეს პატივისცემა მას პატივისცემად დაუბრუნდება საზოგადოების მხრიდან. გარდა ამისა, ის კარგად ერკვევა მედიაში და თუ სურვილს გამოთქვამს, ის იქნება სააქციო საზოგადოების წევრი და ეს იქნება მისი მხრიდან სამოქალაქო სოლიდარობის გამოხატულება“, – განაცხადა მაღლაფერიძემ და დასძინა, რომ ოქუაშვილის წინადადება არის დროული და ბევრ რამეს მოჰფენს სინათლეს.

მისივე თქმით, ზაზა ოქუაშვილის განცხადება ნათელს მოჰფენს შეკითხვას – მართლაც იყიდება თუ არა ტელევიზია.

,,ჩვენ დღემდე არ ვიცით, კონკრეტულად რა შედის იმ პაკეტში, რომელიც იყიდება, რა ღირებულებაა, რა პირობებია, ან თუნდაც, ვინ არის ის ადამიანი, რომელსაც დაევალა ტელევიზიის გაყიდვის საკითხის მოგვარება. საზოგადოებამ ამის შესახებ ჯერჯერობით არაფერი იცის და ვფიქრობ, რომ ოქუაშვილის განცხადება ამ საკითხშიც სინათლეს შემოიტანს“, – აღნიშნა მაღლაფერიძემ.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ, იბერია თV-ს დამფუძნებლებმა განცხადება გაავრცელეს, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ იბერია თV

გეგმავს მაუწყებლობის აღდგენას და დამფუძნებლები გამოთქვამენ სურვილს და მზადყოფნას, განიხილონ ტელეკომპანია „მე-9 არხის“ ჟურნალისტებისა და ტექნიკური რესურსის მიღების შესაძლებლობა.

ბიზნესმენმა ზაზა ოქუაშვილის მიერ დღეს გავრცელებულ განცხადებაში კი ნათქვამია: „მქონდა სურვილი და გამოვხატე მზადყოფნა, მონაწილეობა მიმეღო „მე-9 არხის“ ან მისი ტექნიკური რესურსის მიღებაში, მით უფრო, რომ ძალიან მგრძნობიარე ვარ მედიაბიზნესის მიმართ, რომელიც მქონდა ტელეკომპანია „იბერიის“ სახით. მეორე მხრივ, გამოიხატა იგივე სურვილი სააქციო საზოგადოების მიერ. პატივს ვცემ თითოეული მათგანის გულწრფელ სურვილს, რომ უნდათ დამოუკიდებელი და პოლიტიკურად თავისუფალი ტელევიზიის არსებობა, რასაც მეც მივესალმები. სააქციო საზოგადოებაში ახლა უკვე შედის ათასობით ადამიანი. ჩემი მხრივ, არ მიმაჩნია გამართლებულად, რომ ვიყო მათი კონკურენტი. უფრო მეტიც, ვუსურვებ წარმატებებს“.

მედიანიუსი

2013, 26 აგვისტო, №201

ეკა ბესელია: „მოსამართლეების დიდი ნაწილი უნდა შეიცვალოს!“

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, ეკა ბესელია, ფიქრობს, რომ კონკრეტულმა მოსამართლეებმა პასუხი უნდა აგონ, რომ სააკაშვილის დამნაშავე ხელისუფლებასთან კოაბიტაცია მიუღებელია და რომ აუცილებლად უნდა დამდგარიყო კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტის საკითხი.

ვინ უწყობდა ბესელიას საბოტაჟს, რომელი მინისტრის პასუხისმგებლობის აუცილებლობას ხედავს ის და რატომ ფიქრობს კომიტეტის თავმჯდომარე, რომ უმთავრესი ახალი ხელისუფლებისთვის საკადრო საკითხების მოგვარებაა? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიასთან.

შორენა კოწოწაშვილი

– ქალბატონო ეკა, თქვენ ხართ იმ გუნდის წევრი, რომელმაც წინასაარჩევნოდ იტვირთა სამართლიანობის აღდგენა და იმ ბიზნესმენებისა და მეწარმეების უფლებების დაცვა-აღდგენა, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის კლანური მმართველობისა და პოლიტიკური ინტერესების მსხვერპლნი გახდნენ. კოალიციური მმართველობის ათი თვის თავზე არა მხოლოდ არასაპარლამენტო ოპოზიცია საუბრობს, რომ ივანიშვილის მთავრობამ სამართლიანობის აღდგენა სააკაშვილის თანაგუნდელებთან კოაბიტაციაზე გაცვალა. ეს ნიშნავს, რომ უჭირს საპარლამენტო უმრავლესობას დაპირების შესრულება?

– სამართლიანობის აღდგენა მართლაც იყო უმთავრესი მოლოდინი, ჩვენი დაპირებაც და ის შეცნობილი აუცილებლობაც, რომელსაც თავისუფლებამდე მიჰყავხარ. სამართლიანობის აღდგენა არ არის ერთჯერადი პროცესი და არც მოკლევადიანი. მე ხომ ყველაზე ახლოს ვიყავი უსამართლობის იმ სივრცესთან, რომელიც ტანჯავდა ადამიანებს. გავლილი მაქვს საკუთრივ უსამართლობის ყველაზე სასტიკი გზა და ვიცი, რას გრძნობენ ადამიანები ამის მოლოდინში. ამიტომაც ვიტვირთე ყველაზე რთული და, ალბათ, ყველაზე დიდი პროექტი – პოლიტპატიმრების გათავისუფლებისა და ამნისტიის პროექტის მომზადება. ამ გადასახედიდან რომ ვუყურებ, ურთულესი იყო, მაგრამ, ამავე დროს, სამართლიანობის აღდგენის ყველაზე მასშტაბური აქტი: 215 პოლიტპატიმარი და დევნილი, აგრეთვე 10 000-ზე მეტი გათავისუფლებული პატიმარი. ამას მოჰყვა ვადაზე ადრე გათავისუფლების ამოქმედება არა პრივილეგიებით, არამედ მაქსიმალურად ყველასათვის, სასჯელთა შეკრების არსებული ცუდი წესის შეცვლა და ა.შ. შემდეგი ეტაპი არის უკანონოდ გამოტანილი განაჩენების გადახედვა და უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნება. სწორედ ჩვენმა კომიტეტმა მოამზადა დადგენილება, რომელიც მიიღო პარლამენტმა ივლისის ბოლოს, რომ გამოძიებულ იქნეს ყველა საქმე, რომელიც წლების განმავლობაში თაროზეა შემოდებული. რეკომენდაციები, რომლებიც ავალდებულებს ყველა უკანონობის გამოძიებასა და დადგენას სამართალდამცავ ორგანოებს. ახლა ვმუშაობთ სპორტის სასახლეში მიღებული რეზოლუციის დასკვნაზე, რომელიც, ალბათ, სექტემბერში დასრულდება. მინდა გითხრათ, რომ სასამართლოში არსებული ვითარება და ძალაუფლების ჭიდილი სააკაშვილის დარჩენილ მეტასტაზებთან აისახა რეალობაზე. მე, პირადად, 8 600 საჩივარი მაქვს მიღებული ამ დროისთვის, რაც რეკორდული მაჩვენებელია. უფრო მეტია პროკურატურაში. ერთბაშად მოხდა ყველაფრის მოზღვავება და, ბუნებრივია, ეს რთული პროცესი აღმოჩნდა პროკურატურისთვის.*

– პროკურატურის მხრიდან გამოძიების დაჩქარებას არ ელით? გასაგებია, რომ ძნელი იყო ერთბაშად ათასობით საქმის გამოძიების დაწყება, თანაც ძველი კადრებით.

– მე მაქვს განცდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პროცესები დაჩქარდება. სააკაშვილი ვეღარ მოიქცევა ისე, როგორც იქცევა. გუნავას რომ ისე იწყალებს, სასამართლო გასაჩივრების ეტაპი არ დასრულებულა, რომელ კანონიერების დაცვაზე შეიძლება იყოს საუბარი? ვცდილობ, რეალობა ერთად დავინახოთ, თუმცა არ მიკვირს იმ ადამიანების, ვინც ბრაზობს და ფიქრობს, რომ მისთვის არ მოხდა ცვლილება. არ ვაჭარბებ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ძმისა და შვილის დამპატიმრებელიც, გამსამართლებელიც და ცრუ მოწმეებიც ყველა თავის ადგილზეა ან დაწინაურებული და ეს მიმაჩნია ცუდ მაგალითად, მაინც ვამბობ, რომ ყველაზე დიდი მონაპოვარი ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ არის ის, რომ ხელისუფლების სათავეში მკვლელები და გამაუპატიურებლები აღარ არიან, არ ეშინია ხალხს...

– პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე და არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი საზოგადოების დიდ ნაწილთან ერთად ფიქრობს, რომ სააკაშვილის ხელისუფლება არის დამნაშავე ხელისუფლება და დამნაშავესთან კოაბიტაცია არ შეიძლება. ეთანხმებით ამ მოსაზრებას? თუ ეთანხმებით, მაშინ საპარლამენტო უმრავლესობამ რატომ არ იმსჯელა ნაციონალური მოძრაობის, როგორც დამნაშავე პოლიტიკური ძალის, პასუხისმგებლობაზე და რატომ უწყობს მას ხელს რეინკარნაციაში?

– ვეთანხმები და არასოდეს შემიცვლია აზრი, რომ დამნაშავეებთან არ შეიძლება კოაბიტაცია. ჩემ მიერ მომზადებული დადგენილება პოლიტიკური პატიმრების აღიარების თაობაზე რა იყო, თუ არა საბრალდებო დასკვნა მიხეილ სააკაშვილისა და მისი რეჟიმის? ეს პარლამენტმა თქვა დეკემბერში და ამ დოკუმენტმა წონასწორობიდან გამოიყვანა მთელი მათი გუნდი. პოლიტიკური შეფასება ჩვენ ამას მივეცით. დამატებით, როგორც გითხარით, ვამზადებ დოკუმენტს, რომელსაც შეფასების დატვირთვა ექნება. არასწორია ბრალდება, რომ ჩვენ რეინკარნაციას ვუწყობთ ხელს, პირიქით, მთელ საერთაშორისო საზოგადოებას დავანახვეთ, რომ სააკაშვილი იყო ავტორიტარი, რომელსაც პირადი მძევლები ჰყავდა. ეს პრინციპული საკითხია და მე, პირადად, არასოდეს შევურიგდები, რომ მათ მიეცეთ ინდულგენცია და ხელშეუხებლობა იმ უბედურებისთვის, რაც ადამიანებს მოუტანეს. ადამიანის უფლებები ტოტალურად რომ ირღვეოდა, უფლებადამრღვევი არ ისჯება? ისჯება.

– მთავარი პროკურატურის წინ არჩილ კბილაშვილის გადადგომის მოთხოვნით საპროტესტო აქცია გაიმართა. ანალოგიური აქცია იგეგმება უზენაეს სასამართლოსთან კოტე კუბლაშვილის გადადგომის მოთხოვნით. არ ფიქრობთ, რომ არასწორი იყო პრემიერის გუნდის მხრიდან იმ მოსამართლეებისა და პროკურორების თანამდებობებზე დატოვება-დაწინაურება, რომლებმაც რეალურად დანაშაულებრივი ქმედებით – პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით უდანაშაულოთა მისჯით დანაშაული ჩაიდინეს და ისინი დღეს ობიექტურ მართლმსაჯულებას ვერ განახორციელებენ?

– კბილაშვილისა და კუბლაშვილის ერთად მოხსენიება არ არის სწორი და სამართლიანი. კუბლაშვილს მიუძღვის ბრალი იმაში, რაც ხდებოდა სასამართლოში. მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ მისი იმპიჩმენტის საკითხი უნდა დადგეს. სასამართლო სრულად იყო პოლიტიზებული. პარლამენტმა თქვა, რომ პოლიტიკური პატიმრები არსებობდნენ და ვინ იღებდა ამ გადაწყვეტილებას?! მოქმედი მოსამართლეები. მე არ ვეთანხმები, რომ ეს მოსამართლეები დარჩნენ უვადოდ. მათ დაკარგეს ნდობა საზოგადოებაში და მათი დიდი ნაწილი უნდა შეიცვალოს. კონკრეტულმა მოსამართლეებმა კი პასუხი უნდა აგონ ისევე, როგორც დამნაშავე პროკურორებმა. ვინც უკანონო დავალებებს ასრულებდნენ, მათი ადგილი დღეს ახალ პროკურატურაში არ არის. რა უნდათ გიორგი დავითაშვილსა და მსგავს პროკურორებს დღეს სისტემაში? ამოიღონ მათი საქმეები და მარტივად ჩანს, რასაც ჩადიოდნენ ბოლო წლები. ამ საკითხში მე სოლიდარული ვარ, ეს ნაბიჯი გადასადგმელია. მჯერა, გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტი გახდება და ის ახალ ენერგიას მისცემს ამ პროცესს, რაც დავიწყეთ ჩვენ პარლამენტში, რომ ადამიანებმა იგრძნონ მათი წილი სამართლიანობაც.

– ანუ ამ კუთხით საზოგადოების უკმაყოფილების გაზრდა „ქართულ ოცნებას“ არ აშინებს? ფაქტია, ბაჩო ახალიას სასამართლოს მიერ რიგ ბრალდებებში გამართლებამ საზოგადოება ივანიშვილის ხელისუფლებისადმი უკმაყოფილოდ განაწყო.

– ახალაიას სასამართლო ასამართლებს, რომელსაც სათავეში კოტე კუბლაშვილი უდგას და არა ბიძინა ივანიშვილი. არ მესმის, ამის გამო რატომ ბრაზობენ ივანიშვილის მისამართით? პრემიერი სასამართლოს საქმიანობაში არ ჩაერევა და ეს არის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი. ჩვენ დამოუკიდებელი მართლმსაჯულება გვინდა, მაგრამ მოსამართლე დარახველიძეს დამოუკიდებელი მართლმსაჯულება, იცით, რა ჰგონია? არჩევნებამდე ოცნების აქტივისტებს აპატიმრებდა სენაკში პლაკატების გაკვრისთვის და არჩევნების მერე ახალაიას ბრალდებაზე ამბობს, რომ არაფერს ნიშნავს. მე არ ვიზიარებ მოსაზრებას, რომ ამ განაჩენის გამო პროკურატურას უნდა გაუბრაზდეთ. ვფიქრობ, ეს მოსამართლის პირადი განწყობა იყო და შემთხვევითი არ არის, რომ ბაჩო ახალაიას საქმეს ეს მოსამართლე იხილავს. როგორ მოხდა, რომ სამივე საქმეზე ახლად გადმოყვანილი, მომაგრებული მოსამართლეები არიან? როგორ მოხდა საქმეების განაწილება, ამას შესწავლა სჭირდება და იუსტიციის საბჭომ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს. ჩვენ ოთხი ძალიან კვალიფიციური და პროფესიონალი წევრი ავირჩიეთ, იქ არის ქალბატონი ევა გოცირიძე. ასეთი ადამიანები ახალ ენერგიას მისცემენ სასამართლო სისტემას.

– ითქვა, რომ პრემიერმა კოალიციის წევრები სერიოზულად დატუქსა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების ბურჯანაძესთან გადადინების გამო. რა ნაბიჯებს გეგმავს პარტიის პოლიტკომიტეტი მხარდამჭერთა შესანარჩუნებლად და მართლაც ყვანიას საქმის გახსნაზე აკეთებს მმართველი გუნდი წინასაარჩევნოდ მთავარ აქცენტს?

– ეს ხელოვნური ხმაური იყო. არავითარი გადადინება არ ხდება. შეიძლება, რამდენიმე ადამიანმა მოისურვა, რომ სხვა გუნდის სარჩევნო პროცესში ჩაებას. ეს საარჩევნო კამპანიას ახასიათებს. განაწყენებული ადამიანების მესმის. მაგრამ ასობით ახალი წევრი მივიღეთ პოლიტსაბჭოს სხდო-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ნინო ბურჯანაძე: „არ შეიძლება, მინისტრის ხელფასი 20.000 იყოს!“

შორენა კოწოწაშვილი

„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, რომელიც აქტიურად ზრდის მხარდამჭერებს იმ პოზიციის გამო, რომელსაც ის კოაბიტაციის პროცესთან დაკავშირებით აფიქსირებს, მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილის მთავრობას საკმარისზე მეტად მაღალი ხელფასები აქვს.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობასთან აქტიური შეხვედრების ფონზე ბურჯანაძე საქართველოს მთავრობის წევრთა „პრეტენზიებზეც“ საუბრობს და მიუღებლად მიაჩნია ის ტენდენცია, რომელიც ივანიშვილის მინისტრებმა იგივე ძვირადღირებულ ავტომანქანებთან დაკავშირებით გამოკვეთეს.

– ნაციონალებს გასრიალებული მანქანები ჰყავდათ, მაგრამ ამათ, ნაციონალების ნაჯდომ მანქანებში არ ჩავსხდებითო და ახალი, უკეთესი მანქანები იყიდეს. მშვენივრად ჩასხდნენ ნაციონალების სკამებში და მანქანაში რატომ ვერ ჩასხდებოდნენ, ხომ არ იცით?! – განაცხადა ამომრჩევლებთან მორიგი შეხვედრის დროს ნინო ბურჯანაძემ.

ოპოზიციური პარტიის ლიდერის თქმით, მართალია, მინისტრი მათხოვარივით არ უნდა დადიოდეს, მაგრამ იმ ფონზე, როდესაც პენსიონერებს მხოლოდ ლარებს უმატებენ, მინისტრებს 20.000 ლარიანი ხელფასი არ უნდა ჰქონდეთ.

– არასოდეს ვამბობდი და არც ახლა ვიტყვი, რომ მინისტრი მათხოვარივით უნდა ცხოვრობდეს, ხელფასი არ უნდა ჰქონდეს და მეტროთი დადიოდეს-მეთქი. საქმეს ვერ გააკეთებს, ასე რომ იყოს, მაგრამ არ შეიძლება, პენსიონერების პენსიის ლარებზე მომატებაზე ვსაუბრობდეთ და მინისტრების ხელფასი 15-20 ათასი და დამატებით 20 ათასი პრემიები იყოს. ვითომ მოიკლეს და სინამდვილეში მოიმატეს ხელფასები, – აღნიშნა ბურჯანაძემ ამომრჩევლებთან შეხვედრაზე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგერთს ჰგონია, ნინო ბურჯანაძის გაძლიერებაზე თავად სახელისუფლებო გუნდის წევრებიც მუშაობენ. რამდენად სიმართლესთან ახლოსაა ეს აზრი, ვერ გეტყვით, თუმცა ცნობილია, რომ დეპუტატების ნაწილი კოალიციური უმრავლესობიდან მნიშვნელოვანწილად იზიარებს იმ პოზიციას ნაციონალებთან მიმართებით, რომელსაც ის პრეზიდენტობის კანდიდატი აფიქსირებს, რომელიც დარწმუნებულია, რომ ბიძინა ივანიშვილის რჩეულს – გიორგი მარგველაშვილს საპრეზიდენტო არჩევნებს შედარებით მცირე ფინანსებითაც მოუგებს.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრები მარგველაშვილის გამარჯვებაში დარწმუნებული არიან. „ქართული ოცნების“ წევრები ფიქრობენ, რომ ბიძინა ივანიშვილს იმხელა რეიტინგი აქვს, მარგველაშვილს გასვლა არ გაუჭირდება. სწორედ ამაში ხედავს პრობლემას „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი, რომელიც ფიქრობს, რომ ხალხმა პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის ხათრით არ უნდა აირჩიოს. შაშიაშვილი ფიქრობს, რომ საპარლამენტო არჩევნებში საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ ხმა ბიძინა ივანიშვილს მისცა და არა ცალკეულ პოლიტიკოსებს, რომლებიც დღეს პარლამენტში არიან. შესაბამისად, ხალხი პასუხს ყველაფერზე პრემიერისგან ითხოვს. ამიტომ, „თეთრების“ ლიდერი დარწმუნებულია, რომ თუ პრეზიდენტსაც ივანიშვილის ხათრით ავირჩევთ, ის ამდენს, უბრალოდ, ვერ გაუძლებს.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, პოლიტიკური მოძრაობა „თეთრები“ და მისი ლიდერები 26 მაისის მონაწილეები არიან და, როგორც „სახალხო კრების“ აქტიური წარმომადგენლები, ბოლო წლების მანძილზე ნინო ბურჯანაძესთან ერთად იბრძოდნენ საბაკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ.

– მე ოქროს კოშკებს ვერ დაგპირდებით და ამას არც თქვენ ითხოვთ ჩემგან, მაგრამ ადამიანს იმის იმის საშუალება უნდა ჰქონდეს, რომ თავის მიწაზე ღირსეულად იცხოვროს. ბიუჯეტს ისე გადავანაწილებთ, რომ ყველა სიკეთე რომელიც ქვეყანაშია, ხალხამდე მივიდეს. ასევე ყველაფერს გავაკეთებთ, რათა დავიწყოთ საგარეო ურთიერთობების დარეგულირება, მათ შორის რუსეთთან და საქართველომ დაიწყოს ნორმალური დემოკრატიული განვითარება. მე არ ვაპირებ და არც ვიკადრებ თქვენ მოტყუებას, – განაცხადა ბურჯანაძემ თიანეთელებთან შეხვედრისას.

ვარდების რევოლუციის სამეულის წევრი ბურჯანაძე, რომელმაც რამდენიმე საკმაოდ კარგი შანსი გაუშვა, სააკაშვილის ხელისუფლება ისე დაეტოვებინა, რომ მაღალი რეიტინგი შეენარჩუნებინა, დღეს სკეპტიკურად უყურებს საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხს.

– სამ წელიწადში მარსზე გაფრენა უფრო იოლი შესაძლებელია, ვიდრე საქართველოს, დღეის მდგომარეობით, ალიანსში გაწევრიანება, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ ადგილობრივების კითხვის პასუხად.

იმის მიუხედავად, რომ სამ წელიწადში საქართველოს ნატოში გაწევრიანებას პრეზიდენტობის კანდიდატი, ფაქტობრივად, გამორიცხავს, ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ აუცილებელია, საქართველომ ითანამშრომლოს ნატოსთან, ევროკავშირთან და ეს ურთიერთობები ყველა შემთხვევაში, უნდა გაღრმავდეს.

– მაგრამ არ ვაპირებ მოსახლეობის მოლოდინებით კვებას. რაც არ უნდა ხმები მჭირდებოდეს, ტყუილს ვერ გეტყვით, – მოუგო თიანეთის ამომრჩეველს ბურჯანაძემ, რომელმაც თიანეთში საარჩევნო შტაბი გახსნა და ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია მოილოცა.

განსხვავებული წინასაარჩევნო პერიოდი

როლანდ ხოჯანაშვილი

ვისაც ახსოვს სულ პირველი მრავალპარტიული არჩევნები საქართველოში, მის შემდეგ სულ წუწუნებენ იმაზე, რომ საარჩევნო კანონმდებლობა ირღვევა. დარღვევა ხდებოდა არჩევნების დღეს, ხმის მიცემის ადგილას და წინასაარჩევნო პერიოდში. როცა დაიხვეწა საარჩევნო უბნების ადმინისტრაცია, კანონიც გამკაცრდა გამყალბებლების წინააღმდეგ და კენჭისყრის შენობას ათასი თვალისა და ყურის მქონე დამკვირვებლები მოედვნენ, ამის შემდეგ უკვე ,,ლაპატით“ ბიულეტენების ჩაყრის მავნე ტრადიციას ბოლო მოეღო, თუმცა გამყალბებლების არმიამ გადაინაცვლა შენობიდან ქუჩაში და ფეხების ბაკუნის, თვალების ბრიალის, მუშტების ტრიალის და მოსყიდვის საშუალებით კეთდებოდა ის, რაც ,,ზემოთ“ უნდოდათ. ცივი გონებით თუ გადავხედავთ იმ ჩვენს ,,რჩეულებს“, რომლებიც ბოლო ათწლეულები მართავდნენ სახელმწიფოს, ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ არ ჰქონდათ ის თვისებები და საქციელი, რის გამოც ხელისუფალი დარქმეოდათ.

რამდენიმე მუნიციპალიტეტში ,,ქართული ოცნების“ ოფისი ხანგრძლივი დაკვირვების ქვეშ მყავდა მოქცეული და არსად ადმინისტრაციულ რესურსს არ ადგმევინებენ ფეხს –კანონდარღვევას ერიდებიან. შესაძლოა, რომ ხდება კულუარული შეხვედრები, თუმცა საზოგადოებაში აღარც ფქვილით, აღარც ფულით და მით უფრო, მუშტების მოღერებით არ დადიან. ამომრჩეველი გაოცებულია, მოდის საპრეზიდენტო არჩევნები და მასწავლებელს დირექტორი არ იბარებს, დირექტორს რესურსცენტრში არ უტარებენ ინსტრუქტაჟს, კლასის ხელმძღვანელები არ იწვევენ საგანგებო მშობელთა კრებებს, პირადობის მოწმობების ნომრების ჩაწერაც აღარ არის ,,მოდაში“, გამგებლები არ იბარებენ ხელქვეითებს და არ ავალებენ საზოგადოებრივ ტრანსპორტში ხმის დაყრას, რომ არჩევნებზე ფარულობა მითია და ყველაფერს ხედავენ ხელისუფალნი.

იქნებ კიდეც ბევრს სწყდება გული, რომ წინასაარჩევნო პერიოდში არ არიგებენ ,,სოციალურ პაკეტებს“, ფიქტიურ ხელფასებსა და ფოჩიან კანფეტებს. სტაჟიანი აქტივისტები ისევ ცდილობენ, არჩევნებით ისარგებლონ, მაგრამ ,,ოცნების“ მოკარდაკარეებმა იციან, რომ ამით ისინი ვერ გამდიდრდებიან (სხვათა შორის, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებამდე 2 დღის განმავლობაში საზოგადოებრივ-ელექტორატულ კვლევას ვაკეთებდი, კამერითაც ვიდექი არჩევნების დღეს, მაგრამ ფულს ჯიბეები არ ამოუვსია, რადგან ანაზღაურება იყო ნული ლარი და ,,საქართველოს ბანკის“ ,,მაესტრო“ ბარათიც გამიყინეს, უფრო სწორად რომ ვთქვა, მხოლოდ 1 თეთრი დააკლეს ასი ათასიან დავალიანებას). ნასარგებლარი ხალხიც იყვნენ იმ არჩევნებიდან – არაერთი კოორდინატორი და ქვეკოორდინატორი ,,მეოცნებე“ აქტივისტებს არჩევნების მერე დასცინოდნენ: ჩვენ 250 ლარი და მეტიც ჩავიდეთ ჯიბეში, აქციებზე ,,ჩამოტარებით“ რომ დავყავდით, კაი მწვადსა და ღვინოს ვურტყამდით ყბაში და თქვენ კიდევ კოჰაბიტაციის (ეგებ სამყაროს) დასასრულამდე ელოდეთ ოცნების ასრულებასო.

ხმის და ნამუსის გაყიდვის მსურველებს რა დალევს, თუმცა ქრთამ-კორუფციის აღმოფხვრის ორი მიმართულება შეიძლება გამოვყოთ: არ მისცენ ამის საშუალება ,,ქვემოდან“ და ან კიდევ ,,ზემოდან“ არ იკადრონ. დღესდღეობით მოსყიდვადაშინების სურვილი ,,ზემოდან“ არ არის, თორემ სექტემბერში მშობლის ხმის ,,შეძენა“ სასკოლო ნივთების გადაცემით შეიძლება, დიასახლისების – სამზარეულოსთვის საჭირო ინგრედიენტებითა და კიდევ ათასი რამით. ახლა აღარ შედის სოფლებსა და ქალაქის ქუჩებში სამშენებლო მასალით დატვირთული სატვირთო მანქანები (გაფიციებით კი ვეძებ, მაგრამ ასეთს ჩემი თვალით კი არა, ფეისბუქითაც ვერ წავაწყდი). მოკლედ, თვისობრივად სხვა ტიპის არჩევნებს მოვესწრებით. ჭორის დონეზე ამბობენ, რომ ამით ,,პუწინის კაცი“ ივანიშვილი ბურჯანაძეს უხსნის გზას პრეზიდენტობისკენო. ცალკე ბაქრაძისტები აყვედრიან ბურჯანაძემარგველაშვილს რუსოფილობას (არადა, რატომ კოჰაბიტაციობენ ,,ამ ,,დერევიანიი რუბლზე“ გაყიდულ ,,ოცნებასთან“ ნაციონალები, ძნელად გასაგებია) და იმიჯს იკერავენ ისეთს, თითქოს ბუში არ აჰფრენოდეთ წარსულსა და დღევანდელობაში. როცა იმიჯზე ვსაუბრობთ, მისი შექმნაც შეიძლება. იმიჯმეიკერები იმიჯის სამ დომინანტ ნაწილს გამოყოფენ. ესენია: საკითხის დასმა, პოზიცია და ლეგენდა. ვინაიდან პრეზიდენტი ლიდერის როლს ითავსებს (უფრო კი სახელმწიფო ლიდერია), იმიჯის სამივე კომპონენტი გამარჯვებული, წარმატებული და გამორჩეული ადამიანის იერსახის შექმნას ემსახურება. საკითხი დასმულია და კინაღამ რეკორდულ მაჩვენებელს ვაღწევთ საპრეზიდენტო კანდიდატურების რაოდენობით, რადგან პრეზიდენტობა ,,კაი ვეშია“. პოზიციები უკვე კარგად ჩამოიყალიბეს რეალურმა კანდიდატურებმა და კიდევ უფრო გამოიკვეთება პოზიციურობა უახლოესი 60 დღის განმავლობაში. ლეგენდების შექმნა კიდევ ჩვენი ფანტაზიის ხალხს არ გაუჭირდება (პირდაპირი და ირიბი გაგებით). პიარის საკითხი ცალკე საგაზეთო მასალაა და მასზე მოგვიანებით შეიძლება ვისაუბროთ. მოკლედ, კარგია, რომ რაღაც არაჩვეულებრივ გარემოში მოვექეცით წინასაარჩევნოდ. საარჩევნო კულტურაც აიწევს და იქნებ პროფესიონალიზმის ხარისხმაც აიწიოს მერე. მახსენდება ფილოსოფოს მერაბ მამარდაშვილის ნათქვამი: ,,მივხედოთ სკოლებს, სპეციალობებს, ჩვენ ისედაც გვაკლია პროფესიონალიზმი, მოქალაქეობრივი შეგნება და, თუ ამისგარეშე მაინც ჯიუტად გადავეშვებით პოლიტიკის აღელვებულ ზღვაში, ძალიან მალე გავირიყებით ნაპირზე, ისევ ისეთივე მშიერ-ტიტველნი და უმეცარნი“.

თუ დავუჯერებთ მერაბს, იქნებ აღარც მშიერ-ტიტველები დავრჩეთ და აღარც უმეცარნი!

ადუაშვილის მკვლელობის საქმეს ნაფიცი მსაჯულებიც განიხილავენ

შორენა გონგლაძე

თბილისის საქალაქო სასამართლომ გუშინ ანტონ ადუაშვილის მკვლელობის საქმის არსებითი განხილვა დაიწყო. როგორც პროკურორმა ნინო აღლემაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ეს არის პირველი სხდომა, რომელზეც მხარეები შესავალ სიტყვებს წარმოთქვამენ. პირველი შესავალი სიტყვით ბრალდების მხარე გამოვა, რის შემდეგაც დაიწყება ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოქვეყნება და დაზარალებული მხარის წარმომადგენლები დაიკითხებიან.

მისივე ინფორმაციით, ადუაშვილის მკვლელობის საქმეზე ამ დროისთვის 7 პირია დაკავებული. მათგან დღევანდელ სხდომაზე ბრალდებულების: ვახტანგ ჩხაპელიას, გელა უბილავასა და კობა ყურუას საქმე განიხილება.

როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებაშია აღნიშნული, 23 აგვისტოს დასრულდა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა ადუაშვილის დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ფაქტზე ბრალდებულების ვახტანგ ჩხაპელიას, გელა უბილავასა და კობა ყურუას მიმართ.

– ბრალდებულების: ვლადიმერ და რამაზ ქარჩავების მიმართ სისხლის სამართლის საქმეები გამოიყო ცალკე წარმოებად და განიხილება არსებითად ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშე, ვინაიდან ბრალდებულმა რამაზ ქარჩავამ შერჩევის სხდომაზე უარი განაცხადა მის მიმართ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვაზე, ხოლო ვლადიმერ ქარჩავამ თავი აარიდა სასამართლოში გამოცხადებას, კერძოდ, პროცესზე წარმოდგენილ იქნა სამედიცინო ცნობა, რომლის თანახმადაც, ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილური იყო და პროცესში მის მონაწილეობას ხელს არ უშლიდა, – აღნიშნულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ამავე ცნობით, სხდომაზე განისაზღვრა შერჩეულ კანდიდატთაგან 12 ძირითადი და 3 სათადარიგო ნაფიცი მსაჯული.

პროკურორ ნინო აღლემაშვილის განცხადებით, ბრალდებას აქვს უტყუარი მტკიცებულებები იმისთვის, რომ ბიზნესმენ ანტონ ადუაშვილის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი იყოს გამოტანილი.

– ჩვენი პოზიცია, მტკიცებულებებით გამყარებული, არის იმგვარი, რომ ყველა ბრალდებული ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა ცნონ დამნაშავედ ყველა წარდგენილი ბრალდების მიხედვით, რადგან ჩვენ გვაქვს უტყუარი მტკიცებულებები იმისთვის, რომ ამ საქმეზე გამოტანილი იყოს გამამტყუნებელი ვერდიქტი. ეს არის ერთადერთი სამართლიანი გადაწყვეტილება და ჩვენ ამ გადაწყვეტილებას საზოგადოებისგან ველით, – განაცხადა პროკურორმა.

პროცესზე ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატმა მოსამართლე ეკა არეშიძის აცილება მოითხოვა იმ მოტივით, რომ მოსამართლემ პროცედურული საკითხების განმარტებისას კანონი დაარღვია. როგორც ადვოკატმა განაცხადა, მოსამართლეს არ აქვს უფლება, ნაფიც მსაჯულებს ინფორმაცია მიაწოდოს ბრალდებულების წარსული საქმიანობის შესახებ, რათა ამან მათზე გავლენა არ მოახდინოს. პროკურორმა კი განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში კანონი არ დარღვეულა და, შესაბამისად, აცილების საფუძველი არ არსებობს. ადვოკატის შუამდგომლობა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა.

ბრალდების მხარემ ასევე დაზარალებულის სტატუსით ადუაშვილის დედისა და ძმის დაკითხვაც მოითხოვა, რასაც დაცვის მხარე არ დაეთანხმა. შეგახსენებთ, რომ გუშინდელ სხდომაზე შერჩეულ კანდიდატთაგან 12 ძირითადი და 3 სათადარიგო ნაფიცი მსაჯული განისაზღვრა.

წალენჯიხაში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დათვლა მიმდინარეობს

წალენჯიხაში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დათვლა მიმდინარეობს.

როგორც „პირველს“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან აცნობეს, 03:00 საათზე დაწყებულმა ძლიერმა წვიმამ დატბორა ყანები და სიმინდის ნათესები, თხილნარი. 15 ოჯახს დაეტბორა სახლკარი და საკარმიდამო ტერიტორია. დაზიანებულია ხიდები. ოხარკალეს უბანში, ღელე ლეკერას ადიდების შედეგად ჩამოიშალა ფეხსავალი ხიდი, წყალმა წაიღო მოხრეშილი გზის დიდი ნაწილი. მეწყერი ჩამოწვა ტაბიძის ქუჩაზე, კალანდიას, ქვედა მაზანდარას ტერიტორიაზე, კერძოდ, ბადრი შანავას ქუჩაზე, საჩინოს, ჭალესა და ობუჯის თემში.

თითქმის ყველა თემში ჩამოირეცხა სავალი გზა.

ამ ეტაპზე ზარალის დათვლა და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს.

პირველი

„შოკისმომგვრელია, რომ თიანეთის რაიონის რამდენიმე სოფელს დანგრეული ამბულატორია ემსახურება“

„დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარის, პრეზიდენტობის კანდიდატ ნინო ბურჯანაძის განცხადებით, შოკისმომგვრელია, რომ თიანეთის რაიონის რამდენიმე სოფელს ნახევრად დანგრეული და ავარიული ამბულატორია ემსახურება.

ამის შესახებ ბურჯანაძემ თიანეთის მოსახლეობასთან გამართული შეხვედრისას განაცხადა, სადაც სასწრაფო დახმარებისა და ამბულატორიის შენობაც დაათვალიერა.

როგორც პრეზიდენტობის კანდიდატმა აღნიშნა, ის ნანახით შოკირებულია.

„მე ვგულშემატკივრობ „ქართულ ოცნებას“ და პიროვნულად დიდ პატივს ვცემ თიანეთის მაჟორიტარ დეპუტატს ზაქრო ქუცნაშვილს, მაგრამ არ შემიძლია, არ ვთქვა, რომ კარგი იქნებოდა, ამბულატორიისა და სასწრაფო დახმარების შენობისთვისაც მიეხედა, როცა თავის რეზიდენციას იკეთებდა. შოკისმომგვრელია, რომ თიანეთის რაიონის რამდენიმე სოფელს, 40კმ-იან რადიუსში სასწრაფო დახმარების ეს ბრიგადები ემსახურებიან“, – განაცხადა ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, საუბრობენ, რომ ის ხელისუფლებას ლანძღავს, თუმცა როგორც მან აღნიშნა, ეს ლანძღვა კი არა, კრიტიკაა, „კრიტიკის გარეშე კი რაც შეიძლება, ხელისუფლებას დაემუქროს, სააკაშვილის დროს ვნახეთ“.

პირველი

სასჯელაღსრულების სამინისტრო მზადაა, პატიმრის მიერ შეწყალებაზე უარის თქმის ფაქტი შეისწავლოს

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო შეწყალების კომისიის თავმჯდომარის ელენე თევდორაძის განცხადებას ეხმიანება.

„შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა ელენე თევდორაძემ 24 აგვისტოს, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში განაცხადა, რომ 217 მსჯავრდებულს შორის, რომელთა შეწყალება შესაძლებელია, იყო ერთი შემთხვევა, როდესაც პატიმარმა თავად განაცხადა უარი შეწყალებაზე და ის, სავარაუდოდ, სხვა მსჯავრდებულებმა დააშინეს.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას, დაუყოვნებლივ შეისწავლოს აღნიშნული შემთხვევა, საზოგადოებას აუწყოს სიმართლე და ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, პატიმარს შეუქმნას ყველანაირი პირობა, რათა მან შეწყალების შესაძლებლობით დაუბრკოლებლად ისარგებლოს იმ ვადებში, რომელშიც სხვა მსჯავრდებულთა შეწყალება მოხდება.

მივმართავთ ქალბატონ თევდორაძეს, სავარაუდო ფაქტის შესახებ, მის ხელთ არსებული ინფორმაცია მოგვაწოდოს“, – ნათქვამია სასჯელაღსრულების სამინისტროს განცხადებაში.

პირველი

„მოსახლეობის მოლოდინებით კვებას არ ვაპირებ“

„დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე, პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე თიანეთის რაიონის მოსახლეობას შეხვდა.

პრეზიდენტობის კანდიდატმა პირველი შეხვედრა სოფელ ღულელებში გამართა, სადაც მასთან შესახვედრად ერწოს ზონის სოფლების მცხოვრებლებიც შეიკრიბნენ.

როგორც ბურჯანაძემ ადგილობრივებთან საუბრისას აღნიშნა, რისი დაპირებაც მას შეუძლია, ესაა ისეთი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რომელიც „მაქსიმალურად შეზღუდავს და დაზოგავს დღეს არსებულ უაზრო საბიუჯეტო ხარჯებს და ის სოციალური დახმარებები, რომელიც გაურკვეველია, როგორ ნაწილდება, თანაბრად და სამართლიანად განაწილდება“.

„მე ოქროს კოშკებს ვერ დაგპირდებით და ამას არც თქვენ ითხოვთ ჩემგან, მაგრამ ადამიანს იმის საშუალება უნდა ჰქონდეს, რომ თავის მიწაზე ღირსეულად იცხოვროს. ბიუჯეტს ისე გადავანაწილებთ, რომ ყველა სიკეთე, რომელიც ქვეყანაში არის, ხალხამდე მივიდეს. ასევე, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა დავიწყოთ საგარეო ურთიერთობების დარეგულირება მათ შორის, რუსეთთან და საქართველომ დაიწყოს ნორმალური დემოკრატიული განვითარება. მე არ ვაპირებ და არც ვიკადრებ თქვენ მოტყუებას“, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

რაც შეეხება ადგილობრივების კითხვას 3 წელიწადში საქართველოს ნატო-ში გაერთიანების პერსპექტივებზე, პრეზიდენტობის კანდიდატმა აღნიშნა, რომ 3 წელიწადში მარსზე გაფრენა უფრო შესაძლებელია, ვიდრე საქართველოს, დღეის მდგომარეობით, ალიანსში გაწევრიანება.

„ეს არის სიმართლე. ასევე, გეტყვით სიმართლეს, რომ აუცილებელია, საქართველომ ითანამშრომლოს ნატო-სთან, ევროკავშირთან და ეს ურთიერთობები ყველა შემთხვევაში, უნდა გაღრმავდეს, მაგრამ არ ვაპირებ, მოსახლეობის მოლოდინებით კვებას. რაც უნდა ხმები მჭირდებოდეს, ტყუილს ვერ გეტყვით“, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მოგვიანებით, პრეზიდენტობის კანდიდატი თიანეთში გაემგზავრა, სადაც საკმაოდ მრავალრიცხოვან მხარდამჭერებს შეხვდა. ბურჯანაძემ თიანეთში საარჩევნო შტაბი გახსნა და ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია მოილოცა.

პირველი

პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემი“ ყრილობისთვის მზადებას იწყებს

სრულიად საქართველოს პოლიტიკურმა ორგანიზაციამ „ლემი“ ნაფიცთა საბჭოს სხდომა გამართა.

საბჭომ „ლემის“ მორიგი მე-5 ყრილობის მოსამზადებელი საკითხები განიხილა.

როგორც „ჯი-ეიჩ-ენს“ „ლემიდან“ აცნობეს, დამტკიცდა ძირეულ ორგანიზაციებში კრებებისა და კონფერენციების ჩატარების გრაფიკი.

„შეიქმნა ორგანიზაციის წესდების ახალი რედაქციისა და სამოქმედო პროგრამაზე მომუშავე ჯგუფი“, – აცხადებენ „ლემში“.

„ლემის“ ნაფიცთა საბჭო მოუწოდებს ორგანიზაციის წევრებს გაერთიანებისაკენ.

„გადავდოთ პიროვნული დაპირისპირება, ერთად მივხედოთ ჩვენს საერთო პრობლემებს და ურთიერთშეთანხმებულად ვიღვაწოთ საერთო წარმატებისთვის“, – აცხადებენ „ლემში“.

სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემის“ მე-5 ყრილობა ოქტომბრის დასაწყისში გაიმართება.

GHN

2013, 26 აგვისტო, №201

ქალაუფლებისთვის ბრძოლის საზიანო მხარე და საქართველოს მომავალი

დასავლური გამოცემა, „გლობალპოსტი“, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით ჟურნალისტ სილვია შტობერის ანალიტიკურ მიმოხილვას აქვეყნებს.

საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი და ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ძალაუფლებისთვის იბრძვიან. ბრძოლაში ამჟამად ევროპარლამენტის ქრისტიან-დემოკრატებიც ერთვებიან, იწყებენ რა ძლიერი კრიტიკის გამოხატვას ივანიშვილის მიმართ.

კონფლიქტის წარმოშობის მიზეზი, ძირითადად პოლიტიკური ძალების თანაფარდობაშია, რომელიც საქართველოში ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ არსებობს. ერთ მხარეს არის პრეზიდენტი სააკაშვილი, რომლის ვადა შემოდგომაზე იწურება. გასული ცხრა წლის მანძილზე ხელისუფლებას მისი პარტია – „ნაციონალური მოძრაობა“ მართავდა და პარლამენტსაც აკონტროლებდა.

მეორე მხარეს, პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი, გამოუცდელი პოლიტიკოსი და მილიარდერი დგას, რომლის კოალიციამ „ქართული ოცნება,“ გასული წლის ოქტომბერში პარლამენტში მანდატების უმრავლესობა მიიღო. ხელისუფლებას ახლა მისი გუნდი მართავს.

სამთავრობო ძალაუფლების ფორმალური გადაცემა შეუფერხებლად მოხდა, მაგრამ ამის შემდეგ, ორივე მხარე კამპანიის რეჟიმს მალევე დაუბრუნდა. დემოკრატიულ უფლებამოსილებათა უარყოფაში ისინი ერთმანეთს ასწრებდნენ.

ის ფაქტი, რომ ივანიშვილმა ქონება რუსეთში დააგროვა, კრემლის ლაქიად წარმოჩენის მიზნით, მის კრიტიკას კვლავ იწვევს. რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინსა და დასავლეთზე ორიენტირებულ სააკაშვილს შორის, წლების მანძილზე პრობლემური ურთიერთობები იყო.

ძალაუფლებისთვის აღნიშნულ ბრძოლაში დიდი წვლილი შეიტანეს ასევე ევროპარლამენტის კონსერვატიული პარტიის დეპუტატებმა ევროპის სახალხო პარტიიდან.

„ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის“ პოლიტიკოსი ელ მარბროკი ივანიშვილს ბრალს „ძალაუფლების ხელში სრულად ჩაგდებაში“ სდებს. სააკაშვილის ეპოქაში მმართველ თანამდებობებზე მყოფი პირები იძულებით იყვნენ თანამდებობებიდან გათავისუფლებულიყვნენ.

ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის დეპუტატი იოაკიმ ზელერი, ბრალს სდებს ივანიშვილის ხელისუფლებას, რომ მან უარი თქვა დემოკრატიული შეთანხმების ძიებაზე.

ერთობლივ წერილში, რომელსაც ხელს ევროპის სახალხო პარტიის 21 დეპუტატი აწერს, პრემიერ-მინისტრს ბრალს, საქართველოსთვის ევროპისკენ მიმავალი გზის დახურვაში სდებენ.

სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობა“ „ევროპის სახალხო პარტიის“ წევრია. ის რეგულარულად მონაწილეობს უმაღლეს დონეზე ჩატარებულ ევროპის სახალხო პარტიის შეკრებებში. ახლახან გამართულ შეხვედრაზე „ევროპის სახალხო პარტიის“ დეპუტატებმა დაამტკიცეს რეზოლუცია, რომელშიც აცხადებენ, რომ უარს იტყვიან ევროკავშირთან საქართველოს თანამშრომლობის ხელშეკრულებაზე – შეთანხმებაზე, რომელიც მნიშვნელოვან უპირატესობებს სთავაზობს საქართველოს არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფ ეკონომიკას.

„ევროპის სახალხო პარტიის პოლიტიკოსები“ თავს იკავებენ სააკაშვილის კრიტიკისგან, რაც გასაკვირი არც არის. მაგრამ შვეიცარიის ელჩმა გიუნტერ ბეხლერმა ევროპის სახალხო პარტიის დეპუტატების შენიშვნებს „საბჭოთა სტილის პროპაგანდა“ უწოდა. ივანიშვილისკენ მიმართულ უჩვეულო წერილში, დიპლომატმა იმ მიკერძოებულ კომენტარებზე ისაუბრა, რომლებიც საქართველოს რეალობას არ ასახავს. შემდეგ კი ის მიესალმა ივანიშვილის და მისი მთავრობის ძალისხმევას რეფორმის განსახორციელებლად და მათ მზადყოფნას, გაითვალისწინონ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ინსტიტუტების რჩევები.

სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს განხორციელდა მთავრობის ადმინისტრაციის მოდერნიზაცია, თუმცა მან ასევე მოახდინა ძალაუფლების მხოლოდ საკუთარ ხელში კონცენტრაცია, ხელი შეუწყო ელიტურ კორუფციას, ახორციელებდა სამთავრობო კრიტიკის თვალთვალს და წამოიწყო საგადასახადო გამოძიებები იმ მეწარმეთა მიმართ, რომელთაც მის პოლიტიკას მხარი არ დაუჭირეს.

კანონიერი შეკითხვები შეიძლება დაისვას ასევე ახალი მთავრობის მიმართაც. კერძოდ, გაუგებარმა განცხადებებმა ახალი პრემიერ – მინისტრის მხრიდან, რომელმაც ჯერ კიდევ უნდა ისწავლოს, რომ ყველაფერს, რასაც იგი ამბობს და აკეთებს, საზოგადოებრივი აზრი შეაფასებს – უკვე გარკვეული ეჭვი დათესა.

საზოგადოებრივი ზეწოლა მოითხოვს მკაცრ სასჯელს სააკაშვილის ხელისუფლების უკანონო საქმიანობის შედეგად მიყენებული ზიანისათვის, რეალურისთვის თუ წარმოსახვითისთვის. გენერალურ პროკურატურაში ათასობით საჩივარი იქნა შეტანილი. ყოფილი პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, რომელსაც ახლა „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის თანამდებობა უკავია და ასევე ოცზე მეტი ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელი, თანამდებობრივ უფლებამოსილებათა ბოროტად გამოყენებისთვის, სასამართლოს წინაშე წარდგომას ელიან.

საქართველოს მრავალ მოქალაქეს აწუხებს კითხვა – რატომ არის, რომ აღნიშნული ფაქტების მიუხედავად, ივანიშვილი კვლავაც ამახვილებს ყურადღებას კრიტიკაზე.

ევროკავშირის წრეები ბრიუსელში, ასევე განიცდიან ევროპის სახალხო პარტიის დეპუტატთა კრიტიკას. გაფართოების საკითხებში ევროკავშირის კომისრის, შტეფან ფულეს განცხადებით, ის კმაყოფილია ახალი მთავრობით. ევროკავშირთან მოლაპარაკებები სტაბილურად მიმდინარეობს და „ზოგიერთ საკითხში ჩვენ გვაქვს უკეთესი შედეგი, ვიდრე ძველ მთავრობასთან“– აღნიშნავს ფულე.

რაც მთავარია, ვილნიუსის სამიტზე, ნოემბერში, ევროკავშირი დაინტერესებულია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში თავისი სამეზობლო პოლიტიკის წარმატების დემონსტრირებაში. „აღმოსავლური პარტნიორობის“ ხუთ სხვა წარმომადგენელს – სომხეთს, აზერბაიჯანს, უკრაინას, მოლდოვას და ბელორუსს, ანგარიშისთვის ძალზე მცირე მნიშვნელობის პროგრესი გააჩნიათ.

მიუხედავად ამისა, სააკაშვილი და მისი მხარდამჭერები საზღვარგარეთ, საქართველოში არსებული მდგომარეობის სანიშად წარმოჩენის ინტერესს არ კარგავენ.

სააკაშვილმა და 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ სხვა ლიდერებმა, ევროკავშირსა და ვაშინგტონში მხარდამჭერთა მოძიებაში ბოლო წლებში წარმატებებს, პირველ რიგში, კონსერვატიული ფრთის პოლიტიკოსებს შორის მიაღწიეს. საქართველოს მიზანმა გაწევრიანებულიყო ნატოში, ბევრ ლიდერზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ სურდათ დემოკრატიისკენ მიმავალი პროგრესის ნაკლებობისთვის ყურადღება არ მიექციათ.

უცხოელ პოლიტიკოსთა სიმპათიით განმსჭვალული განცხადებები სააკაშვილს დაეხმარა მოსახლეობის მიმართ საკუთარი პოლიტიკის ლეგიტიმაცია მოეხდინა.

იმის გათვალისწინებით, რომ სააკაშვილის და ივანიშვილის ბანაკებმა თავიანთი კონფლიქტი საერთაშორისო არენაზე გაიტანეს, ისინი ასევე ზიანს აყენებენ საქართველოს იმიჯსა და მომავალს. და როდესაც ევროპელმა პარლამენტარებმა გააჩაღეს დებატები საქართველოში არსებული ვითარების შესახებ ცალმხრივი, ნეგატიური სურათის წარდგენით, მათ ამით საკუთარი სამოქმედო სივრცეც შეიზღუდეს.

„ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის“ პოლიტიკოსი ბრუკი როგორც ჩანდა, მზად იყო კომპრომისისთვის, როცა განაცხადა: „ჩვენ ვცდილობთ ავაშენოთ ხიდები და გავანელოთ საქართველოში არსებული მდგომარეობა. მე მოვიწვიე პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი ევროპარლამენტში, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის შეხვედრაზე. ჯერ კიდევ გვაქვს დრო დიალოგისთვის და წესრიგის დამყარებისთვის“.

ნოუსპრესი

30 აგვისტოდან საქონლის წინასწარი დეკლარირების ვადა 30 დღემდე მცირდება

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 15 აგვისტოს 271 ბრძანებით, სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის წინასწარი წარდგენის ვადა განისაზღვრა 30 კალენდარული დღით საქონლის შემოტანამდე.

მიმდინარე წლის 30 აგვისტოს ძალაში შედის საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 15 აგვისტოს 271 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის 290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლითაც სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის წინასწარი წარდგენის ვადა განისაზღვრა 30 კალენდარული დღით საქონლის შემოტანამდე. აღნიშნული ვადის დარღვევით საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის შემთხვევაში, სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია ჩაითვლება ძალადაკარგულად და დეკლარანტს წარმოეშობა საქონლის ხელახალი დეკლარირების ვალდებულება.

ცვლილება ასევე ითვალისწინებს ნავთობის ბიტუმზე იმპორტის სასაქონლო ოპერაციის გამოყენებისას სინჯის აღებისა და ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად ხარისხის შესაბამისობის დადასტურების ვალდებულების გაუქმებას. ასეთ საქონელზე სინჯის/ნიმუშების აღება და მისი გამოკვლევა განხორციელდება რისკის პროფილების გამოყენებით შერჩეული კონტროლის ღონისძიებების შესაბამისად.

მედიანიუსი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკანონო იარაღი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკანონო იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო.

სამინისტროს ინფორმაციით, თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს მე-3 განყოფილების და დეტექტივების განყოფილების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი, 1991 წელს დაბადებული გიორგი მ. ცეცხლსასროლი იარაღის, ასაფეთქებელი მოწყობილობის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი მაყუჩით, „მაკაროვი“-ს სისტემის 31 ცალი და „ბრაუნინგი“-ს ტიპის 21 საბრძოლო ვაზნა, „ერ-გე-დე-5“-ის და „ეფ-1“-ის ტიპის 2 ხელყუმბარა, ხოლო საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 5 მჭხვლეტავ-მჭრელი დასაკეცი დანა ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის, ასაფეთქებელი მოწყობილობის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით).

მედიანიუსი

მკვლელობა ცხელ კვალზე გაიხსნა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა. უწყების ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად 1993 წელს დაბადებული პაპუნა შ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ 24 აგვისტოს, გვიან ღამით, ქუთაისში წმინდა სამების სახელობის სასაფლაოზე ურთიერთშელაპარაკებისას ბრალდებულმა „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან ორჯერადი გასროლით მუცლისა და ბარძაყის არეში სხეულის დაზიანებები მიაყენა 1991 წელს დაბადებულ ლუკა კუბლაშვილს. ბრალდებული შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, დაჭრილი ახალგაზრდა კი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, მკვლელობაში ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს, სსსკ-ს 108-ე მუხლით“, — ნათქვამია შსს-ის განცხადებაში.

მედიანიუსი

ბათუმის წმინდა სამების ტაძრის დასახმარებლად საქველმოქმედო კონცერტი გაიმართება

ბათუმის წმინდა სამების ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების მხარდასაჭერად ბათუმის ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრში საქველმოქმედო კონცერტი გაიმართება.

როგორც „მედიანიუსს“ მისმა ორგანიზატორმა, ბათუმის მუსიკალური ცენტრის სოლისტმა, ევროპაში მოღვაწე ქართველმა ტენორმა ირაკლი კახიძემ განუცხადა, კონცერტი ბათუმის, ლაზეთისა და ჩრდილოეთ ამერიკის მიტროპოლიტის, მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით 28 აგვისტოს საღამოს, 20.00 საათზე დაიწყება. მასში მონაწილეობას მიიღებენ: სპეციალური სტუმრის სტატუსით ცნობილი ევროპელი ბარიტონი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ივან ტირონი, თავად ირაკლი კახიძე, პიანისტი ირაკლი შარაძე, მგალობელთა გუნდი „სამება“, რევაზ ლაღიძის სამუსიკო სკოლის აკადემიური გუნდი, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი, კონცერტმაისტერი თეონა ბუაძე და ანსამბლი „ბათუმი“.

ღონისძიების ორგანიზატორები არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აჭარის ტელევიზია, რადიო „აჭარა“ და ბათუმის წმინდა სამების ტაძარი.

მედიანიუსი

რუსეთი ე.წ. სამხრეთ ოსეთს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში დახმარებას დაჰპირდა

ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროებმა თანამშრომლობის გეგმები განიხილეს. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო „ოსინფორმი“ იტყობინება.

წყაროს ცნობით, შეხვედრა „რესპუბლიკის“ შინაგან საქმეთა მინისტრ ახსარ ლავოევსა და რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იგორ ზუბოვს შორის გაიმართა. შეხვედრაზე დაისვა საკითხი ე.წ. სამხრეთ ოსეთში კორუფციის ფაქტების გამოძიებაში რუსეთის პრაქტიკული დახმარების გაწევაზე.

„ჩვენმა კოლეგებმა სისხლის სამართლის საქმეებისა და ეკონომიკური დანაშაულებების გამოძიებაში, ასევე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში დახმარება აღგვითქვეს“, — აღნიშნა ახსარ ლავოევმა.

მედიანიუსი

ეკა ბესელია: „მოსამართლეების დიდი ნაწილი უნდა შეიცვალოს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

მებზე. რაც შეეხება ჟვანიას საქმეს, დიახ, ჩვენ ყველა მოუთმენლად ველოდებით ამ საქმეს. იოლი არ იქნება, კვალს ხომ წაშლიდნენ და გააფუჭებდნენ, რისი გაფუჭებაც შეეძლოთ. ამიტომაც მეტი დრო დასჭირდა, მაგრამ უნდა დადგინდეს ყველაზე მთავარი – რა მოხდა.

– ექსპერტები ივანიშვილის ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ შეცდომად ძველი ანუ სააკაშვილის რეჟიმის ინტერესების გამტარებელი კადრების შენარჩუნებას მიიჩნევენ. ამბობენ, რომ ამ კადრებით ივანიშვილს გაუჭირდება იმ შედეგის დადება, რაც საზოგადოებას დაჰპირდა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პირადად თქვენც შეგიქმნეს პრობლემები კომიტეტის ძველმა თანამშრომლებმა, რაც ერთ-ერთმა იურისტმა საბოტაჟად შეაფასა. ვგულისხმობ, ამნისტიასთან დაკავშირებით მასალების დეპუტატებისთვის დროულად არდარიგებას. საკადრო პოლიტიკის გადახედვას არ გეგმავს კოალიცია?

– საბოტაჟის ნიშნები იყო და ორგანიზებულად ხდებოდა ხელის შეშლა. რეგიონებში, სხვადასხვა სტრუქტურებში, ძალოვნებში... ისინი ისევ ჩვენ წინააღმდეგ მუშაობენ. ამიტომ საკადრო საკითხი, მე ვიტყოდი, ყველაზე მთავარია. ამით უნდა დავიწყოთ რეფორმა, სხვაგვარად გაგვიჭირდება. მეც მქონდა, პრობლემები, კომიტეტში იმ ვითარებაში, როცა დღე და ღამ ვათენებდი პარლამენტში ამნისტიის კანონზე მუშაობის დროს. ერთი პერიოდი უცნაურად იკარგებოდა მასალები, იშლებოდა დოკუმენტები, ისეთი დღეები გადავიტანე, მეგონა, ვერ გავუძლებდი, მადლობა უფალს. თუმცა კადრები... ეს უსერიოზულესი თემაა და უნდა მიეხედოს. წარსულში რას აკეთებდა ეს ხალხი ხელისუფლებაში ხომ ცნობილია და მათ არ უნდა ჰქონდეთ დღეს ბერკეტები, მით უმეტეს, ვინც ზონდერი და მწამებელი იყო.

– დაბოლოს, ციხეების დედოფლად ცნობილი ექსმინისტრი ხათუნა კალმახელიძე აცხადებს, რომ მან არ იცოდა, მის უწყებაში რა ხდებოდა და ამ წამებისა და გაუპატიურების ფაქტების გამოძიებით, პირველ რიგში, ის არის დაინტერესებული... ცრუობს ექსმინისტრი?

– რაც შეეხება ხათუნა კალმახელიძეს, მიკვირს, რატომ აქამდე დაკითხული არ არის. რამდენი წელი ვითხოვდით ჩვენ მის პასუხისმგებლობას; რამდენი წელი გავყვიროდით, რომ ციხეში საშინელება ხდებოდა. რა არ იცოდა? არ ესმოდა, ყოველდღე აქციები რომ იმართებოდა მის სამინისტროსთან? მართლა გჯერათ, რომ ნაცემი და გარდაცვლილი პატიმრების შესახებ არაფერი იცოდა? აბა, ვისი მინისტრი იყო. ნაწამები პატიმრის წერილებს მე, პირადად, ვუგზავნიდი. ბოლოს გაუპატიურებული პატიმრის წერილი გავუგზავნე, რომელიც ქსნის ციხიდან იყო გამოგზავნილი და სამი თვის მერე მოგვწერა, როგორ დავადგინოთ, რა მოხდაო. ასეთი მაღალი თანამდებობა მეტ პასუხისმგებლობას ნიშნავს და მიმაჩნია, რომ უნდა მოხდეს მისი დაკითხვაც და პასუხისმგებლობის განსაზღვრაც. ციხეში არაერთი ნაწამები პატიმარი დაგვრჩა, არიან დაინვალიდებულებიც. ამას წინათრუსთავში ვიყავი და თვალებიდან არ ამომდის მათი სახეები. საშინელება იყო. ისეთი ნაწამები არიან ბოლო წლების განმავლობაში, დახეიბრებულები. ეს სისტემური დანაშაული იყო და ბოლო დადგენილებაში, რომელიც ჩემმა კომიტეტმა მოამზადა, 2012 წლის შეფასების თაობაზე ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, სწორედ ეს წერია და პარლამენტმა ეს მიიღო. ამას კი გაგრძელება უნდა მოჰყვეს.

გიორგი თევზაძე: „პატიმრები გაუგებარ სიტუაციაში ღღესაც იღუპებიან“

ციხეები ჩარაზულია, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საზოგადოებრივი კონტროლი აღარ არსებობს

გულიკო ბალაძე

ინტერვიუ უფლებადამცველ გიორგი თევზაძესთან

– ბატონო გიორგი, რა მდგომარეობაა დღეს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში?

– სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში თითქმის ერთნაირი სიტუაცია და ერთნაირი მიდგომებია. პატიმრებს სასჯელაღსრულების ხელმძღვანელობისა და ხელისუფლების მიმართ პრეტენზიები აქვთ. ეს პრეტენზიები უკავშირდება სხვადასხვა საკითხს, მათ შორის, სამედიცინო, საცხოვრისის, ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის უფუნქციობის, სისხლის სამართლის საქმეების გადასინჯვისა და სხვა საკითხებს. პატიმრებს აქვთ იმის განცდა, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი მიდის ძალიან ნელა. გარკვეულწილად, კოჰაბიტაციის პირობებში სამართლიანობის აღდგენამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა. სამართლიანობის აღდგენა უნდა იყოს არა შერჩევითი ხასიათის, მხოლოდ ცალკეული პირებისთვის, არამედ უნდა არსებობდეს ერთნაირი მიდგომები ყველა ამ კატეგორიის საქმეზე.

– თქვენს ორგანიზაციას ხშირად მიმართავენ პატიმრები სხვადასხვა საკითხზე. ცოტა ხნის წინ მომართეს მე-15 დაწესებულების პატიმრებმა, რომლებიც შიმშილობდნენ. რა ხდება ახლა რუსთავისა და ქსნის დაწესებულებებში, სადაც პატიმრები პერმანენტულად შიმშილობენ. რას მოითხოვენ ისინი?

– მოშიმშილე პატიმრებს მიაჩნიათ, რომ ისინი არიან უკანონო პატიმრობაში და მათი საქმეები უნდა გადაიხედოს. თუ ხელისუფლება აღიარებს, რომ წინა წლებში იყვნენ უკანონო პატიმრები და დაუსაბუთებელი განაჩენები იყო გამოტანილი, მაშინ უნდა ვთქვათ, ისიც, რომ ამ ადამიანების კისერზე გადავიდა ყველაფერი და დღეს ისინი სხვადასხვა ცრუ ბრალდებებით საპატიმროებში სხედან. მათ აქვთ პრეტენზიები, რაც უნდა იქნეს შესწავლილი და სწორი, ობიექტური სამართლებრივი დასკვნები გამოტანილი.

– ზოგს მიაჩნია, რომ ხელისუფლება შერჩევითი სამართლის პრინციპით მოქმედებს. თქვენც ასე ფიქრობთ?

– მუდმივად ვაცხადებთ, რომ შერჩევითი პრინციპი მიუღებელია ნებისმიერ სფეროში, ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში. ეს ის მიდგომებია, რომელიც ანგრევს საზოგადოების ერთიანობას, მით უმეტეს, დაუშვებელია ასეთი მიდგომები პატიმრების მიმართ. შერჩევითი სამართალი ნიშნავს იმას, რომ ვინმეს დარღვეული უფლებები აღდგა და აღუდგინეს სამართალი, დაუბრუნეს ქონება, მეორეს მიმართ კი არ აღდგა სამართლიანობა, რაც, როგორც უკანონო პატიმრისთვის უნდა განხორციელებულიყო. მათი საქმეები დღემდე არ არის შესწავლილი. სწორედ ამას მოითხოვენ პატიმრები – შეიქმნას შესაბამისი კომისია, რომელიც გადახედავს ასეთი კატეგორიის საქმეებს. იმედია, ამ საკითხს ხელისუფლება თავს დაადგამს. პარლამენტარები შეხვდნენ მოშიმშილე პატიმრებს ქალთა კოლონიაში. ქალი პატიმრები მოითხოვენ „აქტიროვკის“ კომისიის ამოქმედებასა და მათი საქმეების შესწავლას. რამდენიმე დღის წინ მოგვმართა, ქსნის მე-15 დაწესებულების პატიმრის ლევან ზავრაშვილის დედამ. მან აღნიშნა, რომ მის შვილს წინა ხელისუფლების რეჟიმის პირობები ცემის შედეგად დაზიანებული აქვს კუჭი და უჭირს მხედველობა. პატიმარმა მიმართა ახლად დანიშნულ ციხის ექიმს, მაგრამ მან სათანადო ყურადღება არ მიაქცია. ციხის ექიმს ადანაშაულებს უყურადღებობაში. ჩვენმა უფლებადამცველმა ორგანიზაციამ მიმართა სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობას, რომ ამგვარ ფაქტებს დროულად მიეცეს სათანადო რეაგირება.

– დაავადებულ პატიმრებს სათანადოდ არ მკურნალობენ?

– ფაქტია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში აღარ არსებობს საზოგადოებრივი კონტროლი. მართალია, სახალხო დამცველთან შეიქმნა პრევენციული ჯგუფი, მაგრამ ეს მინიმალურ შედეგს თუ მოიტანს, რადგან მათ არ აქვთ ის ბერკეტები, რომელიც უნდა ჰქონდეთ. ამიტომ, ფაქტობრივად, ციხეები ისევ ჩარაზულია. იმ პირობამ, რომელზეც იყო საუბარი პრობაციის სამინისტროს მხრიდან, რომ ადვოკატი ან იურისტი არ ყოფილიყო მონიტორინგის ჯგუფში, ამან გამოიწვია პროფესიონალი, პრაქტიკოსი იურისტების შეზღუდვა ციხეებში შესვლასა და მონიტორინგთან დაკავშირებით.

– ახლახან გარდაიცვალა პატიმარი ჩიხრაძე, რომელსაც, როგორც ექსპერტი ზამდაადგინა, წამების კვალი აღენიშნებოდა. ასევე გარდაიცვალა პატიმარი ლევან კორტავა. ამ ხელისუფლების პირობებშიც პატიმრები გაუგებარ სიტუაციაში იღუპებიან, ან ადგილი აქვს მათი წამების ფაქტებს? როგორ ფიქრობთ, პენიტენციურ სისტემაში რა არის კიდევ შესაცვლელი?

– უნდა შეიცვალოს საკადრო პოლიტიკა. მართალია, დღეს არ აწამებენ პატიმრებს, მაგრამ მაინც გაუგებარ სიტუაციაში იღუპებიან ისინი. საქმის გამოძიებამ აჩვენა, რომ ლევან კორტავა ცემის შედეგად მოკლეს, ხოლო პატიმარი ჩიხრაძე, როგორც ექსპერტიზამ დაადგინა, ნაწამები იყო, აქედან გამომდინარე, ამ ხელისუფლების პირობებშიც, მიუხედავად გარკვეული დადებითი ტენდენციებისა, ჯერჯერობით პრობლემატურად რჩება საკადრო პოლიტიკა და წინა ხელისუფლებების პირობებში დამკვიდრებული პატიმრებისადმი მოპყრობის მეთოდები, რომ გამორიცხოს მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხელყოფის შესაძლებლობა. აუცილებელია, ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეთოს სასჯელაღსრულების თანამშრომლების პირადი, სუბიექტური მიდგომები პატიმრების მიმართ. მათ შორის, არ უნდა ხდებოდეს პატიმრების მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენება პენიტენციური სისტემის ცალკეული თანამშრომლების პირადი სუბიექტური დამოკიდებულებების მიხედვით, რის თაობაზეც ინფორმაციები საზოგადოებაში პერიოდულად ვრცელდება.

– ამის მიზეზი რა არის?

– ნებისმიერი ასეთი საქმე უნდა გამოიძიონ და დასაჯონ დამნაშავე და ამგვარი შედეგების წინაშე აღარ დავდგებით. მთავარმა პროკურატურამ შეისწავლა ლევან კორტავას საქმე. გამოიკვეთა, რომ დანაშაული სახეზეა და დაკავებულ იქნენ დამნაშავეები. ასევეა ჩიხრაძის საქმესთან დაკავშირებითაც. ადმინისტრაციის თანამშრომელმა უნდა იცოდეს, თუ სათანადოდ არ უმკურნალებენ პატიმრებს, დაწარმომადგენელს. ამ მიზეზით პატიმარი კარცერში არ უნდა ჩასვა. მართალია, დღეს აღარავის უკვირს სასჯელაღსრულების სისტემაში ბაღლინჯოები და ტარაკნები, მაგრამ, თუკი ამის შესახებ პატიმარი ხმამაღლა განაცხადებს, ამის გამო ის არ უნდა დაისაჯოს.

– პატიმრების მიმართ მინისტრ სუბარის მიდგომებს როგორ აფასებთ?

– მინისტრ სუბართან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით. მას არ აქვს ღია კარის დღე და ჩვენ არ გვაქვს საშუალება მას შევხვდეთ, ვესაუბროთ, თუ პერსონალურად არ დავუკავშირდით. აქ საუბარია არა პირად კონტაქტებზე, რომლის შესაძლებლობა გვაქვს, არამედ, ზოგადად, საერთო ხედვაზე. ეს საკითხი სამართლებრივი დონეზეა გადასაწყვეტი და დასარეგულირებელი. როცა, როგორც უფლებადამცველი, მონიტორინგის საბჭოში ვიყავი, ნებისმიერ არასამთავრობოსაგან, ნებისმიერ ინფორმაციას ვღებულობდი. როცა გავიგებდი, რომ პატიმარი ნაცემი იყო, ვახდენდი რეაგირებას, რის საშუალებასაც დღეს მოკლებული ვართ.

– როგორ ფიქრობთ, მინისტრი ინფორმირებულია თუ რა ხდება ციხეში?

– თუ უწყების ხელმძღვანელი ხარ, ინფორმირებული უნდა იყო. მას აქვს ის ბერკეტები, რომ ინფორმაციას ფლობდეს. თუ ვერ ფლობს ინფორმაციას, ეს მისი პრობლემაა. ფაქტია, რომ პრობლემა პრობლემად რჩება, რომელიც უნდა გადაწყდეს არასამთავრობო სექტორთან ერთად. ჩვენ უნდა მოგვეცეს საშუალება, შევძლოთ პატიმრებთან შესვლა და მათი უფლებების დაცვა. ჩვენს ორგანიზაციაში (ადამიანის უფლებების დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციაში) პერიოდულად შემოდის პატიმრების განცხადებები. ბოლო დროს ერთობლივი განცხადებით მოგვმართეს რუსთავის №17 დაწესებულებიდან კობა კორძაძემ, ანური ჩიკანავმა, პაატა ჭელიძემ, გიორგი შუშაბერიძემ, ლერი მაისურაძემ და სხვებმა. პატიმრები მოითხოვენ მათი საქმეების გადახედვას. ისინი თავს უკანონო პატიმრებად თვლიან. პატიმრების განცხადება დაახლოებით სამი კვირის დაგვიანებით მივიღეთ. ისმის კითხვა, რატომ არ ხდება ასეთი განცხადებების ოპერატიულად გამოგზავნა?

– უკანონოდ გასამართლებული პირების საქმეს კვლავ ის პროკურორები იძიებენ, რომლებიც უკანონოდ აპატიმრებდნენ ადამიანებს. რამდენად სამართლიანია ეს?

– ეს არის ინტერესთა კონფლიქტი. საჭიროა პროკურატურაში დაინიშნონ სხვა პროკურორები, რომლებიც ობიექტურად შეისწავლიან მათ საქმეებს. ბათუმში ადვოკატები გამოთქვამდნენ პროტესტს იმ პროკურორების მიმართ, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს უკანონო გადაწყვეტილებებს ღებულობდნენ. აქედან გამომდინარე, ბევრი კითხვები ისმის. სამართლიანობის აღდგენა ქაღალდზე არ უნდა დარჩეს. უკანონოდ წართმეული ქონების დაბრუნება უნდა მოხდეს. ჩვენ ამის ბევრი მაგალითი გვაქვს. მოქალაქე გივი ჯაფოშვილს წინა ხელისუფლებამ უკანონოდ ჩამოართვა ქონება და სხვა პირებს გადასცა. ამ საქმეზე არაერთი უკანონო გადაწყვეტილება იქნა მიღებული. თანაც ისე, რომ გივი ჯაფოშვილს მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი, იმ სამუშაოებისთვის, რომელიც ქონების წართმევამდე განახორციელა. საუბარია ათობით ათას აშშ დოლარის ოდენობით გაწეულ სამუშაო ხარჯებზე. ახალი ხელისუფლების პირობებშიც კი ამ საკითხის შესწავლა და კანონიერი რეაგირება მცირედითაც კი არ მოხდა. ჩვენ ასევე არაერთხელ მივუთითეთ იმ უკანონობაზე, რაც წინა ხელისუფლების პირობებში იქნა ჩადენილი გურჯაანის რაიონში მცხოვრები ალუდი კაპანაძის მიმართ. მას, შეიძლება ითქვას, პირდაპირი გაგებით ჩამოართვეს უძრავი ქონება და პირიქით დააკისრეს ფულადი თანხის გადახდა, მაშინ როდესაც საქმის მასალებით მაღალი ალბათობით ალუდი კაპანაძეს აქვს დასაბუთებული შემხვედრი მოთხოვნა. ფაქტის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ის პირი, ვინც ალუდი კაპანაძეს ედავება, არის გურჯაანის რაიონის ყოფილი გამგებლის, დავით მესხიშვილის დედა ქეთევან მოსემღვდლიშვილი, რომლის ახლო ნათესავია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ქეთევან მესხიშვილი. ამ საქმეს უკავშირდება ალუდი კაპანაძის მიერ მოწოდებული ვიდეოჩანაწერი, რომელიც ოფიციალურად გავრცელდა „ინფო 9“-ზე და რომლითაც იკვეთება ალუდი კაპანაძის მოწინააღმდეგე მხარის მიერ პირის მიმართ განხორციელებული ზეწოლა სასამართლოში ცრუ ჩვენების მიცემაზე. ალუდი კაპანაძის მიერ წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერი მივაწოდეთ მთავარ პროკურატურას სათანადო რეაგირებისათვის. თუმცა, პროკურატურის მხრიდან რეაგირებას ვერ ვხედავთ. ბუნებრივია, ეს ცალკეული მაგალითებიც აჩვენებს, რომ მიუხედავად საზოგადოების დიდი მოლოდინისა, ამ კატეგორიის საქმეებზე სამართლიანობის აღდგენის პროცესი არც კი დაწყებულა.

ასევე შევჩერდებით მოქალაქე მზაღო მიხელიძის განცხადებაზე, რომელიც ჩვენს ორგანიზაციაში აქვს წარმოდგენილი. ის ითხოვს დახმარებას ერთ-ერთი კომერციული ბანკის მხრიდან განხორციელებული დევნის ფაქტზე. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, ერთ-ერთ სასესხო საქმეზე იგი გამოძიებამ დაზარალებულად ცნო, ხოლო ვალი სხვა პირის მიერაა აღიარებული. თუმცა, ამ მნიშვნელოვანი გარემოებების მიუხედავად, ბანკმა მოქალაქეს მისი კუთვნილი თანხები ჩამოაჭრა და ბანკის საკუთრებაში მიიღო. ეს ტრანზაქცია განახორციელდა მიუხედავად მზაღო მიხელიძის მიერ არაერთგზის ბანკის წინასწარი წერილობითი გაფრთხილებისა. ასევე საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბანკის მოთხოვნაც ხანდაზმულია. ფაქტურად, ბანკმა მოქმედებები განახორციელა, მიუხედავად გამოძიების მიერ მზაღო მიხელიძის დაზარალებულად ცნობისა, მოთხოვნის ხანდაზმულობისა, მზაღო მიხელიძის მიმართ ვალის დაკისრებაზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არარსებობისა. ბანკმა ყველაფრის გვერდის ავლით მოახდინა თანხების მიღება. ფაქტობრივად, ასეთი მიდგომით ბანკმა სრული იგნორირება მოახდინა და შექმნა საკმაოდ საშიში პრეცედენტი, რომლის პრაქტიკაში დაშვების შემთხვევაში, საკმაოდ რთული პროცესები შეიძლება განვითარდეს. ამ საკითხზე ვახდენთ სათანადო რეაგირებას და ვახორციელებთ მონიტორინგს. ვიმედოვნებთ, რომ საკითხს კანონიერი რეაგირება მოყვება. მზაღო მიხელიძესთან დაკავშირებით, ასევე მიმდინარეობს სასამართლო დავა მის შრომით უფლებებზე, რომელსაც წლების განმავლობაში აწარმოებდა და დღემდე დავის პროცესი არც კი დასრულებულა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამ დავას იხილავს მოსამართლე ასმათ კოხრეიძე. ვიმედოვნებთ, რომ ის მიიღებს კანონიერ და ობიექტურ გადაწყვეტილებას. ასეთი მაგალითები, სამწუხაროდ, არცთუ შვიათია, რაც საზოგადოებაში ხელისუფლების მიმართ ნდობას ამცირებს. ასეთ პირობებში ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რომ ვისაუბროთ სამართლიანობის აღდგენაზე. სამწუხაროდ, ქვეყანაში შერჩევითი სამართალია. როცა ხელისუფლებას პრეტენზია აქვს უკეთეს მომავალზე, მაშინ სულ სხვანაირად უნდა მოიქცეს. მოქალაქე მზაღო მიხელიძის საქმე, რომელიც „ყაზტრანსგაზის“ თანამშრომელია, თავის დროზე უკანონოდ დაითხოვეს სამსახურიდან. ეს პიროვნება ებრძოდა მანკიერებას. მან დღესაც ვერ იპოვა სამართალი. მართალია, ის აღადგინეს სამსახურში, მაგრამ შემდეგ, მიზეზთა გამო, კვლავ გაათავისუფლეს. მიხელიძის საქმე ჯერ კიდევ სასამართლოშია. იმედია, მის მიმართ მიღებული იქნება სამართლიანი გადაწყვეტილება.

დიანა ღურწკაია გოგონას დედა გახდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გამოდიან და მღერიან. ღმერთს მადლობას ვწირავ ყველაფრისთვის. მინდა, ყველაფერი მუდამ ასე იყოს.

დიანა ღურწკაიას რუსეთის მთავრობამ საკმაოდ საპატიო მისია დააკისრა – ის ოლიმპიური ცეცხლის მეჩირაღდნე იქნება და ცეცხლს გროზნოში ჩაატანს. მომღერალს უკვე შეატყობინეს, რომ სოჭის 2014 წლის ოლიმპიადაზეა მიწვეული, თუმცა მანამდე ოლიმპიადის ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტაში მოუწევს ჩართვა. რამდენიმე ათასი კანდიდატიდან, მთელი ქვეყნის მასშტაბით 14.000 ადამიანი შეირჩა, რომელთაც წილად ხვდათ პატივი ატარონ ოლიმპიური ცეცხლი თამაშების დაწყებამდე.

ესტაფეტის დაწყების თარიღი და ის ქალაქები, რომელშიც ოლიმპიური ჩირაღდანი გაივლის, ჯერჯერობით მკაცრად გასაიდუმლოებულია. თუმცა როგორც რუსული გამოცემა იტყობინება, ერთ-ერთი ქალაქი, რომელშიც ოლიმპიური ჩირაღდანი იქნება გატარებული, ეს ქალაქი გროზნოა. სწორედ გროზნოში გაატარებს დიანა ღურწკაია ოლიმპიურ ცეცხლს რუსეთის სხვა ცნობილ კულტურის წარმომადგენლებთან ერთად.

ეს ამბავი დიანა ღურწკაიასთვის ნამდვილი სიურპრიზი აღმოჩნდა. უსინათლო მომღერალს ჩირაღდნის ტარებაში მოხალისეები დაეხმარებიან.

მიუხედავად იმ სირთულეებისა, რომელიც დიანა ღურწკაიას ამ მიწვევამ დააკისრა, მომღერალი ძალიან გახარებულია, რომ სწორედ მას ხვდა წილად ოლიმპიური ჩირაღდნის ტარების უფლება.

– დამირეკეს ოლიმპიური კომიტეტიდან სწორედ მაშინ, როცა ოჯახთან ერთად საბერძნეთში ვისვენებდი, ძალიან გახარებული ვიყავი, რომ ოლიმპიადის დაწყებამდე შევძელი ძველი ელადის სული შემეგრძნო, რადგან სწორედ ოლიმპიაში აინთო ოლიმპიური ცეცხლი, – განუცხადა ქართველმა მომღერალმა სურ ჟურნალისტებს.

ცნობილი მომღერალი და აქტიური საზოგადო მოღვაწე პირველად არ იღებს მონაწილეობას ოლიმპიურ მოძრაობაში. 2010 წლის მარტში დიანა ღურწკაია მხარს უჭერდა რუს პარაოლიმპიელებს და მღეროდა ოლიმპიადის დახურვაზე ვანკუვერში.

ამჯერად დიანას მეორე სიხარული დაემატა – ის მეორე შვილის, ნანატრი გოგონას მოლოდინშია. მიუხედავად ასეთი სიხარულისა, მომღერალს ჯერ არ გადაუწყვეტია, სად იმშობიარებს. მისი ქმარი და ძმა რობერტი, რომელიც მისი პროდიუსერიც არის, უცხოურ კლინიკებს ურჩევენ. მათი სურვილია დიანამ მეორე შვილი შვედეთის ან ამერიკის კლინიკებში გააჩინოს, თავად მომღერალს კი რუსეთში დარჩენა ურჩევნია:

– მე რუსეთში მინდა გაჩენა. ასეთი ანდაზაც არსებობს, რომ სახლში კედლებიც გეხმარებიან. ძალიან ვღელავ და მინდა, რომ ყველა ახლობელი ადამიანი ჩემ გვერდით იყოს, – ამბობს დიანა ღურწკაია.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.
ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის სარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის სარეგის დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

2013, 26 აგვისტო, №201

შეაჩერეთ ბაკქანალია!

ეკა ირემაშვილი

ყოფილი „მხატვრის სახლის“ ადგილას არსებული პროექტის შესახებ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მრგვალი მაგიდა გაიმართა.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ რუსთაველის პროსპექტზე მიმდინარეობს შპს „მაგთის“ მიერ წარმოდგენილი სახვითი ხელოვნების მუზეუმის კომპლექსის მშენებლობა, თბილისის მერიაში არსებული საბჭოს მიერ დამტკიცებული პროექტით. ტერიტორიაზე, რომელიც შემოფარგლულია დასავლეთით რუსთაველის პროსპექტის ერთი მონაკვეთით, ჩრდილოეთით ჯორჯაძის და სამხრეთით გუდიაშვილის ქუჩებით უნდა აშენდეს ბეტონის კონსტრუქციის, მსხვილმასშტაბიანი სამი ნაგებობა – სახვითი ხელოვნების მუზეუმი, რომელიც ერთიან მრავალფუნქციურ კომპლექსში მოაქცევს კომერციული და კულტურული დანიშნულების სამ ნაგებობას – მუზეუმს, გესთჰაუზსა და არტჰაუზს.

პროექტის მიხედვით, ასაშენებელი ნაგებობა მაღალი მანსარდით დასრულებული ხუთსართულიანი იქნება, რუსთაველის პროსპექტის მიმართ გრძივად განვითარებული სივრცითი სტრუქტურა, მასშტაბი და ზომა-წონა არ შეესაბამება პროსპექტზე მდებარე, XIX საუკუნის მეორე ნახევარსა თუ XX საუკუნის დასაწყისის სხვადასხვა მონაკვეთში აგებულ, მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებით გამორჩეულ შენობებს.

როგორც კულტურის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე ითქვა, მიუღებელია დაპროექტებული ფასადის არქიტექტურული მორთულობა. გასათვალისწინებელია, რომ შოთა რუსთაველის პროსპექტის განაშენიანებას ქრონოლოგიურად და სტილისტურად განსხვავებული ნაგებობები ქმნის და მათი აბსოლუტური უმრავლესობა ძეგლის სტატუსის მქონეა. იგივე შეიძლება ითქვას, პროექტის იმ ნაწილზე, რომელიც გუდიაშვილისა და ჯორჯაძის ქუჩებზე მიემართება.

როგორც კულტურის მინისტრის მოადგილემ მარინე მიზანდარმა განაცხადა, საჭიროა ამ მშენებლობის შეჩერება, რომელიც რუსთაველის გამზირის არანაირ სტანდარტში არ ჯდება.

როგორია ყოფილი „მხატვრის სახლის“ მოკლე ისტორია? რუსთაველის პროსპექტის მიმდებარე განაშენიანებაში ყოფილი თბილისის სასამართლო პალატისა და საოლქო სასამართლოს შენობას, რომლის არქიტექტორიც ოტო იაკობ სიმონსონი იყო მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. აღნიშნულ ნაგებობას საბოლოო სახე არქიტექტორმა ალბერტ ზალცმანმა შესძინა, რომელმაც სიმონსონისეული ორსართულიანი შენობა 1895 წელს სამსართულიანად გადააკეთა, რის შემდეგაც აქსასტუმრო ორიანტი განათავსეს. საბჭოთა დროს შენობაში სასტუმრო ინტურისტი, ბოლო დროს კი მხატვრის სახლი იყო მოთავსებული. ნაგებობა, როგორც ცნობილია, 1991-1992 წლების მიჯნაზე მომხდარ, ე.წ. თბილისის ომს ემსხვერპლა.

– ცნობილია, რომ განადგურებული შენობის გარე კედლები დიდხანს იდგა ხელუხლებლად, სავარაუდოდ 1992 წლის ბოლოს კი ნაგებობა დაანგრიეს. დანგრევას წინ უსწრებდა ძეგლთა დაცვის სპეციალისტების მიერ დეტალური ანაზომის გაკეთება იმედით, რომ შენობა აღდგებოდა და რუსთაველის პროსპექტსა და ქალაქს ნეო რენესანსულ-ბაროკული სტილის ისტორიულ-არქიტექტურული და ურბანული ღირებულების ნაგებობა შეუნარჩუნდებოდა. ცნობილია ისიც, რომ შედგა ნაგებობის რეკონსტრუქციის პროექტიც. რუსთაველის პროსპექტზე, ქვაშვეთის ეკლესიასა და კინოთეატრ რუსთაველის შენობას შორის ვეებერთელა ცარიელი ადგილი წარმოიქმნა. საქმე გაართულა იმ ფაქტმაც, რომ 2006 წელს ნაგებობების სტატუსის მოხსნის შემდეგ, ჯორჯაძისა და გუდიაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე, არქიტექტურული ღირებულებით გამორჩეული, მანანა ორბელიანის სახლის სახელით ცნობილი ადრეულკლასიცისტური ნაგებობა, რომელიც გუდიაშვილის ქუჩის 18 ნომერში მდებარეობს და ზემოაღნიშნული შენობის მიმდებარე, სიძველითა და თბილისური სპეციფიკით გამორჩეული ორსართულიანი შენობაც, რომელიც გუდიაშვილის 20 ნომერში მდებარეობს, სპეციალისტების ნაწილის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, დაანგრიეს. აღნიშნული ნაგებობები თავიანთი ეზოს სივრცეებით სიმოსონ-ზალცმანისეულ შენობას აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდნენ. ასე გაჩნდა რუსთაველის პროსპექტის შუაგულში, პროსპექტის ერთ მონაკვეთსა და გუდიაშვილის ქუჩას შორის მოქცეული ვეებერთელა ორმო, – ითქვა კულტურის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე.

კულტურის სამინისტროში გამართულ შეკრებაზე გადაწყდა, რომ უწყებიდან „მხატვრის სახლის“ ადგილას მიმდინარე მშენებლობის შეჩერების მოთხოვნით „მაგთის“ წერილი გაეგზავნება. წერილს მრგვალ მაგიდაზე შეკრებილი სპეციალისტების ნაწილი დაეთანხმა.

კულტურის სამინისტროში გამართულ მრგვალ მაგიდას ესწრებოდნენ ხელოვნებათმცოდნეები, არქიტექტორები, „ტფილისის ჰამქრის“ წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, კულტურის სამინისტროს მესვეურები და ყველა ის პირი, ვინც ამ საკითხში კომპეტენტურია. მრგვალ მაგიდას კულტურის მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარი უძღვებოდა. ერთობლივი შეთანხმებით შედგა წერილი, რომელშიც წერია:

„ვიმედოვნებთ, რომ დამკვეთი გამოიჩენს კეთილ ნებას და გაითვალისწინებს სპეციალისტებისა და საზოგადოების დიდი ნაწილის აზრს „მხატვრის სახლის“ არსებული პროექტის დროებით შეჩერებასა და გადახედვასთან დაკავშირებით“.

კულტურის სამინისტრო წერილს „მაგთის“ დირექციას უახლოეს დღეებში გაუგზავნის. „მაგთის“ დაკვეთით „მხატვრის სახლის“ ადგილას, რუსთაველის 7 ნომერში, შენდება შენობა, რომლის პროექტიც არქიტექტორებისა და ხელოვნებათმცოდნეების უმეტესობისთვის მიუღებელია.

კულტურის მინისტრის მოადგილეს მიაჩნია, რომ:

– დამტკიცებული პროექტი რუსთაველის გამზირის კულტურულ-ისტორიულ განაშენიანებასთან შეუსაბამოა, როგორც მასშტაბით, ასევე ფასადით. ამ შეხვედრის მიზანი სპეციალისტებისთვის სადისკუსიო სივრცის შექმნა და დამკვეთისადმი წერილის გაგზავნაა. ჩვენ, სამინისტრომ, მივეცით საშუალება პროფესიონალთა წრის დიდ ნაწილს თავისი აზრი გამოეხატა ამ პროექტთან მიმართებით და განგვესაზღვრა რისი გაკეთება შეგვიძლია ჩვენი ძალიან მწირი შესაძლებლობების ფარგლებში. სამოქალაქო საზოგადოებას უფრო მეტი ძალა აქვს. მიმაჩნია, რომ „მაგთიმ“ ახალი პროექტი უნდა შეიმუშავოს, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის მისაღები იქნება. იდეალური იქნებოდა მთელ პროექტზე კონკურსის გამოცხადება. არ გამოვრიცხავ, რომ „მაგთი“ სამინისტროს მიერ გაგზავნლ წერილს გაითვალისწინებს, რადგან მის ხელმძღვანელობას ხელოვანებთან ურთიერთობის გამოცდილება აქვს.

ურბანისტი ლადო ვარდოსანიძე აცხადებს:

– ის, რაც რუსთაველის 7 ნომერში შენდება არ მომწონს. ნამდვილად ვიწუწუნებ დაწყებული მშენებლობის პროექტს, თუმცა მშენებლობის შეჩერების მოთხოვნა „მაქსიმალისტურია“. ყველაფერი დამკვეთის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, რადგან ეს არ არის პატარა ჯიხური, რომ მშენებლობა შეაჩეროო და ორი თვის მერე გააგრძელო მუშაობა. აქ უკვე ამოქმედებულია მანქანა, კონტრაქტები დადებულია. მგონია, რომ რაიმეს მოთხოვნა და მით უმეტეს, მშენებლობის შეჩერების მოთხოვნა, უკვე დაგვიანებულია. რა თქმა უნდა, ყველას კარგი გვინდა ჩვენი ქალაქისთვის, მაგრამ დროულად კარგი უნდა აკეთო და არა ზოგადად კარგი. შენობის მასშტაბი ნამდვილად არ მაშინებს, რადგან რუსთაველის გამზირზე არაერთი მასიური შენობაა, მათ შორისაა პარლამენტის ყოფილი შენობა და საცხოვრებელი სახლი რუსთაველის პირველ ნომერში. „მინიმალისტური“ – არა იდეალური, მაგრამ რეალისტური გამოსავალი ისაა, რომ „მაგთიმ“ მხოლოდ შენობის ფასადზე გამოაცხადოს კონკურსი. შიდა მოწყობის კრიტიკის კომპეტენცია არც ერთ საბჭოს არ აქვს. ეს არის დამკვეთის პრეროგატივა. შიგნით რა ხდება, მესაკუთრის საქმეა. ფასადს კი ყოველდღე ვაკვირდებით, მისი გავლენის ქვეშ ვხვდებით. საზოგადოებრივ სივრცეზე მოქმედებს ფასადი და არა შინაარსი. სამწუხაროდ, უმრავლესობამ ამას მხარი არ დაუჭირა.

„ტფილისის ჰამქრის“ ხელმძღვანელის, თამარ ამაშუკელის თქმით:

– „ტფილისის ჰამქრმა“ კულტურის სამინისტროსა და თბილისის მერიას განცხადებით უკვე მიმართა. სამწუხაროდ, კულტურის სამინისტროს ბერკეტი არ გააჩნია, რომ მშენებლობა შეაჩეროს. მიმაჩნია, რომ რუსთაველის გამზირზე, რომელიც კულტურული დაცვის ზონაშია მოქცეული, მშენებლობის ნებართვის გაცემისთვის მეტი სიფრთხილე აუცილებელია. სანამ არ შეთანხმდება არქიტექტურის ფასადი, მანამდე იქ შენობის აშენება არ შეიძლება. აქ ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან არის ქალაქის მთავარი გამზირი. პროექტი შეთანხმდა, ოღონდ არ იციან, რას აშენებენ. რუსთაველზე კი არა, ეს საერთოდ ყველგან დაუშვებელია. ჩვეულებრივი მოკვდავი ამას ვერ გააკეთებს. ჯობია თანამედროვე არქიტექტურა აშენდეს და ღირებული, ვიდრე ძველის მიმსგავსებული. რუსთაველის გამზირზე მდებარე შენობები სხვადასხვა დროს არის აშენებული და ამდენად, გამზირის ეკლექტიკურ სივრცეში თანამედროვე არქიტექტურული ძეგლი ამოვარდნილი არ იქნება. ახლა დადგა დრო, ყველამ აიმაღლოს ხმა ამ უმსგავსობის წინააღმდეგ. დროა ქართულმა საზოგადოებამ გამოთქვას თავისი აზრი, რომ რუსთაველის გამზირზე ერთხელ და სამუდამოდ შეჩერდეს ეს ვაკხანალია.

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის თანამშრომელი ციცინო ჩაჩხუნაშვილი აცხადებს, რომ:

– „მხატვრის სახლის“ ადგილას დაწყებული მშენებლობა უნდა შეჩერდეს. რომ ვუყურებ, ვერც კი წარმომიდგენია, რომ ეს შენობა შეიძლება იქ გაჩნდეს. ალბათ, საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის ასე იქნება. ამიტომ უნდა შეჩერდეს მშენებლობა. შენობის პროექტს სტილსაც ვერ მოვუძებნით. ეს ნამდვილად მიუღებელია. „მხატვრის სახლის“ ფოტოები, აზომვითი ნახაზები და სხვა საჭირო მასალა არსებობს, რაც შენობის ახლიდან აშენების საფუძველს ქმნის. მიმაჩნია, რომ ინვესტორი როცა ასეთ მნიშვნელოვან ადგილს ყიდულობს, მზად უნდა იყოს, ამგვარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

„მაგთი“ იმ ადგილას, სადაც სამი შენობა – „მხატვრის სახლი“, მანანა ორბელიანის სახლი და კიდევ ერთი საცხოვრებელი სახლი იდგა, მრავალფუნქციურ ცენტრს აშენებს. ცენტრში საცურაო აუზი, სამუზეუმო სივრცეები და რესტორანი იქნება თავმოყრილი.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსადაქმედებებს,ეჭვიანობას,თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთსკეპტიკოსებსაცდა იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთმდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბაროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ,ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, აღაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ. №166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულის-ხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (ენურეზიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურეზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა– ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

უნიკალური აღმოჩენა მირზაშაფში

ეკა ირემაშვილი

აბანოთუბანში, გრიშაშვილის აღმართზე უნიკალური აღმოჩენა გაკეთდა. მირზაშაფში ახალი აღმოჩენა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველმა მოდგილემ მარინე მიზანდარმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებთან ერთად ადგილზე შეაფასა. მინისტრის პირველი მოადგილე არქიტექტორს, არქეოლოგებსა და სპეციალისტებს შეხვდა და აღმოჩენა პირადად დაათვალიერა.

თბილისის ისტორიულ უბანში, მირზაშაფში მიმდინარე მშენებლობის პროცესში ძველი ნაგებობის ნაშთები აღმოჩნდა. მშენებლობაზე აუცილებელი გახდა არქეოლოგების ჩართვა. არქეოლოგიური ექსპედიციის წევრთა ვარაუდით, აღმოჩენილი შენობა შესაძლოა მე-11 საუკუნეს ეკუთვნოდეს, ადგილზე ასევე ნაპოვნია თიხის ჭურჭელი, მოჭიქული კერამიკა და ოქროს ბეჭედი. ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ბოლო პერიოდში თბილისში მიმდინარე არქეოლოგიური კვლევისა და შესწავლის დროს ძვირფასი ლითონი იქნა ნაპოვნი.

– როგორ ხედავთ, თბილისის გულში, გაკეთდა კიდევ ერთი უნიკალური აღმოჩენა, რომელიც სპეციალისტების ძირეულ საჭიროებს. ეს აღმოჩენა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ამ ადგილას, კლაუბანში, აბანოთუბანში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრება ჯერ კიდევ ადრეული საუკუნეებიდან ჩქეფდა. სამინისტრო ინვესტორთან მოლაპარაკებებს აწარმოებს, იმისათვის, რათა ამ ისტორიული ძეგლის კონსერვაცია მოხდეს. ისტორიული შენობა ისე უნდა აღდგეს, რომ დამთვალიერებელს მისი ნახვა შეეძლოს. სწორედ ეს არის თბილისის გული, რომელიც ალბათ კიდევ არაერთ საიდუმლოს ინახავს, – განაცხადა მარინე მიზანდარმა.

ტერიტორიაზე, სადაც უნიკალური აღმოჩენა გაკეთდა, სამშენებლო პროცესი მიმდინარეობს. კომპლექსის მშენებლობის დამკვეთი ფირმა გეგმავს არქეოლოგიური კვლევები დააფინანსოს, რათა კიდევ უფრო საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი ეს ადგილი. შენობა, რომელიც მშენებლობის პროცესში იქნა აღმოჩენილი წყალგაუმტარი ნივთიერებით არის დამუშავებული, ამიტომ სავარაუდოდ, ეს ადგილი აბანო უნდა ყოფილიყო.

მირზაშაფში ტერიტორიის კვლევა გრძელდება. სპეციალისტები აცხადებენ, რომ საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ შესაძლებელი გახდება ამ კონკურეტულ შენობასთან დაკავშირებით ინფორმაციის დადება.

როგორც არქეოლოგი ვაჟა სადრაძე აღნიშნავს, სავარაუდოდ ამ ტერიტორიაზე აბანოები მდებარეობდა:

– ახლად გათხრილ არქეოლოგიურ ობიექტზე, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილია მიწის საფარისგან გათავისუფლებული, ოქროს ბეჭედი და კერამიკის ნატეხებია აღმოჩენილი. ბეჭედი, რომელიც ალმადინის თვლითაა გაფორმებული, შესაძლოა, ანტიკური ხანისაც იყოს. რაც შეეხება შენობას, მისი მხოლოდ განივი კედელია გადარჩენილი, სიგრძივი კედლები კი განადგურებულია. სავარაუდოდ შენობას, რომელიც ხევისკენ ეშვებოდა, 120 კვადრატული მეტრის ფართობი ჰქონდა. უკვე აღმოჩენილია სავარაუდო აბანოების იატაკი და კედლების ნაწილი, რომლებიც „ჰიდრავლიკური ხსნარის“ შემცველი ნალესით იყო მოპირკეთებული. ეს ხსნარი წყლის შემაკავებელი ნივთიერებაა, რომელიც მათ აფიქრებინებს, რომ გვიან შუასაუკუნეებში აქ აბანოები იყო. თუმცა იმისთვის, რომ მათი ვარაუდი საბოლოოდ დამტკიცდეს, აბანოებისთვის საჭირო გაყვანილობის არსებობაც უნდა დადასტურდეს.

ისტორიული ძეგლი მირზაშაფის ქუჩის 5 ნომერში მიმდინარე მშენებლობისას აღმოაჩინეს. ტერიტორიაზე „კავკასუს როუდ პროჯექტი“ მრავალფუნქციურ კომპლექსს აშენებს.

როგორც კომპანიის დირექტორმა ლევან ტრაპაიძემ აღნიშნა:

– მშენებლობის პროცესში ძველი შენობის ნაშთები აღმოჩნდა, რის შესახებაც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შევატყობინეთ.

კულტურის სამინისტროში კი განაცხადეს:

– ეს არის პირველი შემთხვევა, როცა თბილისში წარმოებული არქეოლოგიური კვლევებისას ოქროს სამკაულია აღმოჩენილი. ძეგლზე მომუშავე არქეოლოგებმა განაცხადეს, რომ მათ ძალიან ბევრი არტეფაქტები აღმოაჩინეს, რომელთა ძალიან მცირე ნაწილი იყო გამოფენილი კულტურის მინისტრის მოადგილის მარინე მიზანდარის ვიზიტისას. აღმოჩენილი არტეფაქტები არქეოლოგიის ცენტრშია გადატანილი, რომლებიც სპეციალისტებმა უნდა შეისწავლონ.

სეოკის ყოფილ პრეზიდენტს თაღლითობაში ადანაშაულებენ

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების თაღლითურად მისაკუთრებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზეა მხილებული. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, შპს „არტესის“ დამფუძნებელი ზაზა კაპანაძემ, ამავე საწარმოს არაოფიციალურ დამფუძნებელ გია ნაცვლიშვილთან ერთად, ააიპ „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის“ იმჟამინდელ ხელმძღვანელ სერგო ქავთარაძის დახმარებით, საბიუჯეტო თანხების თაღლითურად დაუფლების მიზნით, შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება ფიქტიურად გაზარდეს, რითაც ისინი თაღლითურად დაეუფლნენ თბილისის განვითარების ფონდის კუთვნილ 4.052.108 ლარს.

აღნიშნული თანხები გამოყენებული იქნა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსგან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსგან თბილისის მე-2 სამშობიაროსახლის, ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური ცენტრის და ბათუმის სამშობიარო სახლის, პედიატრიის ინსტიტუტის ალერგიისა და რევმატოლოგიის ცენტრის, გ. ყვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის და მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს შესაძენად, რითაც მოახდინეს უკანონოდ მიღებული შემოსავლის ლეგალიზება.

საქართველოს მეჭოქეთა მატჩები

ევროპის ჩემპიონატი კარსაა მომდგარი და მთელს კონტინენტზე ევრობასკეტისთვის მოსამზადებელი ტურნირებია გაჩაღებული. ჩემპიონატის მონაწილეები მზადების ბოლო ეტაპს გადიან და საკონტროლო მატჩებში სრულყოფენ იმ კომბინაციებსა და ტაქტიკას, რაზეც აქამდე მუშაობდნენ. საქართველოს ნაკრები მეტოქეთაგან გასულ დღეებში ყველამ ითამაშა.

ზოგმა მოიგო, ზოგმა – წააგო. მართალია, ამხანაგური მატჩები არაფერს წყვიტავს, მაგრამ მათგან გარკვეული დასკვნების გაკეთებაც შეიძლება.

ამხანაგურ მატჩებში პირველი გამარჯვება მოიპოვა უკრაინამ, რომელიც აქამდე ყველასთან უიმედოდ აგებდა. რა შუაშია უკრაინა საქართველოსთან და უკრაინელებმა ჩვენი მეტოქე პოლონეთი დაამარცხეს. ბოლო მეოთხედის წინ პოლონეთი 10 ქულით იგებდა, მაგრამ უკრაინელებმა მოინდომეს და საბოლოოდ 1 ქულით – 84:83 მოიგეს. სამაგიეროდ, პოლონელებმა შემდეგ დიდ ბრიტანეთს გადაურბინეს – 85:66.

აღსანიშნავია, რომ წააგო ხორვატიამაც, რომელიც საქართველოს ნაკრების მეტოქეა ევრობასკეტზე. ხორვატებმა შანსიდ გამოიყურებოდნენ (71:88) იმ სერბეთთან, რომელიც საქართველომ 16 აგვისტოს ანტიბის ტურნირზე 75:71 დაამარცხა.

ჩეხეთმა, ორმელმაც 2 დღის წინ რუსეთს მოუგო, გუშინ ლიტვასთან 55:69 წააგო. ესპანეთმა საფრანგეთს 85:76 მოუგო, ხოლო სლოვენიამ ჯერ ჩერნოგორიელები დაამარცხა (81:74), შემდეგ კი, იტალიელები – 92:84.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ისრაელში გამგზავრებამდე ნაკრებმა ღია ვარჯიში, კოკოშკოვმა – პრესკონფერენცია გამართა

საქართველოს ეროვნული ნაკრები ისრაელში გაემგზავრა, სადაც დღეს და 28 აგვისტოს საკონტროლო მატჩებს გამართავს, რომელიც ქალაქ ელიათში და ჰაიფაში გაიმართება. 29 აგვისტოს იგორ კოკოშკოვის გუნდი უკვე ლიტვაში გაემგზავრება, სადაც 1 სექტემბერს ადგილობრივ ნაკრებთან მოსამზადებელი ეტაპის ბოლო საკონტროლო მატჩს ჩაატარებს. ლიტვიდან კი, საქართველოს ნაკრები ჩარტერული რეისით სლოვენიაში, ევროპის ჩემპიონატზე გაეშურება.

დღემდე იგორ კოკოშკოვის გაწვრთნილმა ქართველებმა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ჯამში 7 საკონტროლო მატჩი გამართა. საქართველომ მონაწილეობა მიიღო იტალიის ქალაქ ტრენტოს საერთაშორისო ტურნირში, სადაც მასპინძლებთან და პოლონელებთან მარცხი განიცადა, ხოლო ისრაელის ნაკრებს 79:77 მოუგო. კოკოშკოვის გუნდი სლოვენიაში ბოსნიის ნაკრებს ორჯერ შეხვდა და 63:68 დამარცხების შემდეგ 81:78 სძლია.

16-17 აგვისტოს საქართველოს ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო საფრანგეთის ქალაქ ანტიბის საერთაშორისო ტურნირზე. კოკოშკოვის გუნდმა სერბეთს 75:71 მოუგო, ხოლო ფრანგებთან 71:86 წააგო.

საქართველოს ეროვნული გუნდი ევროპის ჩემპიონატზე დ ჯგუფში, ესპანეთთან, სლოვენიასთან, პოლონეთთან, ხორვატიასთან და ჩეხეთთან მოხვდნენ. მომდევნო ეტაპზე ჯგუფიდან 3 საუკეთესო გუნდი გადის.

სპორტის სასახლეში ეროვნული ნაკრების ღია ვარჯიში გაიმართა, რისი დასრულების შემდეგაც მთავარმა მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა ასისტენტებთან ერთად პრეს-კონფერენცია მოაწყო.

– ევრობასკეტზე არ გვეყოლება ზაზა ფაჩულია და თორნიკე შენგელია. შესაბამისად ტაქტიკურად გადაწყობა მოგვიწევს.

– საქართველოს ნაკრებში ნბა-ს ორი კალათბურთელია და ევროპის ჩემპიონატზე ვერც ერთი ვერ დაგვეხმარება, რაც დიდი დანაკლისია. თუმცა გამოცდილი მწვრთნელები ხშირად ამბობენ, რომ შეიძლება სისუსტის ძლიერ მხარედ გარდაქმნა. საამისო პოტენციალი საქართველოს ნაკრებს ნამდვილად აქვს.

– რას გულისხმობთ?

– სამწამიან ზონაში უპირატესობის მოპოვება ყოველთვის ჩვენი კოზირი იყო. როცა ზაზა ფაჩულია ფარქვეშ იდგა, ბევრი მეტოქე ცვლიდა ტაქტიკას. ახლა ზაზა ვერ დაგვეხმარება და ვერც სამწამიანი ზონის კონტროლი იქნება ჩვენი სამარკო ნიშანი. თუმცა ფაჩულიასა და შენგელიას შემცვლელები გამოუჩნდნენ და მათგან ბევრს ველით.

– ამხანაგური მატჩების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნაკრების თამაშს სისწრაფე მოემატა და პერიმეტრსაც სათანადოდ ვიყენებთ.

– წინა წლებთან შედარებით საქართველოს ნაკრები სხვა გუნდია. მაღალ ტემპშიც თამაშობს და ვეძებთ სხვა გზებს წარმატების მისაღწევად. ვერ ვიტყვით, ან ფარზე ვართ ორიენტირებულნი, ან პერიმეტრზეო – სხვადასხვა მეტოქესთან სხვადასხვა სტრატეგიას გამოვიყენებთ.

– ნატურალი ზებული კალათბურთელები გუნდს როგორ მოერგნენ?

– ლუკ ზელერიცა და რაკი ჰიკმანიც დადებითი პიროვნებები არიან, თანაგუნდელებს მოედანზეც ეხმარებიან და მის მიღმაც. ჩვენთან ერთად ისინიც პროგრესირებენ.

– ევროპის 2011 წლის ჩემპიონატზე მარკოზ ჰეინსი ერთგვარად ჩაიკარგა, რის ერთ-ერთ მიზეზად დასახელდა მისთვის პოზიციების ხშირი ცვლა. ხან მსროლელად ირჯებოდა, ხან გამთამაშებლად. რიკი ჰიკმანს რომელ პოზიციაზე უფრო გამოიყენებთ?

– რიკი უნივერსალური უკანახაზელია, თანაბრად წარმატებით შეუძლია თამაში როგორც პირველი, ასევე მეორე ნომრის პოზიციაზე. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მაქვს ნანახი მისი თამაშები როგორც გამთამაშებლად, ასევე მსროლელად. პოზიციის ცვლილება მისთვის პრობლემა არ არის. ჰიკმანმაც იცის, რომ მთავარი გამთამაშებელი გიორგი ცინცაძეა და მას მეორე ნომრის პოზიციიდან დაეხმარება. ხოლო როცა ცინცაძე მოედანზე არ იქნება, ბურთს რიკი გაათამაშებს. ასე რომ, ვარიანტებს საშუალება ნამდვილად გვაქვს.

– ნბა-ში მუშაობთ. რას ფიქრობთ „ბრუკლინში“ თორნიკე შენგელიას პერსპექტივაზე?

– ბრუკლინელებმა დიდი ფული დახარჯეს გუნდის გაძლიერებაში. კარგი შემადგენლობა ჰყავთ და მაღალი მიზნებისთვისაც იბრძოლებენ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალგაზრდა შენგელიას თამაშის შანსი არ გამოუჩნდება. ნბა-ს სეზონი ოქტომბრიდან ივნისამდე გრძელდება, უამრავი თამაშია და ასეთ მარათონში „ბრუკლინის“ მწვრთნელი მხოლოდ 7-8 კალათბურთელს ვერ დაეყრდნობა. იქნება ისეთი შეხვედრები, სადაც ჯეისონ კიდს თორნიკე დასჭირდება. გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს შენგელია ევროპაში აპირებს დაბრუნებას. კონკრეტული გუნდიც დასახელდა – ესპანური „კახა ლაბორალი“. თორნიკე ევროპაში რომც ჩამოვიდეს, ეს მისთვის დროებითი გაჩერება იქნება, მალევე დაბრუნდება ამერიკაში, რადგან იგი ნბა-ს ეკუთვნის.

რიკი ჰიკმანი:

– გუნდში ყველაფერი რიგზეა და ნამდვილად ბედნიერად ვგრძნობ თავს. ბიჭები ბოლომდე იხარჯებიან და ყველაფერს აკეთებენ, რომ ევროპის ჩემპიონატს სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ. რაც შეეხება ჯგუფიდან გასვლის შანსებს, იოლი მეტოქეები ნამდვილად არ გვყავს, თუმცა ჩვენ ჩვენი უნდა ვცადოთ და ყველაფერი გავაკეთოთ, რომ სამ გუნდში მოვხვდეთ. შეუძლებელი არაფერია.

ნიკა ცქიტიშვილი:

– გუნდი ოპტიმალურ ფორმას უახლოვდება. ამ საკონტროლო შეხვედრებმა მოგვცა იმის საშუალება, რომ სუსტი მხარეები დაგვენახა და გაგვეანალიზებინა და ახლა მათ გამოსწორებაზე ვმუშაობთ. ფორმის პიკში ჯერ არ ვართ, მაგრამ კიდევ რამოდენიმე კვირა გვაქვს ჩემპიონატის დაწყებამდე და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ პირველ შეხვედრას სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ.

ალექსანდრ ჩვოროვიჩი ფიზმომზადების მწვრთნელი:

– სწორ გზას ვადგავართ. გუნდი ნელ-ნელა უმატებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ახალგაზრდების პროგრესი, რომლებიც კონდიციებსაც იუმჯობესებენ და ნაკრებშიც კარგად ეწერებიან. ასევე, ჩვენი ამოცანაა, კალათბურთელები ისე მოვამზადოთ, რომ ტრავმების რაოდენობა მინიმუმამდე შემცირდეს. კარგია, რომ ამ მხრივ სიტუაცია ნორმალურია და ვიმედოვნებ, როცა ექვს დღეში ხუთი მატჩის ჩატარება მოგვიწევს, მაშინაც არ შეგვექმნება პრობლემები.

მოამზადა
მაისელ ყორყოლიანმა

შედეგები

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ფულემი-არსენალი	1:3
ნიუკასლი-ვესტ ჰემი	0:0
საუთჰემპტონი-სანდერლენდი	1:1
სტოკი-კრ.პალასი	2:1
ჰალი-ნორვიჩი	1:0
ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი	0:0
ასტონ ვილა-ლივერპული	0:1

სატურნირო ცხრილი:

1.ჩელსი	2	2	0	0	4-1	6
2.ლივერპული	2	2	0	0	2-0	6
3.ვესტ ჰემი	2	1	1	0	2-0	4
4.საუთჰემპტონი	2	1	1	0	2-1	4
5.სიტი	1	1	0	0	4-0	3
6.მანჩესტერი	1	1	0	0	4-1	3
7.ტოტენჰემი	1	1	0	0	1-0	3
8.არსენალი	2	1	0	1	4-4	3
9.ასტონ ვილა	3	1	0	2	4-4	3
10.სტოკი	2	1	0	1	2-2	3
11.ფულემი	2	1	0	1	2-3	3
12.ჰალი	2	1	0	1	1-2	3
13.ევერტონი	2	0	2	0	2-2	2
14.ნორვიჩი	2	0	1	1	2-3	1
15.სანდერლენდი	2	0	1	1	1-2	1
16.ვესტ ბრომვიჩი	2	0	1	1	0-1	1
17.ნიუკასლი	2	0	1	1	0-4	1
18.კრ.პალასი	2	0	0	2	1-3	0
19.კარდიფი	1	0	0	1	0-2	0
20.სუონსი	1	0	0	1	1-4	0

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბოლტონი-ქპრ	0:1
ბლექბერნი-ბარნსლი	5:2
ბლექპული-რედინგი	1:0
ბრაიტონი-ბარნლი	2:0
იფსვიჩი-ლიდსი	1:2
იოვილი-დერბი	0:3
ლესტერი-ბირმინგემი	3:2
ჰადერსფილდი-ბორნმუთი	5:1
ჩარლტონი-დონკასტერი	1:3
უენსდი-მილუოლი	2:2

ესპანეთი. ჰიმეჰა დივიზიონი

ელჩე-სოსიედადი	1:1
ესპანიოლი-ვალენსია	3:1
ვილიარეალი-ვალიადოლიდი	2:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბილბაო	2	2	0	0	4-1	6
2.ვილიარეალი	2	2	0	0	5-3	6
3.ესპანიოლი	2	1	1	0	5-3	4
4.სოსიედადი	2	1	1	0	3-1	4
5.ბარსელონა	1	1	0	0	7-0	3
6.რაიო	1	1	0	0	3-0	3
7.ატლეტიკო	1	1	0	0	3-1	3
8.რეალი	1	1	0	0	2-1	3
9.გრანადა	1	1	0	0	2-1	3
10.ვალენსია	2	1	0	1	2-3	3
11.სელტა	1	0	1	0	2-2	1
12.ელჩე	2	0	1	1	1-4	1
13.ალმერია	1	0	0	1	2-3	0
14.ბეტისი	1	0	0	1	1-2	0
15.მალაგა	1	0	0	1	0-1	0
16.ვალიადოლიდი	2	0	0	2	2-4	0
17.სევილია	1	0	0	1	1-3	0
18.ოსასუნა	2	0	0	2	1-4	0
19.ხეტაფე	1	0	0	1	0-2	0
20.ლევანტე	1	0	0	1	0-7	0

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალავესი-ლას პალმასი	1:1
დეპორტივო-კორდობა	0:1
სარაგოსა-მირანდესი	0:0
ეიბარი-ხირონა	0:3
ბარსელონა ბ-ლუგო	2:1
რეალი ბ-ალკორკონი	0:1

იტალია. სერია ა

ვერონა-მილანი	2:1
სამპდორია-იუვენტუსი	0:1

იტალია. სერია ბ

აველინო-ნოვარა	2:1
ბრეშა-ლანჩანო	2:2
მოდენა-პალერმო	1:1
პადოვა-ტრაპანი	0:2
პესკარა-იუვე სტაბია	3:0
სიენა-კროტონე	5:2
სპეცია-ჩიტადელა	0:0
ტერნანა-კარპი	1:0
ემპოლი-ლატინა	3:1

გერმანია. ბუნდესლიგა

ბაიერნი-ნიურნბერგი	2:0
ლევერკუზენი-გლადბახი	4:2
ჰანოვერი-შალკე	2:1
მაინცი-ვოლფსბურგი	2:0
ჰოფენჰაიმი-ფრაიბურგი	3:3
ჰერტა-ჰამბურგი	1:0

სატურნირო ცხრილი:

1.დორტმუნდი	3	3	0	0	7-1	9
2.ლევერკუზენი	3	3	0	0	8-3	9
3.ბაიერნი	3	3	0	0	6-1	9
4.მაინცი	3	3	0	0	7-3	9
5..ჰერტა	3	2	1	0	9-3	7
6.ვერდერი	3	2	0	1	2-1	6
7.ჰანოვერი	3	2	0	1	4-4	6
8..ჰოფენჰაიმი	3	1	2	0	10-6	5
9.გლადბახი	3	1	0	2	6-7	3
10.ვოლფსბურგი	3	1	0	2	3-4	3
11.ნიურნბერგი	3	0	2	1	4-6	2
12.ფრაიბურგი	3	0	1	2	5-8	1
13.შალკე	3	0	1	2	4-8	1
14.ჰამბურგი	3	0	1	2	4-9	1
15.შტუტგარტი	2	0	0	2	2-4	0
16.ბრაუნშვაიგი	2	0	0	2	1-3	0
17.აუგსბურგი	2	0	0	2	0-5	0
18.აინტრახტი	2	0	0	2	1-7	0

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ალენი-კაიზერი	4:0
ფიურტი-კიოლნი	0:0

საფრანგეთი. 1 ლიგა

ვალანსიენი-მარსელი	0:1
ბორდო-ბასტია	1:0
გენგამი-ლორიანი	2:0
ლიონი-რეიმსი	0:1
მონპელიე-სოშო	2:1
ევიანი-რენი	1:2

სატურნირო ცხრილი:

1.მარსელი	3	3	0	0	6-1	9
2.ლიონი	3	2	0	1	7-2	6
3.სენტ ეტიენი	2	2	0	0	2-0	6
4.რენი	3	2	0	1	5-4	6
5.რეიმსი	3	2	0	1	4-3	6
6.მონაკო	3	2	1	0	6-1	5
7.ბორდო	3	1	1	1	2-3	4
8.მონპელიე	3	1	1	1	4-6	4
9.ნანტი	2	1	0	1	3-2	3
10.ვალანსიენი	3	1	0	2	3-3	3
11.ლილი	2	1	0	1	2-2	3
12.გენგამი	3	1	0	2	3-4	3
13.ბასტია	3	1	0	2	2-3	3
14.ლორიანი	3	1	0	2	2-4	3
15.ნიცა	2	1	0	1	2-5	3
16.ტულუზა	3	0	2	1	1-4	2
17.აიაჩო	2	0	1	1	1-2	1
18.სოშო	3	0	1	2	3-6	1
19.ევიანი	3	0	1	2	2-5	1
20.ბსჟ	2	0	2	0	2-2	-1

შენიშვნა:
მონაკოს დაკლებული აქვს 2 ქულა;
ბსჟ-ს დაკლებული აქვს 3 ქულა

საფრანგეთი. 2 ლიგა

ბრესტი-დიჟონი	0:0
ლავალი-ლანსი	0:2

ჰოლანდია. ეჯედივიზიონი

ნაიმეგენი-ვალვაიკი	2:2
დენ ჰააგი-როდა	0:4
ერაკლესი-ეინდჰოვენი	1:1
ზვოლე-კამბური	2:0

სატურნირო ცხრილი:

1.ზვოლე	4	4	0	0	12-3	12
2.ძსვ	4	3	1	0	12-3	10
3.ტვენტე	3	2	1	0	10-1	7
4.აიაქსი	4	2	1	1	10-7	7
5.როდა	4	2	1	1	7-4	7
6.ჰერენვენი	4	2	1	1	11-9	7
7.გრონინგენი	3	2	0	1	7-5	6
8.ალკმაარი	3	2	0	1	7-7	6
9.ვალვაიკი	4	1	2	1	7-6	5
10.ვიტესი	3	1	1	1	6-6	4
11.კამბური	4	1	1	2	4-5	4
12.ერაკლესი	4	1	1	2	7-9	4
13.იგლზი	3	1	1	1	3-5	4
14.დენ ჰააგი	4	1	0	3	5-10	3
15.ბრედა	3	0	1	2	1-4	1
16.უტრეხტი	3	0	1	2	1-9	1
17.ნაიმეგენი	4	0	1	3	4-16	1
18.ფეინოორდი	3	0	0	3	3-8	0

პორტუგალია. ა ლიგა

ოლჰანენსე-ფერეირა	1:0
აკადემიკა-სპორტინგი	0:4

ისპანია. პრემიერლიგა

დინამო-ზენიტი	1:1
ტომი-ცსკა	1:2
ვოლგა-ტერეკი	1:0
ანჟი-კრასნოდარი	1:2

სატურნირო ცხრილი:

1.როსტოვი	5	4	1	0	12-3	13
2.სპარტაკი	5	3	2	0	10-4	11
3.ცსკა	6	4	2	0	9-5	14
4.ზენიტი	6	3	2	1	10-6	11
5.ლოკომოტივი	5	3	1	1	9-6	10
6.დინამო	6	2	3	1	8-9	9
7.რუბინი	5	1	4	0	3-2	7
8.ამკარი	5	1	3	1	4-3	6
9.ყუბანი	5	1	3	1	6-6	6
10.კრ.სოვეტოვი	5	1	2	2	4-5	5
11.კრასნოდარი	6	2	2	2	9-10	8
12.ურალი	5	1	2	2	5-7	5
13.ვოლგა	6	2	1	3	7-11	7
14.ტერეკი	6	0	2	4	2-6	2
15.ანჟი	6	0	2	4	5-11	2
16.ტომი	6	0	0	6	3-12	0

შოტლანდია. ჰიემიერლიგა

დ.იუნაიტედი-სტ.ჯონსონი	4:0
კილმარნოკი-ჰიბერნიანი	1:2
მოზერველი-პატრიკი	1:0
როსი-სტ.მირენი	3:0
სელტიკი-ინვერნესი	2:2
ჰართსი-აბერდინი	2:1

შვეიცარია. სუპერლიგა

ლოზანა-არაუ	1:2
ლუცერნი-ბაზელი	1:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

რიდი-შტურმი	3:0
ნოიშტადი-ინსბრუკი	1:1
ვოლფსბურგერი-აუსტრია	1:4

ბელგია. ჰოლიგა

ლეუვენი-ლოკერენი	2:1
კორტრაიკი-მეხელენი	1:2
ლიერსი-ბევერენი	1:0

თურქეთი. სუპერლიგა

ქაშიმფაშა-ქაისერი	3:1
გაზიანთები-ანთალია	0:0
ფენერბახჩე-ესკიშეჰირი	1:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

ვერია-ოფი	2:0
პანაითოლიკოსი-პაოკი	2:0
პანიონიოსი-პანათინაიკოსი	3:0

ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

ზნოიმო-სლავია	0:1
სლოვაცკო-პლზენი	1:3

პოლონეთი. ექსტრაკლასი

ზავიშა-პოდბესკიჟიე	2:2
იაგელონია-პოგონი	2:3
ლეგია-ლეჩნა	0:1

უკრაინა. ჰემეიერლიგა

ვორსკლა-ვოლინი	3:3
არსენალი-ილიჩევეცი	1:2
მეტალისტი-სევასტოპოლი	3:1

ნორვეგია. ტიპელიგა

სონგდალი-ვიკინგი	1:0
ოდ გრელანდი-ბრანი	1:3

აშშ. მლს

დ.ს.-იუნაიტედი-ტორონტო	1:1
მონრეალი-ჰიუსტონი	5:0
ვანკუვერი-ლოს ანჯელესი	0:1
დალასი-სან ხოსე	2:2
სოლტ ლეიკი-კოლამბუსი	4:0

ბიახბიღია. სერია ა

პონტე პრეტა-კრუზეირო	0:2
სანტოსი0ვიტორია	2:0
ფლამენგო-გრემიო	0:1
კრისიუმა-კურიტიბა	2:1

არგენტინა. ჰიმეჰა დივიზიონი

ველეჟი-ლანუსი	0:0
არხენტინოსი-ტიგრე	1:0
როსარიო-გოდოი	1:0

შეაჩერეთ ბაკქანალია!

დასაწყისი მე-8 გვერდზე

მიწისქვეშ კი 150 მანქანაზე გათვლილი ავტოსადგომი განთავსდება. მუზეუმი განთავსდება რუსთაველის გამზირზე და ჯორჯაძის ქუჩის ნაწილის გასწვრივ. პირველ სართულზე დაგეგმილია საგამოფენო და საკონფერენციო დარბაზები, მაღაზიები. მეორე სართულზე მოეწყობა საოფისე ფართი მუზეუმის ადმინისტრაციის განსათავსებლად. დანარჩენი სამი სართული მუზეუმს დაეთმობა. ჯორჯაძის და გუდიაშვილის ქუჩების გასწვრივ სასტუმროს აშენებაა დაგეგმილი. სასტუმროს გააჩნია შიდა გადაუხურავი, ღია ბაღი, მიწისქვეშა ავტოსადგომი და სასტუმროსთვის აუცილებელი ყველა ატრიბუტი. ჯორჯაძის ქუჩის გასწვრივ დაგეგმილია კომპლექსის მოწყობა, სადაც განთავსდება მიწისქვეშა ავტოსადგომი, სარესტორნე კომპლექსი, ფიტნესი და საცურაო აუზი. ამ შენობას ექნება შიდა კავშირი მუზეუმის შენობასთან და, შესაბამისად, ექნება გასასვლელი რუსთაველის გამზირზე.

მრგვალი მაგიდის ჩატარებამდე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ყოფილი „მხატვრის სახლის“ ადგილზე მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, რომელშიც წერია:

„რუსთაველის გამზირზე ყოფილი „მხატვრის სახლის“ ადგილზე ახალი მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით ვაცხადებთ, რომ პროექტი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს მშენებლობა, სრულიად მიუღებელია მოცემული ადგილისთვის. იგი შეუსაბამობაშია საქართველოს დედაქალაქის მთავარი არტერიის – რუსთაველის გამზირის ისტორიულად ჩამოყალიბებული ურბანული გარემოსთვის, როგორც თავისი მასშტაბით, ასევე სივრცით-გეგმარებითი და არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტით. პროექტი არ ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის ისეთი მაღალხარისხოვანი ძეგლების სიახლოვეს, როგორიც არის ქაშუეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია, კინოთეატრი „რუსთაველი“, ეროვნული გალერეა, ალექსანდრეს ბაღი, გუდიაშვილის ქუჩის განაშენიანება და სხვა. აქვე აღსანიშნავია, რომ ოფიციალური განხილვების დროს, ჩვენი სამინისტროს წარმომადგენლების მიერ, აღნიშნულ პროექტს არაერთხელ ეთქვა უარი, ვინაიდან მივიჩნევთ, რომ მხოლოდ კონკურსის მოწყობისა და ფართო, საჯარო განხილვების შედეგად შეიძლება იქნეს გამოვლენილი ამგვარი ღირსშესანიშნავი ადგილისთვის შესაფერისი პროექტი, რომელიც, თავის მხრივ, დაფუძნებული იქნება ღრმა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე, გაითვალისწინებს ძეგლთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ყველა კრიტერიუმს და შესაბამისად, მომავალი შენობა, ორგანულად ჩაეწერება არსებულ სივრცეში.

ყოველივე ზემოაღნიშნული, კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რამდენად საჭიროა და აუცილებელი, რომ თბილისის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა თუ დამცავ ზონებში მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება დაუბრუნდეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს“.

კულტურის სამინისტრო ღიად აცხადებს, რომ ოფიციალური განხილვების დროს პროექტი არაერთხელ დაიწუნა და მოითხოვს, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე და შენობის აშენებამდე სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები ჩატარდეს. მშენებლობის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული ყველა კრიტერიუმი.

ჯერ კიდევ მაისში „ტფილისის ჰამქარმა“, „თბილისის არქიტექტურულმა ფორუმმა“ და საინიციატივო ჯგუფმა „ანრქიტექტურამ“ ერთობლივი განაცხადით მიმართეს თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს, საქართველოს კულტურის სამინისტროსა და შპს „მაგთიკომს“. წერილში აღნიშნულია, რომ გაერთიანებები რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის ყოფილი შენობის მოპირდაპირე მხარეს, შპს „მაგთიკომის“ კუთვნილ ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობის შეჩერებას მოითხოვენ. ისინი „მაგთის“ მიერ მოთხოვნილი სამშენებლო კოეფიციენტის გაზრდას არ ეთანხმებიან. ორგანიზაციები მშენებლობის შეჩერებას და ახალი სამშენებლო პროექტის გამოსავლენად კონკურსის ჩატარებას მოითხოვენ, სადაც კომპეტენტური ჟიური საუკეთესო ნამუშევარს გამოავლენს.

როგორც „მაგთის“ მიერ დაკვეთილი მშენებლობების მთავარი არქიტექტორი არჩილ ქურდიანი ამბობს:

– თბილისის მერიამ 8 აპრილს მოთხოვნილი კოეფიციენტი 0.7-დან 0.9-მდე გაუზარდა. აპრილის თვეში მას ნულოვანი მშენებლობის ნებართვა გვქონდა მიღებული. ახლა მთლიანი შენობის აშენება შეგვიძლია. აზრის გამოთქმა ყველას შეუძლია, მთავარია იყოს კორექტული. არაკორექტული გამოთქმაც გამიგია, რაც უბრალოდ საწყენია, რომ ქართველები ასე მიმართავენ. მე არქიტექტორი ვარ და რა მოთხოვნაც იყო, ის შევასრულე.

„მაგთის“ მშენებლობა უკვე დაწყებული აქვს. მერიის არქიტექტურის სამსახურმა მას ნულოვანი ციკლის მშენებლობის უფლება ფასადის შეთანხმებამდე მისცა, რაც კანონს არ ეწინააღმდეგება. ნულოვანი ციკლის მშენებლობა შენობისათვის საძირკვლის მიწის დონემდე ამოყვანასა და საინჟინრო კომუნიკაციების აგებისთვის გათვლილ სამუშაოებს მოიცავს.

თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი პროექტის მიხედვით, მშენებლებს მითითებული ჰქონდათ, რომ შენობას, სამდონიანი ავტოსადგომის გარდა, ხუთი სართული ექნება. მშენებლებს, საპროექტო განაცხადის მიხედვით, სურდათ კ1 პარამეტრის გაზრდა 0.7–დან 0.9–მდე. კ1 პარამეტრი შენობის ფართს განსაზღვრავს, ანუ კ1–ის გაზრდით სართულების ფართობი იზრდება. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს რუსთაველის გამზირისთვის კ1 0.7 აქვს დადგენილი. ეს ნიშნავს, რომ რუსთაველის გამზირზე ინვესტორს ეკრძალება ისეთი ნაგებობის აშენება, რომელიც საკუთრებაში არსებული მიწის ფართობის 70%–ზე მეტს შენობა დაიკავებს.

– პროექტის შესწავლისას გამოჩნდა, რომ შენობა დაპროექტებულია და შეთანხმებულია როგორც 0,9. ლაფსუსი სწორედ ამაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერიტორისთვის კ1 0,7–ია, ინვესტორმა დააპროექტებინა და შეათანხმა პროექტი გაზრდილი პარამეტრებით, მაშინ, როცა არქიტექტურის სამსახურიდან პარამეტრების გაზრდაზე შესაბამისი ნებართვა ჯერ გაცემული არ არის, – ამბობს „ტფილისის ჰამქრის“ წევრი ნანა ზაზანაშვილი.

მშენებლების მიერ მერიის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილ თანდართულ დოკუმენტში კი წერია:

„კომპლექსის მოცულობა და მხატვრული იერსახე დაპროექტდა იმის გათვალისწინებით, რომ მასში ასახული იყოს დღევანდელი ეპოქის მხატვრულ-არქიტექტურული სახე, მაგრამ არ მოხდეს მისი ამოვარდნა ისტორიული განაშენიანების ზოგადი არქიტექტურული კონტექსტიდან, რაც სრულ შესაბამისობაშია და ეფუძნება ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევას და ხელოვნებათმცოდნეების დასკვნა-რეკომენდაციებს“.

„ტფილისის ჰამქარმა“ ყოფილი „მხატვრის სახლის“ ადგილას დაწყებულ მშენებლობასთან დაკავშირებით, საპროტესტო აქციაც გამართა, სადაც კიდევ ერთხელ ითქვა, რომ შენობის ფასადი შეუფერებელია რუსთაველის გამზირის არქიტექტურისთვის.

კულტურის სამინისტროში გამართულ მრგვალ მაგიდაზე ყველა შეთანხმდა, რომ აუცილებელია შეჩერდეს ყოფილი „მხატვრის სახლის“ ადგილზე მიმდინარე მშენებლობა და სასურველი პროექტი მხოლოდ და მხოლოდ ღია კონკურსის წესით აირჩეს.

ბათუმში ღონისძიებები ჩაიშალა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ქვეშ ზღვისპირას დაიმკვიდრა ადგილი.

– ფესტივალი აფხაზეთში დაარსდა. 8 წლის განმავლობაში ეს ფესტივალი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. სასიხარულოა, რომ ამდენი წლის შემდეგაც ფესტივალმა თავისი აქტუალობა არ დაკარგა და ახლაც დიდი ინტერესია მსოფლიო მუსიკოსთა მიერ ამ ფესტივალში მონაწილეობისთვის. ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში არსებობს საზოგადოება, რომელიც წლიდან წლამდე ელოდება ჩვენს ფესტივალს. წელს ღამის რესერანედები საკმაოდ საინტერესო პროგრამით იქნება წარმოდგენილი, დაუკრავს ცნობილი დირიჟორი იუსტუს ფრანცი, ასევე სხვა ცნობილი ხელოვანებიც ჩამოვლენ, – განაცხადა ფესტივალის დამფუძნებელმა.

წელს ფესტივალს ორგანიზებას საქართველოს კულტურის პალატა გაუწევს, ამიტომ ფესტივალში ბევრი სიახლეა. ლიანა ისაკაძის სახელობის ფონდსა და საქართველოს კულტურის პალატას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის თანახმად მუსიკალური შეხვედრები სახელწოდებით „ღამის სერენადები“ კულტურის პალატის ორგანიზებით ჩატარდება.

კულტურის პალატის ხელმძღვანელი დათო ოქიტაშვილი ამბობს, რომ:

– ლიანა ისაკაძის თხოვნით წელს ფესტივალს ორგანიზებას კულტურის პალატა გაუწევს. წელს ფესტივალი გონიოს ნაცვლად ქალაქ ბათუმში, საზაფხულო თეატრში ჩატარდება. ყველა საფესტივალო კონცერტი ორ საათს გაგრძელდება. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოში ცნობილი, უნიკალური საფესტივალო კამერული ორკესტრი „ფეისბუქის ვირტუოზები“, რომელიც ლიანა ისაკაძის ინიციატივით შეიქმნა. ფესტივალის ფარგლებში ბათუმს ისეთი ცნობილი ხელოვანები ეწვევიან როგორებიც არინ: გერმანელი დირიჟორი იუსტუს ფრანცი, ფრანგი პიანისტი ალექსეი ლიუბიმოვი, მსოფლიოში ცნობილი ავსტრიელი დირიჟორი თომას როეზნერი, შვედი ვიოლანჩელისტი იანერიკ გუსტაფსონი, ფინელი პიანისტი ჟანე მერტანენი.

ფესტივალზე დასასწრები ბილეთების ყიდვა ბათუმის დრამატული თეატრის სალაროებშია შესაძლებელი და მისი ფასი 10-15 ლარია. წელს „ღამის სერენადები“ ოფიციალურად თბილისში დაიხურება. ფესტივალის გალაკონცერტი 3 სექტემბერს რუსთაველის თეატრში გაიმართება. სავარაუდოდ სექტემბერში გაიმართება ის კონცერტიც, რომელსაც წელვანდელი „ღამის სერენადები“ უნდა გაეხსნა, თუმცა თუკი არ გამოიდარა, შესაძლებელია „ღამის სერენადები“ წელს საერთოდ ჩაიშალოს.

ზუგდიდმა ეგვიპტელი დაიმატა, ზესტაფონმა – გურული

საქართველოს ჩემპიონატში კიდევ ერთი ლეგიონერი გამოჩნდა. საფეხბურთო კლუბ „ზუგდიდის“ პრესსამსახურის ცნობით, გუნდის შემადგენლობაში ვარჯიშობს ეგვიპტელი ფეხბურთელი ამირ აზმი მოჰამედი მეგაჰედი, რომელიც ბოლო წლებში საკუთარი ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში ასპარეზობდა. მას, ზუგდიდელთა ახალი დამრიგებლის კობა წიტაიშვილის გვერდითაც უთამაშია კვიპროსის „ანორთოსისში“. ეგვიპტელი სწორედ ყოფილ თანაკლუბელს დაუკავშირდა და საქართველოში ჩამოსვლის სურვილი თავად გამოთქვა, ვინაიდან ეგვიპტეში მიმდინარე სამოქალაქო ომის შედეგად, იქ საფეხბურთო ჩემპიონატი ჩაიშალა.

ამირ მეგაჰედი ამპლუით საყრდენი ნახევარმცველია და 190 სმ სიმაღლისაა, თუმცა მას ხშირად ცენტრალური მცველის პოზიციაზეც უთამაშია. იგი 2007 წლიდან ეგვიპტის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაშია, ხოლო მისი საკლუბო კარიერა ასეთია: 2004-07 წლებში ის საბერძნეთის „პაოკის“ ღირსებას იცავდა, 2007-08 წლებში არაბეთის ეროვნულ ჩემპიონატში ასპარეზობდა, ხოლო 2008-10 წლებში კი ეგვიპტელმა კვიპროსის „ანორთოსისის“ მაისური მოირგო. 2010 წლიდან დღემდე კი, თავისი ქვეყნის საფეხბურთო კლუბ „მასრ მაკსას“ შემადგენლობაში თამაშობდა.

ეგვიპტელის თამაში მარტვილის „მერანის“ წინააღმდეგ სათუოა, თუმცა, როგორც კობა წიტაიშვილი აცხადებს, ის ზუგდიდელთა შემადგენლობაში აუცილებლად ითამაშებს მე-4 ტურის მატჩში, განმუხურში, ბოლნისის „სიონის“ წინააღმდეგ.

ამირ მეგაჰედი:

– ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შედეგად ეროვნული ჩემპიონატი ჩაიშალა, რის შემდეგაც დავუკავშირდი კობა წიტაიშვილს და ზუგდიდში ჩამოსვლაზე სურვილი თავად გამოვთქვი. ჩემს შესაძლებლობაზე ყველაზე უკეთ მას მოეხსენება. სადაც მითამაშია, ყველგან ძირითად შემადგენლობაში ვიმკვიდრებდი ადგილს. ახლაც იდეალურ ფორმაში ვარ და ვფიქრობ, რომ „ზუგდიდს“ აუცილებლად დავეხმარები.

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონს“ კი 27 წლის სანდრო გურული შეუერთდა. შემტევი ნახევარმცველი, რომელიც მარგველთა ქომაგს უკრაინულ „კარპატისთან“ 3 წლის წინანდელი მატჩებიდან მოყოლებული ახსოვს, ამიერიდან იმერული კლუბის ღირსებას დაიცავს.

ფრანგული ლიონის „ოლიმპიკის“ საფეხბურთო სკოლის აღზრდილმა სანდრო გურულმა, რომელმაც თავის პირველი კლუბის ახალგაზრდული გუნდის რიგებში 77 მატჩი ჩაატარა, 2008 წელს კარიერა უკრაინის უმაღლესი ლიგის წარმომადგენელ ლვოვის საფეხბურთო კლუბ „კარპატში“ გააგრძელა და უკრაინელთა რიგებში 2012 წლამდე იასპარეზა. სწორედ ამ პერიოდში, კერძოდ 2010 წელს, სანდრომ ლვოველთა შემადგენლობაში „ზესტაფონის“ წინააღმდეგ იასპარეზა – ქართულ-უკრაინული დუელი უეფას ევროპის ლიგის გათამაშების მესამე საკვალიფიკაციო რაუნდში გაიმართა.

2012 წელს ფეხბურთელმა კარიერა გორის „დილაში“ გააგრძელა. წინა სეზონის მეორე ეტაპი კი ბათუმის დინამოელთა რიგებში გაატარა. სანდრო გურულს საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში სადღეისოდ 6 მატჩი აქვს ჩატარებული და ამ შეხვედრებში 1 გოლი აქვს გატანილი.

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონსა“ და სანდრო გურულს შორის გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება მიმდინარე სეზონის ბოლომდე. აქვე მოგახსენებთ იმასაც, რომ ზესტაფონელთა ახალწვეული გუნდის ღირსებას 5-ნომრიანი მაისურით დაიცავს.

მ. უ

საქართველოს მეჭოქეთა მატჩები

დასაწყისი მე-9 გვერდზე

მცველები: იაკა ლაკოვიჩი (აველინო, იტალია), გორან დრაგიჩი (ფინიქსი, ნბა), იაკა ბლაჟიჩი (ცრვენა ზვეზდა, სერბეთი), ნებოიშა იოკსიმოვიჩი (იგოკეა, ბოსნია-ჰერცეგოვინა);

ფორვარდები: ედო მურიჩი, დომენ ლორბეკი (ორივე კრკა), ზორან დრაგიჩი (უნიკახა, ესპანეთი), ბოშტიან ნახბარი (ბარსელონა, ესპანეთი);

ცენტრები: გასპერ ვიდმარი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), მირზა ბეგიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), უროშ სლოკარი (გრან კანარია, ესპანეთი), იურე ბალაჟიჩი (თოფაში, თურქეთი).

და ბოლოს: სლოვენიის საკალათბურთო ნაკრების თავკაცმა ბოჟიდარ მალკოვიჩმა საბოლოო შემადგენლობა დაასახელა:

მ. უ

სკანვორდი



1. ვივიენ ...; 2. სატურნის თანამგზავრი; 3. ქამანდი; 4. კედლის მაღალი სარკე; 5. ავღანეთის ენა; 6. სუბტროპიკული კულტურა; 7. სწორი, ბალახოვანი სივრცე მშრალი ჰავის ზონაში; 8. ყვავილი; 9. დარბაზობა (მოძვ.); 10. ინდოელი კინორეჟისორი (XXს.); 11. ბერძნული ანბანის ასო; 12. ყაზახი პოეტი-მომღერალი; 13. სურსათ-სანოვაგე; 14. იაპონური ავტომარკა; 15. ბატონი (ინგლისურად); 16. მწერი ჭამია ბალახი; 17. მაუგლის მეგობარი პითონი; 18. ექსპერიმენტი; 19. ნაოსნობა, ზღვაოსნობა; 20. ჩრდილოეთის ქარი სამხრეთ საფრანგეთში; 21. სიგანე, სიფართოვე; 22. ნელა, დინჯად (მუს.); 23. კიმ ...; 24. იაპონური თეატრი; 25. ქიმიური ელემენტი; 26. ნათურებში გამოყენებული გაზი; 27. ბილიარდის ჯოხი; 28. ლანგარი; 29. ... ლინკოლნი; 30. ...-მუსიკა, ...-ოპერა; 31. მთავარი საწყობი; 32. ქალი შვილო (ინგლისურად); 33. ... გიბსონი; 34. ინდური ეპოსი; 35. ველი, მინდორი.

ნინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოხვოხლების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰოკაიდო; 2. უნგრეთი 3. პიგმენტი; 4. ბაკარა; 5. ვენგერი; 8. ლიქიორი; 9. მამისონი; 12. ბროწეული; 13. სტატორი; 16. ბაბუშერა; 17. ძელშავი; 19. ამპერი; 20. რაპირა.

თარაზულად: 6. კომანდორი; 7. შავლეგო; 8. ლამარა; 10. დიოგენი; 11. რემა; 14. მეტაფორა; 15. მოდერატო; 18. მანეჟი; 21. მერჩულე; 22. სამბო; 23. იშტარი; 24. ნატახტარი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სამსალა; 2. ფრანი; 3. ვალენტი; 4. სააკაძე; 5. ბურგუნდია; 9. არიანი; 12. სტელაჟი; 14. უზნაძე; 15. სუმო; 17. მანია; 18. ვირი.

თარაზულად: 6. ღამურა; 7. კატმანდუ; 8. ოსტანი; 10. კამიუ; 11. კასტანიეტა; 13. პუანსონი; 16. სტიგმა; 19. ირლანდია; 20. ნეგროიდი.

ვლადიმერ პუტინმა სოჭის ოლიმპიადის დროს ყველა სახის აქციის გამართვა აკრძალა

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დროს ყველა სახის აქციისა და მანიფესტაციის აკრძალვის გადაწყვეტილება მიიღო. ამის შესახებ „ევრონიუსი“ იუწყება. პუტინის მიერ გამოცემულ ბრძანებას მწვავე კრიტიკა მოჰყვა ადამიანის უფლებების და ჰომოსექსუალთა უფლებადამცველი ორგანიზაციების მხრიდან, რომლებიც სოჭში, ოლიმპიური თამაშების დროს, დემონსტრაციების გამართვას გეგმავდნენ რუსეთის მიერ ჰომოსექსუალთა წინააღმდეგ მიღებული კანონის გასაპროტესტებლად.

„ჰომოსექსუალობის პროპაგანდის“ ამკრძალავი კანონი რუსეთში ივნისის ბოლოს მიიღეს, რასაც საყოველთაო აღშფოთება მოჰყვა. ზოგიერთმა სპორტსმენმა სოჭის ოლიმპიადისთვის ბოიკოტის გამოცხადება გადაწყვიტა, თუმცა მათ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშები სტარტს 2014 წლის 7 თებერვალს აიღებს.

რადიო „თავისუფლება“ აცხადებს, რომ ათლეტები სულ უფრო ინტენსიურად ემზადებიან სპორტული შეჯიბრებებისათვის, თუმცა არამარტო სპორტული შეჯიბრებებისთვის. არაერთ ჰომოსექსუალ სპორტსმენს სურს, თავის გულშემატკივრებთან ერთად გამოხატოს კრიტიკა რუსეთში ჰომოსექსუალთა უფლებების შემზღუდველი კანონების მიმართ. რას აპირებს და რამდენად შეძლებს თავისი გეგმების განხორციელებას ეს ხალხი?

ახალზელანდიელი ბლეიკ სკელერაპი ციგურებით მორბენალია. ის ცისარტყელის ფერებიანი გულსაბნევით გადის ტრასაზე, ხოლო ამერიკელ ფიგურულ მოციგურავე ჯონი უეირს ექსტრავაგანტული, ფერადი კოსტუმით უყვარს სრიალი. ტურნირებზე მას მეუღლე დაჰყვება. ორივე სპორტსმენი – სკელერაპიც და უეირიც – კატეგორიულად უარყოფს უფლებადამცველი აქტივისტებისა და ათლეტების მოწოდებას სოჭის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტისაკენ. ორივეს სჯერა, რომ რუსეთში გავრცელებული ჰომოფობიის წინააღმდეგ პოზიციის დაფიქსირება რუსეთშივეა საჭირო, – წერს „თავისუფლება“.

– მაგრამ ზამთრის ოლიმპიური თამაშები ახლოვდება, პასუხი კი შეკითხვაზე, როგორ, რა ფორმით დაგმობენ ათლეტები ჰომოფობიას, ჯერ არ ჩანს. რის უფლებას მისცემენ მათ რუსეთის ხელისუფალნი?

სოჭის ოლიმპიური ტურნირის ოფიციალურად დადასტურებულ მონაწილეებს შორის 28 წლის ახალზელანდიელი ბლეიკ სკელერაპი ჯერჯერობით ერთადერთი ღიად ჰომოსექსუალი სპორტსმენია. ის აპირებს, ასპარეზობისას ლგბტ-ს ტრადიციული ცისარტყელას ფერებიანი გულსაბნევით მიიქციოს ყურადღება ყინულის მოედანზე:

„მეტისმეტად დიდხანს ვმალავდი ჩემს სექსუალურ ორიენტაციას და ეს სულაც არ იყო სასიამოვნო პერიოდი. არ ვაპირებ, სხვა ადამიანად ვიქცე მარტო იმიტომ, რომ რომელიღაც ქვეყანაში რაღაც წესები არსებობს“.

რუსეთში არსებულ წესებს რაც შეეხება, პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ივნისში მოაწერა ხელი კანონპროექტს, რომელიც ჰომოსექსუალურ „პროპაგანდას“ კრძალავს. ამ კანონით, კრიმინალიზებულია არასრულწლოვანებთან ე.წ. „არატრადიციული სექსუალური ურთიერთობის“ პროპაგანდა. ამ კანონის დარღვევის შემთხვევაში, გათვალისწინებულია 100 ათას რუბლამდე (ანუ 30 000 დოლარამდე) ოდენობის ჯარიმა. უფრო მკაცრია სანქციები უცხო ქვეყნების მოქალაქეთა წინააღმდეგ – მათ, ჯარიმასთან ერთად, 15 დღემდე პატიმრობა და რუსეთიდან დეპორტაცია ემუქრებათ.

უფლებადამცველების შეფასებით, რუსეთში ამოქმედებული ეს კანონი ოფიციალურ ფორმას აძლევს ფართოდ გავრცელებულ ჰომოფობიას, რომელიც ხშირად გამოიხატება გეების მიმართ ფიზიკური ძალადობით. კანონის ამოქმედების შემდეგ ჰომოფობიით მოტივირებული რამდენიმე მკვლელობაც მოხდა.

22 აგვისტოს გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს დაჰპირდა, რომ არ დაუშვებს სოჭის ტურნირზე ჰომოსექსუალთა დისკრიმინაციას. როგორც ოლიმპიური კომიტეტი აცხადებს, მან მიიღო რუსეთის ვიცე-პრემიერ დმიტრი კოზაკის წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ სოჭში სიხარულით მიიღებენ ყველა სტუმარს, სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად.

თუმცა ათლეტებს, მათ მწვრთნელებს, მხარდამჭერებს თუ ჟურნალისტებს, ვინც თებერვალში სოჭში ჩასვლას აპირებს, თავსატეხს უჩენს, უწინარეს ყოვლისა, ცნება „ჰომოსექსუალური პროპაგანდის“ ბუნდოვანება. ის დიდ ადგილს უტოვებს თვითნებურ ინტერპრეტაციას, რომელსაც შესაძლოა მკაცრი სანქციები მოჰყვეს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ოლიმპიურ თამაშებს ტელევიზიით, სავარაუდოდ, მილიონობით არასრულწლოვანიც მიადევნებს თვალს.

შეიძლება, ვთქვათ, ახალზელანდიელი ციგურებით მორბენალი ბლეიკ სკელერაპის დაჯარიმების და დაპატიმრების მიზეზი გახდეს გულსაბნევი, რახან ის ჰომოსექსუალთა სოლიდარობის გამომხატველ ფერებში იქნება? ამერიკელმა სენატორმა ჩარლზ შუმერმა სოჭის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ქვეყნებს მოუწოდა, ცისარტყელას ფერებიანი დროშებით გამოვიდნენ ტურნირის გახსნის ცერემონიაზე. ამას გარდა, ხელმოწერები გროვდება ინტერნეტპეტიციაზე, რომლითაც დიდი ბრიტანეთის ოლიმპიურ ნაკრებს მოუწოდებენ, ცისარტყელას ფერებიანი კოსტუმებით ასპარეზობისაკენ. რა რეაქციას შეიძლება მოველოდეთ რუსეთის ხელისუფლებისაგან?

ამერიკელ ფიგურულ მოციგურავე ჯონი უეირს, რომელსაც სოჭში წარმატების კარგ შანსებს უწინასწარმეტყველებენ, ყინულზე თვალშისაცემი, ბრჭყვიალა დეკორაციით გაფორმებულ კოსტუმში სრიალი სჩვევია. ის ამბობს, რომ არ აპირებს, ცისარტყელას ფერებით გამოხატოს თავისი პოზიცია, მაგრამ პოზიციის გამოხატვა იქნება, თავისთავად, სოჭის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა. მით უმეტეს, რომ მასთან ერთად სოჭში ჩავა მისი მეუღლე – წარმოშობით რუსი ამერიკელი მამაკაცი.

„გარეგნულ მხარეს რაც შეეხება, თუ ოლიმპიურ ტურნირში მივიღებ მონაწილეობას, ჩემი ქმარი, მთელი მისი ოჯახი და მთელი ჩემი ოჯახი – იქ ყველა შეიკრიბება ჩემს საქმოგაროდ. და ვფიქრობ, რომ ეს იქნება მშვენიერი მესიჯი. რუსი ემიგრანტების ოჯახი, რომელიც შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, უგულშემატკივრებს თავისი ჰომოსექსუალი ვაჟიშვილის მეუღლეს. ეს არის რაღაც ძალიან თანამედროვე და რაღაც ძალიან ახალი და უდავოდ გამოხატავს პოზიციას. არ არის საჭირო, გულსაბნევით გამოვიდე ლგბტ-ს თემისათვის იმის საჩვენებლად, რომ მხარდაჭერას ვუცხადებ და მათ გვერდით ვდგავარ“.

ამერიკელმა ათლეტმა იცის, რომ სანქციებისაგან დაზღვეული არ არის, მაგალითად, სოციალურ მედიაში გავრცელებული მასალის გამო. მისი მეუღლის, ვიქტორ ვორონოვის ანგარიშზე გამოქვეყნებულ ფოტოებს შორის ერთ-ერთზე ჩანს წყვილი კოცნის მომენტში – მოსკოვში, წითელ მოედანზე.

ჩაითვლება თუ არა რუსეთში თუნდაც ეს ფოტო „ჰომოსექსუალურ პროპაგანდად“ ? საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, მართალია, საჯაროდ დაგმო გეების დისკრიმინაცია, მაგრამ ისიც განაცხადა, რომ ოლიმპიური თამაშები „არ არის ადგილი აქტიური პროტესტისა და დემონსტრაციებისათვის“. ჩვენი რადიოსთვის წერილობით მოწოდებულ განმარტებაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ კომიტეტი ინდივიდუალურად მიუდგება სადავო შემთხვევებს. ამდენად, წინასწარ ნათელი არ არის, ოლიმპიური კომიტეტი „პოლიტიკურ ჟესტად“ და, შესაბამისად, მიუღებლად ჩათვლის თუ არა სოჭში ჰომოსექსუალური იდენტობის ღიად გამოხატვას ან ჰომოფობიის ხმამაღლა დაგმობას...

აქტივისტები ამბობენ, რომ ყურადღებით მიადევნებენ თვალს ოლიმპიური კომიტეტის ქმედებებს. ამ აქტივისტებს შორის არის ამერიკელი კონგრესმენი, ღიად ჰომოსექსუალი მარკ ტაკანო.

„როცა ღიად ჰეტეროსექსუალი პირი ხარ, ეს არ ითვლება პოლიტიკურ პოზიციად ან რელიგიურობის გამოხატვად. ხარ, უბრალოდ, ადამიანი, რომელიც ხარ. და მე ვიტყოდი, რომ ასეა იმ ხალხის შემთხვევაში, ვინც ღიად გეია, ღიად ლესბოსელი, ღიად ბისექსუალი, ღიად ტრანსგენდერი. ამას, რაღაცნაირად, მიაწერო პოლიტიკური მესიჯი, მაშინ როცა ღიად ჰეტეროსექსულობა ასეთ მესიჯს არ ატარებს, ეს აბსურდია“, უთხრა ჩვენს რადიოს ამერიკელმა კონგრესმენმა.

რუსეთის კანონმდებლობა შესაძლოა გაურკვევლობას იწვევდეს, მაგრამ ერთი რამ წინასწარვე ნათელი ჩანს: სოჭის ტურნირი, ჰომოფობიის პრობლემის მიმართ ყურადღების მხრივ, სრულიად გამორჩეული ოლიმპიური თამაშები იქნება, – აღნიშნავს „თავისუფლება“.

აშშ სირიაში სამხედრო სცენარის განხორციელებისთვის მზადაა

აშშ სირიაში სამხედრო სცენარის განხორციელებისთვის მზადაა.

აშშ-ის თავდაცვის მდივნის ჩაკ ჰეიგელის თქმით, აშშ-ის არმია სირიაში სამხედრო სცენარისთვის მზადაა, თუ პრეზიდენტ ბარაკ ობამასგან შესაბამისი ბრძანება იქნება.

მისივე თქმით, ობამამ თავდაცვის უწყებას მიმართა, სირიის კონფლიქტის გადასაწყვეტად ვარიანტები მოამზადოს.

„ჩვენ შევასრულეთ ეს და მზად ვართ, ნებისმიერი მათგანი განვახორციელოთ, თუ შესაბამისი ბრძანება იქნება“, – განაცხადა ჰეიგელმა.

ამასთან, ცნობილი გახდა, რომ სირიაში სიტუაციის გამწვავებასთან ერთად, სადაც სამთავრობო ჯარებმა აჯანყებულების წინააღმდეგ ქიმიური იარაღი გამოიყენეს, აშშ-ის საზღვარო ძალები ხმელთაშუა ზღვაში ძალების გაზრდას გეგმავს.

თავის მხრივ, ბრიტანეთის პრემიერის აპარატის განცხადებით, გაერთიანებული სამეფოს პრემიერი დევიდ კემერონი და აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა 40 წუთის განმავლობაში ტელეფონით განიხილავდნენ სირიის კრიზისს და ქიმიური იარაღის გამოყენების საშიშ პრეცედენტს.

ქვეყნების ლიდერებმა განაცხადეს, რომ სულ უფრო მეტი მტკიცებულება ჩნდება იმისა, რომ ეს დანაშაული ასადის რეჟიმმა ჩაიდინა.

როგორც დაუნინგსტრიტზე განმარტეს, „სერიოზული პასუხი“ არ გულისხმობს სირიაში სამხედრო კონტინგენტის გაგზავნას, თუმცა მოიცავს ზემოქმედების სხვა ვარიანტებს, მათ შორის საავიაციო დარტყმებს.

პარალელურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ ვაშინგტონში დაიწყო მზადება სირიის წინააღმდეგ შესაძლო სამხედრო ოპერაციისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩევლები, უსაფრთხოების საკითხებში, გაინიხილავენ 1999 წელს იუგოსლავიაზე განხორციელებულ ავიათავდასხმებს, როგორც სირიაში სავარუდო მოქმედების სცენარს, იტყობინება „ნიუ იორკ თაიმსი“. მაშინ, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ომი გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე დაიწყო.

ამავდროულად, ხმელთაშუა ზღვაში, პოტენციურ საომარ პოზიციებს იკავებენ აშშ-ს საზღვაო ძალების ხომალდები. ხომალდმა „მაჰანმა“, რომელიც ნორფოლკში სამხედრო-საზღვაო ბაზაზე დასაბრუნებლად ემზადებოდა, ადგილზე დარჩენის ბრძანება მიიღო.

დამასკოსთან განხორციელებულ ქიმიურ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა სირიის ხელისუფლებას უნდა დაეკისროს – განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა ავსტრალიის პრემიერთან კევინ რადთან შეხვედრაზე.

ოლანდის თქმით, „ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ სირიის რეჟიმი უნდა განვიხილოთ როგორ დამნაშავე ამ შეტევაში“. საფრანგეთის პრეზიდენტის განცხადებით, „არსებობს მთელი რიგი მტკიცებულებები“, რომლებიც მიუთითებს, რომ 21 აგვისტოს სირიაში გამოიყენეს ქიმიური იარაღი.

ორგანიზაციამ ექიმები საზღვრებს გარეშე უკვე დაადასტურეს, რომ 350 ადამიანის დაღუპვა „ნეიროტოქსიკური ნიშნებით“. სირიის ხელისუფლება აცხადებს, რომ ქიმიური იარაღი ოპოზიციამ გამოიყენა, რის შედეგადაც 600 ადამიანი დაიღუპა. მეამბოხეები თავის მხრივ მომხდარში ხელისუფლებას ადანაშაულებენ და საუბრობენ 1300 დაღუპულზე.

ოლანდმა ასევე მოითხოვა ქიმიური იარაღის გამოყენების ადგილებში გაეროს ექსპერტების შეშვება. საფრანგეთის პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ ავსტრალია, რომელიც სექტემბრიდან გადაიბარებს გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეობას „ამ აქტს დაუსჯელს არ დატოვებს“.

საფრანგეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ასევე განაცხადა, რომ სირიის კრიზის თაობაზე ოლანდი ტელეფონით ესაუბრა ბრიტანეთის პრეიმიერს დევიდ კემერონს. ორივე პოლიტიკოსმა „კატეგორიულად დაგმეს სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენება. მხარეები შეთანხმდნენ, რომ უმოკლეს ვადებში უნდა გაიმართოს კონსულტაციები თუ როგორი უნდა იყოს პასუხი ამ მიუღებელ აქტზე“, – ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში.

ირანის პრეზიდენტმა ჰასან როუჰანმა სირის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტი დაგმო.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ირანი თავად იყო ქიმიური იარაღის მსხვერპლი ირან-ერაყის ომის დროს.

როგორც ბი-ბი-სი იტყობინება, როუჰანს არ დაუდანაშაულებია კონფლიქტის რომელიმე მხარე, თუმცა ამ განცხადებამდე ოფიციალურმა თეირანმა სირიელი ამბოხებულებს ბრალი დასდო ქიმიური იარაღის გამოყენებაში.

შეგახსენებთ, რომ 1980 წელს ათასობით ირანელი დაიღუპა ერაყის მიერ ორი ქვეყნის საზღვართან ქიმიური იარაღის გამოყენების შედეგად.

ამავე დროს, დღეს ირანმა აშშ გაფრთხილა, რომ სირიის კონფლიქტში სამხედრო ჩარევით გადაკვეთს „წითელ ხაზს“ და ამ ნაბიჯს ამერიკისათვის მძიმე შედეგები მოჰყვება.

„ამერიკამ იცის სირიის ფრონტზე „წითელი ხაზის“ შესახებ და მისი გადაკვეთა სერიოზულ შედეგებს გამოიღებს თეთრი სახლისათვის“, ნათქვამია ირანის ხელისუფლების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

გაეროს გენერალურმა მდივანმა ბან კი-მუნმა სირიის მთავრობას მოუწოდა გაეროს გამომძიებლებთან თანამშრომლობისაკენ ოპოზიციის ბრალდებასთან დაკავშირებით. ბან კი-მუნმა სამხრეთ კორეაში ვიზიტისას გააკეთა სირიის კონფლიქტზე ეს განცხადება:

„ქიმიური იარაღის ნებისმიერი გამოყენება – ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერი პირის მიერ, ნებისმიერ გარემოებებში – დაარღვევდა საერთაშორისო სამართალს. კაცობრიობის წინააღმდეგ ასეთ დანაშაულს სერიოზული შედეგები მოჰყვებოდა ბოროტმოქმედთათვის“.

ამასობაში, გაერომ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად, მილიონს მიაღწია სირიიდან კონფლიქტის გამო გაქცეული ბავშვების რიცხვმა. ამას გარდა, გაეროს ბავშვთა ფონდის (უნისეფის) და გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს მონაცემებით, საკუთრივ სირიის ტერიტორიაზე ადგილნაცვალ პირად ითვლება კიდევ ორ მილიონამდე არასრულწლოვანი.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

TV პროგრამა

ოხშაბათი 26 აგვისტო

08.00 დ/ფ "დრაკონების მუზეუმი" **09.00** საბ. მხ/ფ **"სურვილების ქვა" 10.30** ან/სერ. "პატარა წიწილები" **11.00** "გურმანია" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ **"პიკის საათი-3"** (ჯ.ჩანი) **14.20** დ/ფ "ოთხგანზომილებიანი ატლასი" **15.00** ან/სერ. **"ტარატაბონგი" 15.05** ტ/სერ. **"ჭორიკანა" 17.00** ტ/სერ. **"ნიკიტა" 18.00** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" **19.05** ტ/სერ. **"შაგდა ემი" 21.00** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა" 22.00** მხ/ფ **"ბეტმენი-დასაწყისი" 00.00** "საფარი" **26**-ე გადაცემა

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ბუდაპეშტი" **08.30** მხ/ფ **"კომიკსები"** (პ.ვილაჯო) **10.00, 14.00, 19.00, 22.00** ტ/სერ. **"დეტექტივი". 11.00** დ/ფ "წელიწადის დრონის ფენომენი" **12.00** მხ/ფ **"შაღლი კაბა"** (ჰ.ბერი) **15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები" **6** ნაწ. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **23.00** მხ/ფ **"კიპარა და ფრანჩესკო" 1-2** სერ.

08.00 ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯობი" **10.00** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით" 2** სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. **"ცივი გული" 12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** ფულთან თამაში (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე" 17.50, 18.50, 19.05** სერ. **"მანგანტები". 21.00** სერ. **"დაბრუნება" 22.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** (გ/ჩ) **23.00** ქ.სერ. **"ცხელი ძაღლი" 00.15** მხ/ფ. **"ნიუ იორკის ბანდები"**

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი **08.30** მხ/ფ "HOOK" **10.00** სერ. **"სიყვარული მუზეირია" 11.00** სერ. **"ცრემლების გვირგვინი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ **"რაჭა, ჩემი სიყვარული" 14.00** სერ **"ერთგულების ძალა" 15.30** შერევილები. **17.00** სერ. **"ნამდვილი გრძნობა" 18.50** სერ. **"ტიტების დრო" 22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **00.30** შიშის ფაქტორი **01.30** მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.50** მხ/ფ **"არდადეგებზე" 08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები **09.05, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **09.10** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** ისტორიის დღიური **10.15, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქება-ქება **10.40** კვირაიკე **12.05** მხ/ფ **"ფიროსმანი" 13.20** ქართული მულტფილმი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.00** გუთნისდედა **15.30** სპექტაკლი - **"შთამომავლობა" 17.30** კონცერტი - ანს."კელაპტარი" **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ქრისტიანული სწავლება **18.50** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"როცა აჟეაჟდა ნუში" 20.40** ძილი ნებისა **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები - იოსებ ზეთეიშვილი "სასულიერო ლიტ.თარგმანი" **22.25** "ჩვენი ფონდი" თ.გაბისონია - ხალხური სიმღერა **22.45** მოკ/ფ **"დედის ხელი" 22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ/ფ **"წითელი ბუშტი" 00.30** მხ/ფ **"ეი,მაესტრო" 02.00** ირაო

მაესტრო **7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** მაღვიძარა(სიუჟეტების კოლაჟი) **11.00, 12.40, 15.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **14.40, 22.00, 4.30** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

26 აგვისტო

აშშ დოლარი — 1,6615

ევრო — 2,2194

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5949

100 რუსული რუბლი — 5,0264

ამინდის პროგნოზი 26 აგვისტოსთვის

მალე! მალე! მალე!

ლეგენდარული ქართული დეტექტივის, „მგლის ბილიკის“, გაგრძელება

„შავი ვარდი“

„ახალ თაობასთან“ ერთად

ავსტრიული პრესა საქართველოში შურისძიებას ვარაუდობს

გორის „დილასა“ და ვენის „რაპიდის“ შეხვედრის შემდეგ პოლიციის წარმომადგენლებმა ოთხი ქართველი დააკავეს. პოლიციელები სტადიონზე შევიდნენ და იმ ადგილების შემოწმება დაიწყეს, რომელიც ქართველ გულშემატკივრებს ჰქონდა დაკავებული.

ვენის პოლიციის განცხადებით, არსებობდა ინფორმაცია, რომ საქართველოს მოქალაქეებს შორის შესაძლოა, კრიმინალში ეჭვმიტანილი პირები ყოფილიყვნენ. ოთხი დაკავებულიდან ერთერთი ვენაში არალეგალურად იმყოფებოდა და ის საემიგრაციო სამსახურს გადაეცა, კიდევ ერთ პირს ყალბი დოკუმენტაცია აღმოაჩნდა, ხოლო ორი მალევე გაათავისუფლეს.

გაზეთ „დე პრესეში“ გამოქვეყნებულ სტატიაში კი ვკითხულობთ, რომ პოლიციელები სტუმრებს ძალიან უხეშად მოექცნენ. მატჩზე დამსწრე საქართველოს ელჩის, კონსტანტინე ზალდასტანიშვილისთვისაც კი, შეუძლებელი აღმოჩნდა ზეგავლენა ექონია პოლიციის ქმედებაზე. საქართველოს საელჩომ კომენტარის გაკეთება არ ისურვა და დიპლომატიურად განაცხადა, რომ საკითხი ავსტრიის ხელისუფლებასთან განხილვის პროცესშია. გაზეთის აზრით, შესაძლოა კომენტარი იმიტომაც არ გაკეთდა, რომ საპასუხო მატჩისას თბილისში შურისძიების საშიშროება არსებობს.

შეგახსენებთ, რომ „დილა“ ვენაში ევროპის ლიგის პლეოფის პირველ შეხვედრაში „რაპიდთან“ 0:1 დამარცხდა. საპასუხო მატჩი კი, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 29 აგვისტოს გაიმართება.

მ. უ.

ყველამ გაითვალისწინეთ!
ეს დღე მშვიდად გაატარეთ

ასტროპროგნოზი
26 აგვისტოსთვის

ვერძი — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ჯუარო** — ის საქმე აკეთეთ, რომელიც მოგწონთ. **ბყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბები** — ახალ ამბავს გაიგებთ, ძალიან მოგეწონებათ. **ლომი** — დიდი ბედნიერება გელით, ამ დღეზე ოცნებობდით. **ქალწული** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **სასწორი** — ზედმეტი აქტიურობა დღეს არ გარგებთ, მშვიდად იყავით. **ღრიანკალი** — არ გადაიღალოთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **მშვილდოსანი** — ნურავის ენდობით, საკუთარ თავს დაუჯერეთ. **თხის რქა** — სხვაზე ზრუნავთ, ამაგი დაგიფასდებათ. **მერწყული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **თევზები** — სახლში დიდი სიხარული გელით.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი

თარაზულად: 1. უმაღლესი სამხედრო წოდებულება რიგ არმიებში; 3. ყარყატების ოჯახის დიდი ფრინველი; 8. აღლუმი; 10. მხიარული შინაარსის პიესა; 11. ქვეყნის შეიარაღებული ძალები; 12. რამდენიმე წყვილის ფრანგული ცეკვა; 14. დაუქორწინებლობა; 15. უპირატესი მდგომარეობა, პირველობა; 16. ბაღჩეული კულტურა; 19. ჩოგბურთის სათამაშო ჩოგანი; 20. მარადმწვანე დეკორატიული მცენარე; 21. წარჩინების ნიშანი ლითონის მრგვალი, წარწერიანი ფირფიტის სახით.

შვეულად: 1. შხამიანი ბალახოვანი მცენარე; 2. ციტრუსი; 3. სამხედრო ან სამოქალაქო ფორმის ტანსაცმელი; 4. თმის საღებავი; 5. საავტომობილო სპორტის სახეობა; 6. აბელის მკვლელი; 7. სარტყმელი მუსიკალური საკრავი; 9. გეომეტრიული სხეული; 13. ჭადრაკის ფიგურა; 17. „... მბორგალი“; 18. ნუსხა, ჩამონათვალი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ



დიანა ღურწკაია გოგონას დედა გახდება

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი მომღერალი დიანა ღურწკაია მეორე შვილს ელოდება. ამის შესახებ მომღერალმა რუსულ ჟურნალ „ოქეის“ ინტერვიუ მისცა. მცირე ინტერვიუში დიანა ღურწკაიამ თავის პირად ცხოვრებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი დადგა – ის მეორე შვილის დედა გახდება.

ქართველმა მომღერალმა თავისი შვილის სქესიც იცის – მას გოგონა ეყოლება. მეუღლესთან ერთად მომღერალმა მას უკვე სახელიც შეურჩია. ახალშობილს მშობლები ვიქტორიას დაარქმევენ.

– ვიქტორია გამარჯვებას ნიშნავს, ამიტომაც ჩვენს გოგონას სწორედ ვიქტორიას დავარქმევთ. მჯერა, ჩვენი ქალიშვილი მთელი ცხოვრება გამარჯვებით ივლის, – აღნიშნა მომღერალმა.

დიანა ღურწკაია ექოსკოპიაზე ექიმთან ჟურნალისტების თანხლებით მივიდა და ყველას გაუმხილა, რომ ძალიან ღელავდა. ექოსკოპიაზე შესვლისას მან მასმედიის წარმომადგენლებს განუცხადა:

– ისე მინდა გოგონა!

– მე კი – ბიჭი, – ამბობდა მომღერლის ქმარი ადვოკატი პეტრე კუჩერენკო.

საბოლოოდ გაირკვა, რომ დიანას ოცნება ახდა და ის მალე გოგონას დედა გახდება. წყვილს უკვე ჰყავს ერთი ვაჟი – 6 წლის კონსტანტინე.

დიანა ღურწკაია გასულ თვეში 35 წლის გახდა. მრგვალი თარიღი მომღერალმა ახლობლების წრეში აღნიშნა. იგი თავის დაბადების დღეზე მიწვეული იყო ანდრეი მალახოვთან ჩაწერაზე, სადაც თავისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპებზე ისაუბრა. მასთან ერთად სტუდიაში იმყოფებოდნენ მისი მეუღლე, ძმა და შვილი. ქმარმა მომღერალს ულამაზესი ბეჭედი პირდაპირ სტუდიაში აჩუქა. შვილმა კონსტანტინემ კი, რომელიც უკვე 6 წლისაა, დედას ორიგინალური და მუსიკალური საჩუქარი გაუკეთა – მან საყვარელი დედიკოსთვის დიანას ძმისშვილთან და ნათლულთან ერთად ჩოხაში გამოწყობილმა იცეკვა.

როგორც მომღერალმა განაცხადა, ის დაბადებიდან უსინათლოა, თუმცა მისმა მშობლებმა მხოლოდ 1,5 წლის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ მათი ქალიშვილი ვერასოდეს დაინახავდა. უსინათლობის მიუხედავად, გოგონამ გადაწყვიტა მუსიკა ესწავლა, რაშიც ხელი შეუწყო არაჩვეულებრივმა სმენამ და მუსიკის უსაზღვრო სიყვარულმა. იგი მშობლებმა სპეციალურ სკოლაში მიიყვანეს, სადაც დიანამ შეძლო სრულფასოვანი განათლება მიეღო.

მოზარდობის პერიოდში ქართველმა მომღერალმა არაერთი ფესტივალი და კონკურსი დაიპყრო. მისთვის ყველაზე გადამწყვეტი კი აღმოჩნდა კონკურსი „იალტა მოსკოვი ტრანზიტი“, სადაც მან ჟიურის სპეციალური პრიზი დაიმსახურა. მისით აღფრთოვანდა კომპოზიტორი იგორ ნიკოლაევი, რომელმაც სპეციალურად დიანა ღურწკაიასთვის დაწერა სიმღერა „შენ აქ ხარ“. სწორედ ეს სიმღერა იქცა ქართველი გოგონასთვის მისი შემოქმედების სავიზიტო ბარათად.

ანდრეი მალახოვის გადაცემაში ნაჩვენები იყო ის კადრებიც, როცა დიანა ღურწკაია ირმა სოხაძესთან ერთად გამოვიდა სცენაზე, ასევე მისი ცხოვრების სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები. როგორც მომღერალმა განაცხადა, თავისი ოცნებების განხორციელებაში მას ყოველთვის ეხმარებოდა დედა. ყველა კონკურსსა თუ ფესტივალზე მას დედა სულ თან ახლდა და გვერდიდან ერთი წუთითაც არ მოშორებია.

დიანა ღურწკაიას თქმით, მის ცხოვრებაში ყველაზე დიდი ტრაგედია 2001 წელს დატრიალდა, როცა მისი დედიკო უკურნებელი სენით – თავის ტვინის კიბოთი გარდაიცვალა. მას რამდენიმე წელი დასჭირდა ამ ტრაგედიის დასაძლევად და მხოლოდ 4 წლის შემდეგ შეძლო ცხოვრების სრული დატვირთვით ახლიდან დაწყება. სწორედ ამ პერიოდში იგი თავის სიყვარულს შეხვდა. 2005 წელს დიანა ღურწკაია ცოლად გაყვა ადვოკატ პეტრე კუჩერენკოს. ქორწინებიდან ორი წლის შემდეგ კი მათ ვაჟიშვილი კოსტია ეყოლათ.

მომღერალმა გადაწყვიტა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტზე ისწავლოს:

– წელს დაბადების დღეს უჩვეულოდ შევხვდი. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცდა ჩავაბარე. მაგისტრატურაში ხელოვნების ფაკულტეტზე ვაბარებ. ზოგს ეს შეიძლება გაუკვირდეს, მაგრამ მიმაჩნია, რომ სწავლა სიკვდილამდეა. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად ჩაივლის.

დიანა ღურწკაია არ მალავს, რომ:

– ჩემთვის ყველაზე დიდი საჩუქარი ოჯახია. ყველაფერი მაქვს, რაც ბედნიერებისთვის მჭირდება. შესანიშნავი ოჯახი – მეუღლე და ვაჟი, რომელსაც რამდენიმე დღის წინ 6 წელი შეუსრულდა. ვაკეთებ საყვარელ საქმეს და მყავს საკუთარი მსმენელი. მაქვს სხვა ადამიანების დახმარების შესაძლებლობა. ალბათ იცით, რომ უსინათლო ბავშვებისთვის ფესტივალს ვმართავ, ისინი სცენაზე

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ბათუმში ღონისძიებები ჩაიშალა

ეკა ირემაშვილი

უამინდობისა და ძლიერი წვიმის გამო ბათუმში დაგეგმილი კულტურული ღონისძიებები ჩაიშალა. მუსიკალური ფესტივალის „ბათუმი სამა სეტის“ ორგანიზატორებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ფესტივალის დასკვნითი კონცერტი გაეუქმებინათ. სამდღიანმა ფესტივალმა მხოლოდ ფესტივალის გახსნას და მეორე კონცერტს უმასპინძლა.

„ბათუმის სამარ სეტ 2013“ ძლიერი წვიმის გამო ჩაიშალა. როგორც ფესტივალის პიარ-მენეჯერმა ნიკა დვალიძემ განაცხადა, ბათუმში მოსულმა ძლიერმა წვიმამ დააზიანა სცენა და საფესტივალო ქალაქი, ღონისძიების დახურვის ცერემონიალი აღარ ჩატარებულა.

ფესტივალი 22-დან 24 აგვისტოს ჩათვლით დაიგეგმა, თუმცა 24 აგვისტოს დასკვნითი კონცერტი აღარ ჩატარდა. როგორც ნიკა დვალიძემ განმარტა, ყველა მელომანს, რომელსაც კონცერტისთვის ბილეთები ჰქონდა შეძენილი, შეუნარჩუნდებათ და ფესტივალის დახურვის ცერემონიალი სექტემბრის თვეში გაიმართება.

სამდღიან ფესტივალზე ორგანიზატორებმა ცნობილი უცხოელი მუსიკოსები მოიწვიეს, რომლებიც ელექტრონულ მუსიკას უკრავენ. მათთან ერთად ფესტივალში ქართველი მუსიკოსებიც მონაწილეობდნენ.

ძლიერი წვიმის გამო ვერ გაიხსნა ბათუმის საზაფხულო თეატრში საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ღამის სერენადები“, რომელიც ორგანიზატორებმა 24-დან 29 აგვისტოს ჩათვლით დააანონსეს. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოში ცნობილი ხელოვნები. კლასიკური მუსიკის მოყვარულთათვის საფესტივალო პროგრამაშია „ფეისბუკის ვირტუოზების“ კონცერტიც, რომლებიც საზოგადოებას ლიანა იასაკაძემ ორიოდე წლის წინ ამავე ფესტივალის ფარგლებში წარუდგინა. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკოსებს თვითონ ჰყავთ ორკესტრები ნიუ იორკში, ლონდონში, პარიზში, აქვთ თავიანთი ფესტივალები, ვირტუოზების ორკესტრში დაკვრა მათთვის

ყველაზე დიდი პატივია. „ფეისბუკის მეგობრებს“ გიორგი ისაკაძე ხელმძღვანელობს.

ფესტივალის საკონცერტო პროგრამაშია მსოფლიოში ცნობილი მუსიკალური ნაწარმოებები. პირველი საფესტივალო დღე მთლიანად მოცარტის ნაწარმოებებს უნდა დათმობოდა, თუმცა ძლიერმა წვიმამ იმდენად დააზიანა სცენა და აპარატურა, რომ კონცერტის ჩატარება შეუძლებელი გახდა.

ფესტივალის მომდევნო დღეებში სხვადასხვა მუსიკალური ნაწარმოებების აჟღერებაა დაგეგმილი. დასკვნითი დღე მხოლოდ ბეთჰოვენის შემოქმედებას დაეთმობა.

საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ღამის სერენადები“ ლიანა ისაკაძემ 1982 წელს დააფუძნა. „ღამის სერენადები“ 9 წლის განმავლობაში უწყვეტად იმართებოდა ბიჭვინთაში, სადაც მსოფლიოს წამყვანი მუსიკოსები იკრიბებოდნენ. ფესტივალის დამფუძნებელი ლიანა ისაკაძე დღეს დიდი წარმატებით მოღვაწეობს საზღვარგარეთ, თუმცა ის ყოველთვის ცდილობს საინტერესო პროგრამით ჩამოვიდეს საქართველოში და კლასიკური მუსიკის მოყვარული საზოგადოება სასიამოვნო სიურპრიზებით გაანებივროს.

პირველდაწყებითი მუსიკალური განათლება ლიანა ისაკაძემ თბილისის ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში მიიღო. 10 წლის ასაკში რესპუბლიკის ფესტივალის ლაურეატი გახდა, სადაც პირველი პრემია დაიმსახურა, ამიერკავკასიის მუსიკის შემსრულებელთა პირველი კონკურსის პრემია მცირეწლოვანობის გამო არ ერგო, 1961 წელს საკავშირო კონკურსის ლაურეატი და მეორე პრემიის მფლობელი გახდა. ლიანა ისაკაძემ პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის კონსერვატორია დაამთავრა და უკვე ათეული წლებია მოსკოვის ფილარმონიის სოლისტია. ქართველი მევიოლინე მუსიკის შემსრულებელთა მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია – პარიზში გამართულ მარგარიტ ლონგისა და ჟაკ ტიბოს სახელობის ფესტივალზე მან პირველი პრემია მოიპოვა, მოსკოვში ჩაიკოვსკის სახელობის მესამე პრემიის მფლობელი გახდა, ჰელსინკში სიბელიუსის სახელობის ფესტივალზე პირველი პრემია მოიპოვა. 45 წელიწადზე მეტია ლიანა ისაკაძე გასტროლებს საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში მართავს. ის თანამედროვეობის ერთერთი თვალსაჩინო მევიოლინეა. მისი ღვაწლმოსილი შრომა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიით არის შეფასებული, იგი „საპატიო ნიშნის“ ორდენის მფლობელია. როგორც მუსიკათმცოდნეები აღნიშნავენ, იმის დაკვრა გამოირჩევა არტისტიზმით, ღრმა მუსიკალურობითა და ვირტუოზულობით. მისი საკონცერტო რეპერტუარი მოიცავს კლასიკური და თანამედროვე მუსიკის საუკეთესო ნიმუშებს. ლიანა ისაკაძე ქართველი კომპოზიტორების მთელი რიგი ახალი ნაწარმოებების პირველი შემსრულებელია. მათ შორისაა ოთარ თაქთაქიშვილის საიოლინო კონცერტი. ქართველი მევიოლინე გადაღებულია ფინურ მხატვრულ ფილმში „სიბელიუსი“. მის შესახებ გადაღებულია იაპონური დოკუმენტური ფილმიც. ლიანა ისაკაძე ხელმძღვანელობდა პატრიარქის ლოცვა კურთხევით დაარსებულ ფესტივალს „აღდგომიდან ამაღლებამდე“, რომელიც კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას, ახალგაზრდებში ტრადიციების შენარჩუნებას და საქართველოს რეგიონებში გემოვნებიანი მუსიკის ჩატანას ემსახურება.

ლიანა ისაკაძის მიერ დაარსებული „ღამის სერენადები“ პირველად ბიჭვინთაში იმართებოდა, მოგვიანებით ამ ფესტივალმა საერთაშორისო სახე მიიღო, თუმცა სოხუმის დაცემის შემდეგ ფესტივალმა არსებობა დროებით შეწყვიტა. წლების შემდეგ ფესტივალმა ბორჯომის კომპოზიტორთა სახლში გადაინაცვლა, ამ სახლთან დაკავშირებული გაუგებრობების გამო, ფესტივალი ვეღარ გაგრძელდა, საბოლოოდ კი მან გონიოს ციხეში ღია ცის

გაგრძელება მე-10 გვერდზე